

652
1961/2

652/2



103

4
1961

საქართველოს ენციკლოპედია

სსსს

აჭარა

შ ი ნ ა ა რ ს ი

ლ. გელაძე—(ლექსები) 3

შ. როშვა—(ლექსები) 5

ნ. მალაფონიბა—დედისერთა (მოთხრობა) 7

ა. სურმანიძე—ნახე ჩემი მამულეთი
(ლექსი) 14

ნ. მოღვაძე—ოცნებები იმსხვრევიან
ჩიურაუზე (მოთხრობა) 15

თ. რამიშვილი—პასუხი დედას
(ლექსი) 20

ი. აბაშიძე—მელა და მეთევზე (მოთხ-
რობა) 21

ბ. სალუქვაძე—ლექსები 27

ვ. გოგლიჩიძე—ზღვაში ნაპოვნი ბედნი-
ერება (მოთხრობა) 29

რუმოშვილი—გარწევს ლურჯი საქანელა
(ლექსი) 33

ვ. გოგბანელი—პაპაჩემი (ლექსი) . . . 34

ბ. ურუშაძე—ძმობის ძალა (მოთხრობა) 35

ახალგაზრდა კომეტები—ლექსები . . . 38

დ. კასრაძე—„ნიაფი მიუტანს ჩემს
ამბავს“ (ლექგენდა) 42

ვ. ბუღისკერიძე—ტბასთან (ლექსი) . . . 52

ვ. ძ. ბრანერი—დღემილი ორი წუთით
(მოთხრობა, თარგმნა ტიტე
ხინთიბიძემ) 53

8528

4

1961

**ივლისი
აგვისვო**

დღეები და აღამიანები

ვ. ხოშვილი—ერთი გამოგონების ისტორია (ნარკვევი) 58

1861 ვაჟა 1961

- მ. ვარშანიძე — ახლა ვაჟა აჭარა?!
(ლექსი) 61
- ზ. შუბლაძე — ვაჟას (ლექსი) 62
- ფ. ჯაფარი — „ვარ მდინარე“ (ლექსი) . 63
- კ. დონაძე — ვაჟა-ფშაველა და 1905
წლის რევოლუცია 64
- მ. მიბუძე — ვაჟა-ფშაველა —
ჟურნალისტი 66
- ლ. ჩიქოვანი — ვაჟა-ფშაველა და ხალ-
ხური შემოქმედება 70

კრიტიკა და პუბლიცისტიკა

- ვ. დონაძე — ილია ჭავჭავაძე — კოლონია-
ლიზმის წინააღმდეგ მებრძოლი 74
- ნ. ბარბაქაძე — ფილიპე მახარაძის ლიტე-
რატურულ-კრიტიკული მემკვი-
დრეობა 82

პუბლიკაციები

- ი. სიხარულიძე — რამდენიმე საბუთი
სელიმ ხიმშიაშვილზე 85

აჭარის წარსულიდან

- ნ. ჩიჯავაძე — მაჭახელა 88

წიგნის თარო.

- ა. სანადირაძე — ლევან გელაძის ლექ-
სები 92
- ა. ხმალაძე, რ. სამხელაშვილი — ტექსტო-
ლოგიური ლიტერატურის ახალი
შენაძენი 94

—*—

რედაქტორი შოთა ქურიძე

სარედაქციო კოლეგია:

ბ. ახვლედიანი, ნ. გვარამია, პ. ლორია, მ. ვარშანიძე (პეგ. მდივანი)

ალ. ჩავჭავჭავაძე, ფრ. ხალვაში.

ღევეან გეღაძე

მარად სულში მიზიხარ

კარას მთიდან აფრინდება ქედანი,
გააღვიძებს ტყეებს შაშვი ჭახჭახით,
აიყრება ნისლი ფაჩხის ქელამდი
და გუგული კაფე-თესეს ჩამძახის.
კაფე-ვთესე, ქეაზე ვხატე ჩუქურთმა,
გავაცოცხლე ბოლოს ცივი კედელი,
გამინათა სახე დღეთა შუქურამ.
დრომ გამხადა კაცი რკინის მკენეტელი.
დრომ გამხადა მკვიდრი, ქვეყნის პატრონი,
გულო, ამ მთებს განუყრელად მიზრდიხარ,
აქ ოდესღაც ცად აფრენას ენატრობდი,
მწვანე მთებო, მარად სულში მიზიხართ.
სამასი წლის პირგამშრალი ჭურები
და სიმინდით გატენილი ნალია,
მთხოვენ, დარჩი, საით მიეშურები,
საქართველოს სადღეგრძელო დალიე!
მთხოვენ, ბიჭო, ახალ სოფელს უმღერე,
ნახე, დილა ვით იღვრება სიცილად,
მთები ნისლთა ფიქრებს აღარ უმხელენ,
აქ დღეს ობლად აღარ წივის წიწილაც.
მსურს ამ მიწას, როგორც დედას, ვაკოცო,
გული მიგრძნობს,
ლტოლვით,
ფიქრით
მისი ხარ,
შენით მინდა ვილალო და ვიკაცო.
საქართველოვ, მარად სულში მიზიხარ.
მე დამბადეს ბლის და ვაშლის რტოებმა,
ძარღვში ვიგრძენ ღელეების ქუხილი.
ჩანჩქერებთან მხიბლავს განმარტოება

მათ სიყვარულს მსურს ბოლომდე ვუფრთხილდე.
ამ მთა-ბარის მარტო ხილვაც ვიკმაროთ,
არ თქვას დედამ: „რა ამაოდ მიზრდიხარ“.
ჩემო ცაო,
ხალხო, ჭირშიც მღიმარო,
მარად სულში,
მარად სულში
მიზიხართ.



ბ ე თ ა ნ ი ა

დიდება და ეპოქის მზე,
თუკი მართლა ბედს თან მიაქვს,
მამ, მითხარით, რისთვის მიმზერს,
ასეთ თვალთ ბეთანია?!

რად სცვიოდათ ცრემლი ხატებს,
რად ანთებდნენ აქ სანთელთა,
დაჰქნა ბაგე მოლაღატე,
წყლული მაინც არ გამრთელდა.

არ აღვლინდა სულნი ცათა,
ვით გუნდრუჟის ნელსურნელი,
ჟამთა შებმა ბევრმა სცადა,
დაშრა წყარო სასურველი.

მაგრამ ღიმილს თამარისას,
კვლავ ინახავს ეს ტაძარი,
ჩივის, ბედმა რა მაღირსა,
ჩემს ყოფაში დღეს მთაც არის.

ბეთანიაე, ისე მიმზერ,
ლამის რეკვა ჩამწვდეს ზართა,
აქ ათბობდა ოდეს ეს მზე,
ორბელიანს, ლექსის სარდალს,

აქ თქვა თუკი დიდების მზე,
სამუდამოდ ბედს თან მიაქვს,
მაშინ მამცნეთ, რისთვის მიმზერს,
ასეთ თვალთ ბეთანია?!



შოთა რაყვა

დაბადების დღეს

დღეს შენი დღეა და ნათელი მზეც,
თითქოს ქალური ეშხით ნარნარობს.
დღეს შენი დღეა და ამ ზეიმზე
რა გიძღვნა, კარგო, რით გაგახარო?
რა ვისახსოვრო? იქნებ ბარათი, —
კეთილი გულის ელჩი რომ არი?
იქნებ, საყურე? იქნებ, საათი?
მაგრამ მცირეა ეგ სახსოვარი!
მე მიჩუქნია ოქროდ დაღვრილი,
თვით ეს მნათობი მტრედისფერ

ციდან,

მე მიჩუქნია დილა ქართული,
ბავშვის თვალივით ნორჩი და
წმინდა.

მე მიჩუქნია ხავერდოვანი
ლაყვარდში მდგარი ჩემი სერები,
მე მიჩუქნია ზღვაზე ხომალდი,
ეგ ზღვაც ლივლივა და გლისერები.
მე მიჩუქნია ლამაზი მთები,
სურნელოვანი მთების ზაფხული,
მე მიჩუქნია, ვით ქალის თმები,
ჩანჩქერი — კლდეზე ჩამოქაფული.
მე მიჩუქნია სიმინდის ყანა,
ვაზის მტევანი თაფლის მწვეთარი,
ყუყუნა წვიმა — მინდვრებს რომ
ნამავს,

ბალი — ბუნების ნასიკეთარი.
რასაც სიკეთის მოსავს სახელი,
ქვეყნად ლამაზი რამე თუკია,
ძვირფასო, შენთვის ეგ ყველაფერი,
კეთილი გულით მე მიჩუქნია.

მევატოვე ზღვა და მიმოზები,
მთებზე გზები, გზებზე ნორჩი ქარი,
მე ახალი ცეცხლით ვიმოსები
და მოვდივარ, შენთან მოვიჩქარი.
ლაყვარდების მე მივხურე კარი,
ვხედავ, მთები გულში ფიქრებს

იხვევს,

მე დავტოვე კვიპარისთა ჯარი
და კორტოხზე დანგრეული ციხე.
დაბრუნებას ველარ შევძლებ,

ალბათ,

ველარ დავძლევ შენთან ყოფნის
სურვილს,
მთების ნისლი და შავი ზღვის

ტალღა

მოვდივარ და შენთან მომაქვს

გულით.

ცისარტყელა გადმომდგარი ცაზე,
მომაცილებს შენდა მოსახვევნად,
მადლობა ღმერთს, არის სილამაზე,
რომლის გამო ღირს სიცოცხლე

ქვეყნად!

მას მადლობა, შენს პოვნად და

ძებნად

ვინც ჩიტივით გამომასხა ფრთები.

ვინც ამგვარი მარგალიტი შეგქმნა,

ვიხსენიებ დიდებით და ქებით.

ირწევინა ზღვა და მიმოზები,

მთებზე გზები, გზებზე ნორჩი ქარი,

მე ახალი ზრუნვით ვიმოსები

და მოვდივარ, შენკენ მოვიჩქარი.



ნესვორ მადანონია

დ ე დ ი ს ე რ თ ა

— დღეს დილით ფარულად გავყევი ქუჩაში, — მოუთხრობდა სამუშაოდან დაბრუნებულ ქმარს ლიზიკო, — ერთი კიდეც შევხედო, როგორ შვენის მარტო გავლა-მეთქი... ვენაცვალე ჩემ ბიჭუნას! მიდის ჯეირანივით თავაწეული, ხანდახან ოდნავ დახრის თავს და ახალ ფეხსაცმლებს დახედავს... დიდია ბიჭი! მაინც ამ ახალ კოსტიუმში ოცი წლისა გეგონება... მერე, ყველას რომ მასზე რჩება თვალი! ჩაუვლიან — მოუხედავენ, ჩაუვლიან — მოუხედავენ... ვენაცვალე ჩემ გიუშას!..

— ბავშვი სადაა? — ხმადაბლა იკითხა ქმარმა.

— მის ოთახში, დედა ენაცვალოს.

— მერე ყველაფერი ეს რომ მოისმინოს?

— ჯერ, იგი ნახატებს ათვალეირებს... მერე თუნდაც გაიგონოს. ვაქებ, ხომ არ ვაძაგებ!

— ეს ქება, უსაშველო ყურადღება და აღერსი კარგს არაფერს მოუტანს ჩვენს ბიჭუნას. — სერიოზულად თქვა ვიქტორმა. — ანდა რა სახელია ეს „გიუშა“?! განა „გივი“ ცუდად უღერს?

— მინდა რაღაც არაჩვეულებრივი ვუწოდო და შევარქვა, უ-უჰ! — ნერვულად თქვა ლიზიკომ და ქმარს ხელი მოხვია. რასაკვირველია, ეს მოხვევაც ქმარს კი არა. გივის ეკუთვნოდა.

— ძალიან გიყვარს? — დუმილის შემდეგ შეეკითხა ვიქტორი.

— გიყვარსო?! აბა თქვენ, მამებმა, სიყვარული რა იცით!

— ათი რომ გყავდეს?

— თუნდაც ოცი იყოს, შვილი შვილია... ოცივე მეყვარება.

— მერე იყოლიე, ვინ დაგიშალა...

— ოო! — შეაწყვეტინა ლიზიკომ. — ახლა კი მიგიხვდი! საიდან შემოუტარა!.. არა, გეთყვამ! მე მინდა მყავდეს სანიმუშო შვილი, სანიმუშოდ აღზრდილი, სანიმუშოდ მოვლილი... მასე ვერ მოგართვი! არა... გაგარინი უნდა გამოვიყვანო.

— თორემ გაგარინი დედისერთაა, აი!

— მე ერთის მეტს ვერ გავზრდი... გაიგე? და თუ გაიგე, თქვენებსაც გააგე-

ბიე! ამასთან შეც ცხოვრება მინდა. ესეც ხომ გასაგებია? — დაქალი გაქათ-
ქათებულ ფინიას დასწვდა, ალერსით ლიტინი დაუწყო.

ეს „თქვენებსაც“ ხაზგასმით და გესლით იყო თქმული და იმათ შეეხებო-
და, ვინც შვილიერების საკითხში ვიქტორის აზრისა იყო, პირველ რიგში ვიქტორის მშობლებს.

* * *

მობუცი მენიკი ვერ ურიგდებოდა რძლის საქციელს.

— მოკლა ქალი მუცლის მოშლამ... რა მეშველება! გული აღარ უვარგა და
ნერვები. — ხშირად იტყოდა იგი ისედაც შეწუხებული ქმრის — ზურაბის გა-
საგონად. ახლა კი საყვედურნარევი მუდარით დაუმატა. — ეგებ შენმა სიტყვამ
გასჭრას, კაცო.

— აღარ შემიძლია და თავი დამანებეთ!.. თქვენ გინდათ თქვენი გვარის
გამრავლება, თორემ ჩემზე სულ არ ფიქრობთ... ეს ერთი, როგორც იყო, მომით-
მენია... და კიდევ რომ ასეთი რამე მკადროს...

— დედა, დედა, რა მეშველება! რომ ვერას გზით ვერ მივუდექი! ხომ ხე-
დავ, შვილო, რვა შვილის დედა ვარ, ყველა ისე გამოვზარდე, რომ ფრჩხილი
არ მოსწვიათ-მეთქი... შენც არ მომიკვდე. შენ რომ რვა გაზარდეო, ყველა იმათ
გაზრდილობით ჩემი გიუშა ახლა სჯობსო... გადავირიე, ბეჩა!..

ხშირად მიუთითებდნენ ვიქტორის ძმებსა და დებზე, მათ მაგალითზე, გან-
საკუთრებით უფროს ძმაზე — შალვაზე, რომელსაც სანიმუშო ოჯახი ჰქონდა.
ორი შვილი სკოლაში დაუდიოდა, ერთი საბავშვო ბაღში, ხოლო ორიც ჯერ
პატარა იყო. უფროსები მშობლებსაც ეხმარებოდნენ, კარგადაც სწავლობდნენ,
პატარებს იქცევდნენ და ათამაშებდნენ. რძალი თამარი ოჯახის მოვლასაც და
კოლმეურნეობაში მუშაობასაც ასწრებდა.

— მაგი ქალბატონი საშუალო განათლებითაა, მე კი უმაღლესით. მგონია,
ცოტა განსხვავება არის... მაგას რიგიანად თეატრი არ უნახავს და არც საამისო
მოთხოვნილება აქვს... მე კი... უკაცრავად... ოპერის პრემიერა რომ არ მენახა,
მთელ კვირას ვატირებდი დედაჩემს... არც აქეთ გამოვთხოვდებოდი ამ დანჯ-
ღრეულ პროვინციაში, შენ რომ არ შემომჩენოდი... ოი, რატომ არ დაიქცა
ის დღე!

ვიქტორს ხშირად ესმოდა ცოლის ეს და ასეთი საყვედურები, მაგრამ რი-
გიანი პასუხისთვისაც არ ეცალა. რაიონული ცენტრის მთავარ ინჟინრად მუ-
შაობდა იგი და ქალაქის შენებითა და კეთილმოწყობით იყო გართული. ისე კი
ძალიან აწუხებდა ოჯახის მდგომარეობა.

— აბა, იმ „ფუგნიაში“ რომ ხუთი შვილი დაყარა, მამასავით ფუგნიები გა-
მოვლენ... ჩაის კრეფას და კრეჭას რა აღზრდა და კულტურა უნდა! — იტყოდა
ლიზა, როცა უფროს მაზლსა და მის ოჯახზე ჩამოვარდებოდა ლაპარაკი.

— რატომ არ გრცხვენია, ლიზა? თუ მაზლი გაქვს, შენი ნებაა, მაგრამ
აგრონომის ასე აბუჩად ავდება როგორ შეიძლება!

— აგრონომი!.. ათი შვილი რომ მყავდეს, ერთსაც არ მივალდებინებ ამ
პროფესიას. ჩემი შვილი კონსტრუქტორი ან რაღაც დიდი მეცნიერი უნდა გა-
მოვიდეს.

* * *

გადიოდა ხანი. სკოლაში გივის სწავლის დროც მოვიდა. დედამ იგი საბავ-
შვო ბაღში არ გაუშვა, მაგრამ სკოლაში ხომ უნდა გაეშვა?

და პირველ სექტემბერს ლიზამ ახალ კოსტიუმში გამოწყობილი გივი ლი-
რექტორის კაბინეტში მიიყვანა.

— ბოდინი, ქალბატონო! პირველ კლასში ჩვენ დიდად გამოცდილი და ცნობილი პედაგოგი გვყავს. მიიყვანეთ მასთან.

— მე ერთი ბავშვი მყავს და განსაკუთრებულ ყურადღებას უნდა მიაქციო.

— მასწავლებელი ვალდებულია შეისწავლოს ბავშვის ოჯახური მდგომარეობა და ეს გამოიყენოს აღზრდისა და მეცადინეობის დროს... აკი მოგახსენეთ, იქ გამოცდილი მასწავლებელი გვყავს-მეთქი. პატივცემულ მაროს ჩვენ ვენდობით და ბევრ რამესაც მისგან ვსწავლობთ.

— მაშ, მირჩევთ, პირდაპირ, უშუალოდ მას მივმართო?

— დიახ, ქალბატონო.

ლიზამ ახლა ბავშვი პირველი კლასის მასწავლებელ მაროსთან მიიყვანა.

— ო, ჩემი კარგი ბიჭი მოსულა! მოდი, გენაცვალე... აბა, შენი სახელი მითხარი.

გივიმ ჯერ დედას შეხედა.

— უთხარი, შევილო, უთხარი რა გქვია. — არ დააყოვნა დედამ.

— მე გივუშა მქვია.

— გივი? რა კარგი სახელია გივი!.. აბა, ჩემო გივი, გვარიც მითხარი.

ლიზას არ მოეწონა, რომ მასწავლებელმა პირველი შეხვედრისთანავე გადაუსწორა ბავშვს სახელი. მეტიჩარა ვინმე ყოფილაო, გაივლო გულში, მაგრამ არაფერი უთქვამს.

— დატოვეთ ბავშვი. — უთხრა მასწავლებელმა და სხვა ბავშვს მიუბრუნდა.

არც ეს მოეწონა დედას. როგორ თუ ჩემი ბავშვი მიატოვა და სხვას დაუწყო საუბარიო. მაგრამ უსიტყვოდ წამოდგა. და როცა მასწავლებელი ახლა კიდევ, სხვა, მესამე ბავშვს გაესაუბრა, თავი ვეღარ შეიკავა და მასწავლებელთან მივიდა.

— ქალბატონო მარო! ეს ბავშვი ჩემი ერთადერთი შვილია და განსაკუთრებულ ყურადღებას გთხოვთ.

— დედისერთაა?.. კარგი, ქალბატონო. კარგია, რომ მითხარით. სჯობდა კი უფრო ადრე მოსულიყავით. ერთხელ მოვედი თქვენსას და სახლში არავინ იყო. მეტად ვეღარ მოვიცალე. შემოგივალეთ, მაგრამ ან არ გითხრეს, ან დრო ვერ იშოვეთ.

— დროს მაგისტვის როგორ ვერ ვიშოვიდი, მაგრამ ყველა სათქმელი დღეისათვის შემოვინახე.

— კარგი, კარგი. — უთხრა მარომ. — ამიერიდან ჩვენ ხშირად შევხვდებით ერთმანეთს. ახლა კი მეტი დრო არა მაქვს... მეცადინეობის პირველი დღეა... ლიზა მაინც უკმაყოფილო დაბრუნდა სახლში.

დრო არა აქვს, ბატონო, დრო!

გივიმ დედას გააყოლა თვალი, თითქოს მისი გაშვება არ უნდოდა, მაგრამ მასწავლებლის საუბარმა გაიტაცა და დარდი გადაავიწყა.

გაკვეთილების შემდეგ შინდაბრუნებული გივი სკოლით უკმაყოფილო იყო. ყურადღების ცენტრში ყოფნას მიჩვეულ ბავშვს არ ესიაიმონა, რომ მასწავლებელი ისევე უსმენდა და ეალერსებოდა სხვა ბავშვებს, როგორც მას. ეს ბავშვებიც დასვენებაზე ბურთს ყოველთვის გივის არ აძლევდნენ. ზოგიერთი კიდევაც ართმევდა მას და სხვას ვადასცემდა. როგორ! ისინი ვინ არიან, რომ მას ეცილებიან! აკი დედიკო მხოლოდ მას უალერსებს, მას თელის ყველაზე უკეთეს ბავშვად. სათამაშოებს მხოლოდ მისთვის ყიდულობს, მხოლოდ მას ართობს და კოცნის!

გივი სკოლაში ყოფნის პირველი დღიდანვე წუხდა, ადვილს ეძებდა ბავშვთა კოლექტივი და ვერ პოულობდა. მას თანდათან აღარ ახარებდა ამხანაგებთან შეხვედრა, მათთან თამაში. ბავშვებიც ვერ ურიგდებოდნენ მის გულზე და დობას, დიდ წარმოდგენას თავისთავზე; ხშირად დასცინოდნენ და აჯიტირებდნენ; რომელიღაც უფროსი კლასის მოსწავლემ ზედმეტი ჩაცმა-მორთულობისთვის სასიძო უწოდა, ხოლო შემდეგ თითქმის ყველა ამხანაგი შერქმეულ სახელს — „სიძეს“ ეძახდა.

გადიოდა დრო.

გივი თითქოს ცდილობდა ამხანაგებთან დაახლოებას, მაგრამ მათთან საერთო ენას ვერ პოულობდა.

* * *

კლასის ხელმძღვანელმა კარგად შეისწავლა გივის ხასიათი, მისი ოჯახური პირობები და საშუალებას ეძებდა, რომ ბავშვის აღზრდაში სათანადო გარდატეხა მოეხდინა.

მაგრამ დედაზე არავითარმა დარიგებამ არ გაჭრა, ხოლო მამა საჭირო ზომებს ვერ იღებდა, სამსახურით იყო დატვირთული და გატაცებული. ბავშვის მდგომარეობა კი თანდათან უარესდებოდა.

ბოლოს, მასწავლებელი მოეთათბირა სკოლის დირექტორს და ერთ საღამოს მშობელთა კრება მოიწვია, სადაც, როგორც უმრავლეს შემთხვევაში ხდება ხოლმე, დედები გამოცხადდნენ.

ბევრი ილაპარაკა კლასის ხელმძღვანელმა ბავშვის აღზრდაზე, მოვლაზე, სკოლისა და ოჯახის ურთიერთობაზე.

მშობლები ძლიერ დაინტერესდნენ და მის თვითულ სიტყვას იჭერდნენ.

ლიზაც უსმენდა, მაგრამ ყველაფერი აგიტაციად ეჩვენებოდა: „ვის სჭირდება ეს?!“

— თქვენ, რასაკვირველია, გინახავთ ხშირი ტყე: ხეები ამაყად, სწორი, ამოტილი ტანით მიისწრაფიან ცისაკენ. აქ ისინი თითქოს ერთმანეთს ეჯიბრებიან, ერთმანეთს ეხმარებიან კიდევ, ერთიმეორის წახედვით მიიწევენ მაღლა.

მაგრამ დააკვირდით, ტყის გარეთ, იქვე ახლოს რომ ხე იზრდება კენტად: უსწორმასწორო ტანი აქვს, რაღაც დახრილი და დაღრეკილი...

ასევეა კოლექტივის გარეთ აღზრდილი ადამიანიც, ცალკე აღზრდილი ბავშვიც. ოჯახი პირველი კოლექტივი, პირველი საზოგადოება ბავშვისათვის. რაც უფრო მეტბავშვიანია ოჯახი, მით უფრო კარგად იზრდება ბავშვი.

ლიზას გუნებაში ჩაეცინა: „ექტორის ხუთი შვილი უკეთ აღზრდილია?!“ ერთი მაგალითიც.

ბოსტანში ჩავარდება, ბოსტნეულის თესლს ჩაჰყვება სიმინდის ერთი მარცვალი, გინახავთ, ალბათ.

სიმინდი აღმოცენდება. ბოსტანში მისი დატოვება არც გინდათ, მაგრამ მოჭრა დაგენანებათ. იყოს, იზარდოსო იტყვიეთ.

აქ ლიზა დაინტერესდა: მართლა ჰქონდა ერთხელ ასეთი სიმინდი ბოსტანში. ნოყიერია ბოსტნის ნიადაგი და სსსუქს კიდევ უმატებთ. ხარბად იზრდება ეს მცენარე. ჰაერი და მზის სხივი უხვად უწევს, ზედმეტი გათოხნა და მოვლა... მაგრამ მალე სიმინდს ღერო გაუმსხვილდება, სოკო გაუჩნდება, რაღაც ავადმყოფურად იყვავილებს და ნაყოფს კი არ მოგვცემს.

„ეს მართლაც ასე იყო!“ — კინალამ ხმამაღლა თქვა ლიზამ, შუბლზე ოფლი იგრძნო და სმენად იქცა.

— ასეა კოლექტივის გარეთ აღზრდილი ადამიანიც... ხშირად დედის-

ერთად... დედას იმდენი თბილი გრძობა და შვილის სიყვარულის უნარი მისცა ბუნებამ, რომ ოც შვილს ეყოფა. მაგრამ თუ მთელ ამ გრძობას ერთ შვილს მოახმარს, ეს იქნება ბოსტანში კენტად ამოსული სიმინდისათვის მიცემული ზედმეტი სასუქი და ყურადღება... და, რა გასაკვირია, თუ ბავშვიც ისეთი გამოიზარდება და დადგება, როგორც ის სიმინდი.

გამოცემის
სამსახური

გახსოვდეთ, ხე ტყეში იზრდება სწორად, ადამიანი, ბავშვი — კოლექტივში, საზოგადოებაში.

როცა დედას ბევრი შვილი ჰყავს, ვერ იცლის, რომ ანებივროს ისინი, ზედმეტად მიეალერსოს და მოუპროს. ბავშვებიც საზოგადოებას ეთვისებებიან, ერთმანეთს აფასებენ, ეხმარებიან, ერთმანეთის სამსახურში შრომასაც ეჩვევიან, უფრო ხალისიანად ჭამენ ერთმანეთის წახედვით და უფრო ჯანსაღად გამოდიან. ღიზას წინ კვლავ ვიქტორის შვილებმა გაიელვეს. გაახსენდა, თუ როგორ თითო მანეთს აძლევდა გივის კვერცხების გადაყლაპვაში.

— ოჯახში ბავშვს თავიდანვე ეწყება აღზრდა, ხასიათის ჩამოყალიბება. როცა წამოიზრდება, საბავშვო ბაღი მიეშველება, რათა ოჯახში მიღებული კარგი ჩვევები და თავისებურებანი განუვითაროს, თუ ცუდი ჩვევა აქვს, გამოასწოროს და ხასიათი უფრო სრულყოფილს, განუმტკიცოს.

შემდეგ ბავშვი სკოლაში გადადის. იქ სწავლაში, შრომასა და საზოგადოებრივ ურთიერთობაში იწაფება და სკოლისშემდგომი ცხოვრებისათვის ემზადება.

სამწუხაროდ, არიან დედები, რომლებიც მრავალშვილიანობას გაურბიან, ხშირი აბორტით ჯანმრთელობას ინადგურებენ, ერთადერთ შვილს ზედმეტი ალერსითა და ყურადღებით აფუჭებენ. საბავშვო ბაღისათვის ვერ იმეტებენ, სახლში სწორ აღზრდას ვერ ახერხებენ და, ამრიგად, საზოგადოებას მახინჯ მოქალაქეს აძლევენ...

ამის შემდეგ ღიზას არაფერი აღარ ესმოდა. ფიქრებმა წაიღო იგი: როგორ ყველაფერი სკოდნია ამ მასწავლებელს?! აკი დირექტორმაც თქვა, ჩვენ მას ვეკითხებითო... მაინც ბოსტანში როგორ დაინახა ის სოკოებით დაფარული, ფოთლებშეჭრელებული სიმინდი?! — და თვალწინ დაუდგა ავადმყოფი მცენარე, ხოლო გვერდით... სიმინდი კი არა, გივი, გივი მისი საყვარელი გივი, უკვე გაზრდილი, წვერულვაშიანი. მაგრამ უფერული, ისე სოკოვანი, როგორც ის სიმინდი იყო... — ო, არა! — შიშით წამოიძახა მან უკვე ხმამაღლა.

— რა არა? — შეეკითხა მარო და მშობლებმაც შეხედეს უკმაყოფილოდ, რომ მასწავლებელს სიტყვა შეაწყვეტინა.

— არაფერი!.. ბოდიში... ეს ჩემთვის ვთქვი, რაღაც ფიქრებში...

მარო მიხვდა, თუ რა ფიქრებში იყო ღიზა, და სიამოვნებით განაგრძო:

— ჩვენ ვაჯილდოებთ და პატივს ვცემთ მრავალშვილიან დედებს არა მარტო იმისათვის, რომ ისინი ერს ამრავლებენ და მოსახლეობას ზრდიან, არამედ იმისათვისაც, რომ დავიცვათ ქალისა და მომავალი თაობის ჯანმრთელობა. აბორტი ხომ ანადგურებს ქალის ორგანიზმს, დედისეულები კი ხშირად ძნელად აღსაზრდელი ხდებიან.

ნუ დაუჭვრებთ იმ უღირს ექიმს, რომელიც ფულზე ყიდის ერის ინტერესებს, ქალისა და მომავალი თაობის ჯანმრთელობას!

გონს მოდით. ქალებო! საქმე ეხება ჩვენს მომავალს, იმას, თუ ვის ჩავაბაროთ ჩვენი ნაღვაწი და ნაშრომი, ჩვენი გმირი წინაპრების სისხლითა და ოფლით მორწყული მიწა-წყალი, ჩვენი ნათელი მომავალი!..

მშობლებს ყრუანტელმა დაუარა ტანში.

ლიზა მთელ სხეულზე ხან ცივსა და ხან ცხელ ოფლს გრძნობდა.

ხოლო თუ წამით მოხსენებას მოსწყდებოდა, თვალწინ გაუელვებდა სიკეთე ვანი სიმინდი, რომელიც სწრაფად იქცეოდა ადამიანად... ეს ადამიანი უღვაშებწამოზრდილი გივი იყო. იგი იდიოტური ხედვით, ამღვრეუტონ ზეცხუცხუ ბით, რაღაც საყვედურითაც კი შესცქეროდა სიგიყემდე მისულ დედას...

მაგრამ როცა მარომ ლიზა დაასახელა და მშობლებმაც ერთთავად თვალი მას მიაპყრეს, ქალი კიდევ უფრო მოიკუნტა, მოიხარა. ის თითქოს საბოლოოდ გაატიტვლეს და ლამბაქით გამოიტანეს საჯაროდ. თითქოს ამ სიტყვების დამაღვას ცდილობსო, თავი მერხში ჩასწია და ქვეთინი აუვარდა.

დარბაზში დუმილი ჩამოდგა. დროდადრო მხოლოდ ლიზას ვიშვიში ისმოდა. მაროც დადუმდა ორიოდე წუთით. მერე კრებას თვალი მოავლო და განაგრძო:

— მართებულია ეს ტირილი. კარგია! მაგრამ ვაი, რომ ტირილით ვერაფერს ვუშველით. ნიჭიერი და საღი ბავშვი გყავს. პატივცემულო ლიზა. ბევრ დედას შეუძლია ინატროს ასეთი... მაგრამ აღზრდისა რა მოგახსენოთ. ამ მხრივ უნდა გავაერთიანოთ ჩვენი შესაძლებლობანი, სანამ გვიან არ არის... თქვენს დედამთილს რვა საღი მოქალაქე მიუცია ჩვენი საზოგადოებისათვის. გამოიყენეთ იმ შადლიანის გამოცდილება და ძალღონე. დაიხმარეთ ეს მშობლებიც. მე ხომ ვაღლებული ვარ თქვენთან ვიყო, და საქმეც ვაკეთებდა.

მასწავლებელი გაჩუმდა, მაგრამ ახლა კრების მონაწილენი ალაპარაკდნენ.

— ქალო, მენიკისთანა აღმზრდელი სადაა?

— ზურაბის ოჯახი ნამდვილი სკოლაა!

— მაინც ვიქტორს როგორ დაემართა ეს!

— ვიქტორი, შე ქალო, დღედაღამე საზოგადოებას ემსახურება...

— კაი ერთი თუ და ხარ! შვილის აღზრდა რომელ სამსახურზე ნაკლებია!

— მართალია! — ჩაერია მასწავლებელი. — რაც მეტ და ჯანსაღ შვილს მისცემ სამშობლოს, მით უფრო დიდი პატრიოტი ხარ. ვიქტორის გამართლება არ შეიძლება.

კრება გათავდა. მშობლები ფიქრით დატვირთული გავიდნენ საკლასო დარბაზიდან. უკანასკნელი ფეხის ხმაც მიწყდა.

ლიზა სწრაფად წამოხტა და მაროსთან მიიჭრა. მარომ თავზე ბავშვსავით გადაუსვა ხელი და გულში ჩაიკრა.

ლიზას კვლავ ტირილი წასკდა, მაგრამ მალე გული მოიცა:

— მიშველე... მიშველე, მარო ბატონო, მომეხმარე...

საუბარმა კარგა ხანს გასტანა.

ბოლოს, გამხნეებული და იმედმოცემული დედა გვიან ღამით დაბრუნდა სახლში.

გივის არ ეძინა. დედა მინდაო, ტანგახდილი ჭირვეულობდა ლოგინში.

ვიქტორი სასათუმალთან ეჯდა და ზღაპარს უამბობდა.

— დაიძინე, შვილო. მე შენთან ვარ. — უთხრა ბავშვს ლიზამ და ვიქტორს მიუბრუნდა: — თუ არ გეზარება, დედას სთხოვე ცოტა ხნით მოვიდეს.

ვიქტორმა გაოცებით შეხედა მეუღლეს. რაღაც კიდევ უნდოდა ეთქვა, მაგრამ ცრემლების ნაკვალევმა შეაჩერა. იგი უსიტყვოდ წავიდა დედის მოსაყვანად.

— მშვიდობა ხომ კია, ბიჭო? — შეშინდა მენიკი.

— კი, დედა, მშვიდობაა... მაგრამ მაინც მიკვირს რამ მოუარა... ეს ლიზამ დამავალა, მოიყვანეო... არ ვიცი, რა უნდა.

დაფიქრებული მენიკი სწრაფად წამოდგა. უკვე დაწოლილ ზურაბს დაუბარა, ლიზასთან მივდივარო, და ვიქტორს გამოჰყვა...

გივის ჩასძინებოდა. ლიზა თავზეხელშემოდგმული იჯდა.

— რა იყო, შვილო? — შესვლისთანავე ჰკითხა დედამთილმა.

— დედა... მე ერთი კვირით დედასთან უნდა წავიდე... და გივის საქმე თქვენ იცით.

— რა მოხდა, შვილო? — შეშინებული მენიკი რძალს დააცქერდა.

— არაფერი, დედა... ცოტა დასვენება მჭირდება... ბავშვიც თქვენ უნდა შეიჩვიოთ...

— ორ დღეში მეც მივდივარ მივლინებით და ერთად წავიდე. — იცრუა ვიქტორმა, რადგან მეტი ვერაფერი მოახერხა მის შესაჩერებლად.

— არა, მე ახლა უნდა წავიდე...

მენიკი ჩაფიქრდა. დიდხანს იყოყმანა, მაგრამ მაინც ვერ დაფარა გულისნადები.

— ფეხმძიმედ ხარ? — ფრთხილად ჩაულაპარაკა ბოლოს.

— კი! — მოკლედ მოუჭრა ლიზამ დაუფიქრებლად.

— მოგკლავს, ქალო. ამდენი აბორტი.

— ო, არა, არა! ამისთვის მივდივარ, გგონია? არა, ეს მეტად აღარ მოხდება! — მტკიცედ თქვა ლიზამ, თითქოს ფიცს დებდა, და ტირილი წასკდა. — მარო მასწავლებელმა მითხრა, გივი ცუდად აღზრდილია... თუ არ უშველე, დაიღუპებაო... აბორტიო... — და ცრემლმა სათქმელს გზა გადაუღობა.

— კარგი, შვილო, კარგი. — დაუყვავა დედამთილმა. — ეს ჩვენც ვიცით, მარა გამოუსწორებელი არაფერია.

მენიკიმ კმაყოფილების ღიმილი ძლივს დაფარა. მსუბუქად წამოდგა, მძინარე ბავშვს შეხედა და სახლისაკენ გაეშურა.



აზიან სურამიძე

ნახე ჩემი ვამუღეთი

მოდი ნახე, მშობლიური
მიწა როგორ იქარგება
და ჩანჩქერი მაღალ მთების
მის ბაღნარში იქარგება.
მოდი ნახე საარაკო
კუნთმაგარი მკლავი მესხის,
დაითვრები უღვინოთა,
სიყვარულში ბრუ დავესხმის.
მოდი ნახე, ძველთა ძველი
თამარის და შოთას მხარე,
მე ქართველმა გადამწვარზე
ვაზი როგორ გაეახარე,
მოდი ნახე, ქართველ ქალის
კოჭებამდე ნაწნავები
და დახრილი, გამომწვევი
მისი შავი წამწამები.
მოდი ნახე, სიყვარული
ლაგმანთავს და დაგიმონებს,
წვივასი წლის ღვინო ქვეცერში
მის დანწურავს მოგაგონებს.
მოდი ნახე, ჩვენი სუფრა,
მადლჩადგრილი მამულეთი,
ქართველების იაენანის
მხარე, ჩვენი საგულეთი.



ნოღაქ მოღეპაქჲ

ოცნებეზი იმსხვრეპვიან რიქრაქჷ

ჯონდო ლამაზი ბიჭი იყო. ამაყი სიარული იცოდა. წითელ პერანგს ატარებდა, წვრილჭინტიან ფეხსაცმელებსა და ვიწროტოტიან შარვალს. თმა მუდამ შუბლზე ეყარა. ქალაქის ქუჩებში ამ ერთი წლის წინათ გამოჩნდა იგი.

საშუალო სკოლა ჯონდომ სოფელში დაამთავრა და სასწავლებლად ქალაქში წავიდა. მაგრამ ინსტიტუტში ვერ მოხვდა. ქულები დააკლდა. დედას წერილი გაუგზავნა, ინსტიტუტთან მოსამხადებელი კურსები გაიხსნა და... უთუოდ მოვეწყობიო.

ჯონდომ პატარა ოთახი დაიქირავა, იმდენად პატარა, რომ შიგ ერთი ლოგინი და ერთი მაგიდა ედგა. ბარგი ბევრი არაფერი ჰქონდა. ტილოს შარვალი, გახუნებული პერანგი და სამი საერთო რვეული. რვეულები მაგიდაზე დაყარა და ლოგინზე გაიშოტა. „დღეიდან შენ ქალაქში მცხოვრები გქვია“, უთხრა თავის თავს და იმ დღეს პირველად გააბოლა პაპიროსი.

პირველ დღეებში ჯონდოს დედისთვის ფულის თხოვნა ეკრძალებოდა. მორიდებულ წერილებს უგზავნიდა. შემდეგ ფული ძლიერ საჭირო გახდა და დედას უფრო ხშირად აწუხებდა. ნაცნობებმა ველარ იცნეს ჯონდო. ახალი კოსტიუმი მოირგო, თითქმის ყოველდღე პერანგს იცვლიდა. რესტორანშიც დაიწყო სიარული. ნაცნობები გაუმრავლდა. ბიჭებმა გაამხნევეს — ლამაზი ბიჭი ხარ, პროფესორის ქალიშვილი რომ „გამოიჭირო“, ინსტიტუტში შეძვრებო. ეს აზრი ძლიერ მოსწონდა ჯონდოს.

მთელი დღე ჯონდო ქუჩაში ხეტიალობდა. სახლი მაშინ გაახსენდებოდა, როცა ძილი მოერეოდა. საღამოობით ხან თეატრის, ხან კიდევ კინოს წინ იდგა. ცალ ხელს ჯიბეში ჩაიხრიადა და პაპიროსს აბოლებდა. ქალიშვილებს მხედველობიდან არ უშვებდა. ფეხზე დგომით რომ დაიღლებოდა, კედელს მიეყრდნობოდა. ბოლო ხანს ლაპარაკიც ეზარებოდა, სახე ეღუშებოდა და იშვიათად გაიღიმებდა.

ასე გაიარა ზამთარმა. დადგა ზაფხულიც და მის ცხოვრებაში ახალი არაფერი მომხდარა. ინსტიტუტში შესასვლელი გამოცდები მოახლოვდა.

იმ საღამოს ჯონდო ქუჩის კუთხეში იდგა. პაპიროსს ეწეოდა და ქუჩას ათვალეირებდა. ხასიათზე არ იყო. ბიჭებს უარი უთხრა, რესტორანში ვერ წამოვალო. უცებ ხმაური მოესმა და მიიხედა. სახლის სადარბაზო შესასვლელიდან

ქალიშვილი გამოვიდა. იგი ცხრაშვიტი-ოცი წლისა იქნებოდა. თეთრი კაბა ეცვა — წელს ქვემოთ განიერი. მკლავები და მკერდი შიშველი ჰქონდა და ელექტრონის შუქზე მარმარილოსებრ ბრწყინავდა. ქალიშვილმა თავი მედიდურად შეარხია და მოხდენილი ნაბიჯით ქუჩას გაჰყვა. ჯონდომ ჯერ კარებს უშეწყვეტად საიდანაც ქალიშვილი გამოვიდა, მერე კარებზე გაკრულ აბრას. თვალები აუთაშაშდა. აბრას ისევ შეხედა. „პროფესორი გ. მესხი“, ამოიკითხა მან და ქალიშვილს გახედა. ქალიშვილი ყურადღებას არავის აქცევდა. ამაყად მიდიოდა. ჯონდოს წინაშე გადაიშალა ახალი ცხოვრება: ფართო ოთახები, ძვირფასი ავეჯი, ყურადღების დამსახურება და... ლამაზი ქალიშვილი. ყველაფერი ეს ზღაპარს ჰგავდა. მაგრამ ჯონდო არ დაბნეულა. უკან გაჰყვა ქალიშვილს. ქუჩაში უამრავი ხალხი იყო და, ქალიშვილი თვალს რომ არ მოფარებოდა, ჯონდო აჩქარდა. ეწყინა, შავი კოსტიუმი არ ეცვა და გაუბარსავიც იყო. ამ დროს ქალიშვილი ერთ მის ნაცნობს შეხვდა. ისინი მალაზიის წინ გაჩერდნენ და ჯონდო ახლა უკეთ დააკვირდა მას. იგი ულამაზესი გოგონა იყო.

ჯონდომ ჩაუბრა მათ და თავის ნაცნობს მიესალმა, რომელმაც ლამაზი ქალიშვილი გააცნო. ისინი ნელა გაჰყვნენ ქუჩას. ჯონდო ცდილობდა თავისუფლად ელაპარაკა. საუბარში ქუჩა ბოლომდე გაიარეს. ჯონდომ შენიშნა, რომ ქალიშვილი საუბრით დააინტერესა და რაღაც განსაკუთრებული თანაგრძნობით უყურობდა.

ქალიშვილი ეზოს შესასვლელთან გაჩერდა.

— თქვენ აქ ცხოვრობთ? — გაკვირვებით ჰკითხა ჯონდომ.

— არა, აქ ჩემი ამხანაგი ცხოვრობს.

ქალიშვილმა თავი დახარა და ჯონდომ პირველად შეხედა მის დიდრონ წამწამებს. მან იცოდა, რომ ასეთ დროს თავის დაჭერა იყო საჭირო.

— ეს საღამო არასოდეს დამავიწყდება, თქვენ გაგიცანიო! — და ხელი გაუწოდა.

ქალიშვილმა გაუღიმა და ეზოში ჩავიდა. ჯონდომ პაპიროსი ამოიღო. გული ფართული სიამით უთრთოდა. იგრძნო, რომ მის წინაშე ფართო პერსპექტივა ისახებოდა. ქუჩას გაჰყვა, ამაყი იყო და ახლა კიდევ უფრო ეტყობოდა სიამაყე.

ჯონდოს თავისი სიხარული არავისთვის გაუმხელია. ბიჭებს ჩამოშორდა და ქუჩაში ხშირად აღარ იდგა. დღეში მხოლოდ ერთხელ ჩაივლიდა პროფესორ მესხის ბინის წინ. ხელში წიგნი ეჭირა, ან რვეული. პერანგს ახლა დღეში ორჯერ იცვლიდა. შარვალი მუდამ გაუთოებელი ჰქონდა. იცოდა რაც უფრო გულგრილად მოექცეოდა ქალიშვილს და თავის სურვილებს დაფარავდა, მეტი წარმატება ექნებოდა. ბოლოს ისიც გაიგო, სად დადიოდა ქალიშვილი და რა დროს გამოდიოდა ქუჩაში.

ერთხელ კინოთეატრში დაპატიჟა. ქალიშვილმა სიხარული ვერ დაფარა. ჯონდომ იგრძნო, რომ იმარჯვებდა. კინოს შემდეგ ბაღში გაიარეს, ისაუბრეს ლიტერატურაზე, მეცნიერებაზე, მაგრამ ამას ჯონდოსათვის არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა.

შემდეგ ჯონდო ყოველ საღამოს ხვდებოდა ქალიშვილს. ყოველ საღამოს მას ახალი, ნათხოვარი კოსტიუმი და პერანგი ეცვა.

ფული შემოეღია და ვალი დაედო. ქალიშვილიც ახალ-ახალ კაბებს იცვამდა. თმასაც სხვადასხვა მოდაზე იკეთებდა. ახლა უფრო მეტად ის ლაპარაკობდა, ჯონდო კი უსმენდა. ჯონდო ლამაზი ბიჭი იყო და ქალიშვილს მოსწონდა. ჯონდოს არ უყვარდა ისეთი ქალიშვილი, რომელიც თავის სურვილს ვერ დაფარავდა, მაგრამ ახლა ამაზე არ ფიქრობდა. მან იცოდა, რომ მალე, სულ მალე

ფართო ოთახებში იცხოვრებდა, ექნებოდა ძვირფასი ავეჯი და ბევრი ფული.

— ცისო, და გყავს? — ჰკითხა მან.

— არა, დედისერთა ვარ, — უპასუხა ქალიშვილმა.

ჯონდოს ესიაშოვნა, მაგრამ გულდაწყვეტით ჩაილაპარაკა:

— ცუდია.

ქალიშვილს გაეღიმა. ხელში თეთრი ჩანთა შეათამაშა.

— ახლა ბიჭებს დედისერთა ქალიშვილები მოსწონთ... იმასაც ამბობენ, რომ სიდერს სიძე შვილზე მეტად უყვარსო. ნუთუ დედაჩემს ჩემზე მეტად ეყვარება სიძე?

არც ამას არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა ჯონდოსათვის. გაეცინა და უთხრა:

— ჰო, მეც ასე გამიგონია.

ქალიშვილმა ისევ შეათამაშა ჩანთა.

— ჯონდო, შენ არ მუშაობ, ფულს კი ხშირად ხარჯავ. მე მინდა რაღაც გიყიდო, აი, ისე, როგორც მეგობარი მეგობარს უყიდის ხოლმე რაიმეს. ხომ შეიძლება?

— არა, ცისო, არავითარ შემთხვევაში.

— რატომ, ჩვენ ხომ მეგობრები ვართ?!

— მე არ მინდა მეგობრობამ შემბოჭოს.

— ნუ მეტყვი უარს, გთხოვ!

ისინი მაღაზიაში შევიდნენ და ცისომ ძვირფასი საპაპიროსე უყიდა. ჯონდომ იგი იმ საჩუქრების ნაწილად მიიჩნია, რომლებიც ამიერიდან ელოდა.

— ჰოდა, იცი კიდევ რა, ჯონდო?! ფული რომ დაგჭირდეს, არ მოგერიდოს... შემიძლია გიშოვო.

ჯონდო ნაჩუქარ საპაპიროსეს სათუთად ინახავდა და მხოლოდ მაშინ იღებდა ჯიბიდან, როცა ცისოსთან იყო. ამით აგრძნობინებდა, თუ რა ძვირფასად მიაჩნდა იგი. სახლშიც უკეთესი არაფერი ჰქონდა. ძილის წინ საპაპიროსეს მაგიდაზე დადებდა და მის ცქერაში ჩაეძინებოდა. გაახელდა თვალს და პირველად მას შეხედავდა. ამ კოხტა საპაპიროსედან იწყებოდა მთელი მისი მომავალი. უკვე აღარ ეეჭვებოდა, რომ ცისო „გამოიჭირა“. გაიგო ვინ იყო პროფესორი მესხი და ერთხელ უკან გაჰყვა. ვიდრე ინსტიტუტში მივიდოდა, სულ იმაზე ფიქრობდა, პროფესორმა არ იცის ვინა ვარ, თორემ მობრუნდება და ხელს გამომდებს, თავის სიძეს ყველას გააცნობსო.

ცისო და ჯონდო ისე დაახლოვდნენ, რომ გულისნადების გამხელა არავითარ შიშის გრძნობას აღარ იწვევდა.

— ჩვენ ხომ ბავშვები არა ვართ, როდემდე ვიყოთ ასე? — უთხრა ერთ საღამოს ჯონდომ.

— ნუ ავჩქარდებით, დედას მივწერ და ჩამოვა.

— არა, მე არ შემიძლია ველოდო, თუ როდის ჩამოვა დედათქვენი.

— ასე უკეთესია, ჯონდო! ხომ იცი დედის გული...

— ნუ გეშინია, დედის გული ადვილად მოლბება. ჩვენ ხომ ბედნიერები ვიქნებით! განა დედამ უარი რომ თქვას, შენ არ წამომყვები?!

— არა, მაგრამ მე მაინც მინდა ვკითხო. ასე ჯობს.

— არა, ცისო! მე უკვე არ შემიძლია ერთ დღესაც კი უშენოდ ყოფნა.

ქალიშვილი გაწითლდა.

— ასე ჯობს, ასე ჯობს, დამიჯერე. — ახლავე გადავწყვიტოთ... მმაჩის ბიურო დაკეტილი არ იქნება. წერილის გაგზავნას შემდეგ მოესწრები.



8258

ქალიშვილი უსიტყვოდ იდგა. ჯონდომ ხელი მოკიდა მკლავზე და ნელა გაჰყენნე ქუჩას. მმაჩის ბიუროში ჯონდომ თავისი ორი ნაცნობი წაიყვანა. სიხარულით კანკალებდა და პაპიროსს პაპიროსზე ეწეოდა. ქორწინების მოწოდების გაფორმების ცერემონიას დაბინდული თვალებით უყურებდა. თითქოს მთელი თვითონ იყო, ხელი უტბად მოაწერა და გაწითლებული განზე გადგა. მხოლოდ ცისოს მოლიმარ სახესა და განათებულ თვალებს უცქერდა. მთელი მისი მომავალი, ბედნიერება იმ მოლიმარ სახესა და განათებულ თვალებში იყო. სხვა ყველაფერს წარსულის წყვედიადი ნთქავდა.

— ვინ არის? — ხელი გაკრა ჯონდოს ამხანაგმა.

— პროფესორ მესხის ქალიშვილი.

— ვისი?

— პროფესორ მესხისა.

ცისო ამ დროს მაგიდასთან დაიხარა და საწერ-კალამი აიღო ხელში.

— რომელია ეს? — ისევ ჰკითხა ამხანაგმა ჯონდოს.

— როგორ არ იცი! ჭავჭავაძის ქუჩაზე ფოსტის წინ ცხოვრობს, ორსართულიან სახლში.

— აა...

ახალდაქორწინებულთა სადღეგრძელო მახლობელ რესტორანში შეისვა. ბევრი არ დაუღევიათ. ერთი ბოთლი შამპანური ნეფემ იყიდა. იქედან რომ გამოვიდნენ, უკვე ბნელოდა. ჯონდოს აქამდე არ უფიქრია სად წაეყვანა ქალიშვილი. სახლი მაინც ჰქონოდა დალაგებული, მაგრამ ამასაც არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა ჯონდოსთვის. მთავარი იყო: ფართო ოთახები, ძვირფასი ავეჯი და... ლამაზი მეუღლე, ან კიდევ „ვოლგა“. პროფესორები სიძეებისათვის ავტომანქანას ყიდულობენ ხოლმე. ჯონდო არ არის ცუდი ბიჭი, მას რომ არ უყიდონ „ვოლგა“.

ის ღამე შეუმჩნევლად გავიდა და ფანჯარაში გაფენილ რიყრაყს პირველი შეხედეს. წუხელ სიბნელეში შემოვიდნენ აქ. ცისოს არაფრისათვის არ მიუქცევია ყურადღება. ოთახი თანდათან განათდა და ცისომ დაინახა ცარიელი კედლები. ოთახი ძალზე პატარა იყო.

— ჯონდო, შენ აქ ცხოვრობ? — ჰკითხა მან.

ჯონდომ სახე მისკენ შეაბრუნა.

— ჰო.

ქალიშვილი გაფითრდა, მაგრამ ეს იყო წამით. ლოგინიდან წამოიწია და შიშველ მხრებზე ზეწარი მოიხურა.

— რა კარგია!!

— რა?

— ის რომ ჩვენ აქ ვიცხოვრებთ. ჩვენ მარტონი ვიქნებით. ხელს არავინ შეგვიშლის. სადილს შინ გავაკეთებ, შენ მოხვალ და ერთად ვისადილებთ. მე ბევრჯერ მიოცნებია ასეთ ცხოვრებაზე. ხომ კარგად მოვეწყობით აქ?.. როცა ერთმანეთი გვიყვარს, რა მნიშვნელობა აქვს როგორი ბინა გვექნება! შენ არ იცი, მე რამდენი მიოცნებია, ასე რომ მეცხოვრა...

ჯონდოს ბუნდოვნად ესმოდა მისი ხმა და, რაც ესმოდა, არ სჯეროდა. მისი ოცნება იყო ფართო ოთახები და ნებიერი ძილი. როგორმე უნდა დაეჩქარებინა ახალი ცხოვრების დაწყება.

— ცისო, დედა როდის ჩამოვა? — ჰკითხა მან.

— არ ვიცი. წერილს გავუგზავნი ადრე ჩამოვიდეს. — წამოიწი და ლოგინი-
ნიდან გადმოვიდა. მხრებიდან ზეწარს არ იშორებდა. ერთ კუთხეზე მიკვნიდა
თქვა: სიხლიჩოშეკა

— ჯონდო, აქ მრგვალი მაგიდა დავდგათ რადიომიმღებისათვის, აქ კიდევ
სასადილო მაგიდა. აქეთ ჩემთვის სარკე. ლოგინი ყრუ კედლისაკენ შეეაბრუნოთ.
წავთქურა კარებთან დავდგათ ან შემოსასვლელთან.

ჯონდოს სახე დაეძაბა და გაფითრდა.

— ცისო, სად არის დედა? — ჰკითხა ბოლოს.

— სოფელში.

— რატომ წავიდა?

— არ წასულა, ჩვენ იქ ვცხოვრობთ. — იგი ლოგინის კიდეზე ჩამოჯდა. —
ჯონდო, მე შენთვის არ მითქვამს?! იცი, რა კარგი ორსართულიანი სახლი გვაქვს
სოფელში, მაგრამ დედას მაინც ძალიან უნდოდა ქალაქში გავეთხოვებინე. რო-
გორც კი ინსტიტუტში მოვეწყობით, დასასვენებლად იქ წავიდეთ. მამას გაუ-
ხარდება. მამაჩემი ბრიგადირია.

ჯონდო შეკრთა და თვალში შიში გამოეხატა.

— ცისო, შენ... შენ იქ. ჭავჭავაძის ქუჩაზე არ ცხოვრობ?

— კი... მე და პროფესორ მესხს საერთო დერეფანი გვაქვს. განა დაგავიწყ-
და? რამდენჯერ მიმაცილე შინ! — ოთახს თვალი მოავლო და დასძინა: — ჩემი
ოთახი ამაზე უფრო პატარაა. — ისევ მოავლო ოთახს თვალი, მერე ნელა დაიხარა
და მეუღლეს ნაზად აკოცა ლოყაზე.

ჯონდოს მომაკვდავივით გაცივებოდა ლოყა.



თანჯიზ აბიშვილი

პ ა ს უ ხ ი ღ ე ღ ა ს

შენ მეუბნები: დაქორწინდი, უკვე დრო არის,
და თან მარიღებ ნაღვლიან და უძირო თვალებს.
მე სულ გპირდები, სულ გპირდები და, ხედავ, მაინც
დავვაჟაკადი და არ თენდება ეგ ჩემი ხვალე.

მე მამის სახე, დედაჩემო, ლანდივით მახსოვს,
მე მამის სახეს სურათებით ვაშენებ, დედი!
სურათზე ვკოცნი მამის შავ თმას, ჭალარით ნაქსოვს,
და სურათიდან მათოვს თვალთა შარავანდედი.

შენ იყავ დედა და უეცრად მამობა გერგო
და ფერად კაბებს შეენაცვლა თალხი კაბეები,
მძიმე შრომისგან დაგეძარღვა ლორთქო ხელები,
ლორთქო პირსახე, — არც ნიავის გასაკარები.

მე გავხდი დიდი, გავიზარდე და მივხვდი ახლა,
რომ შენ დედობით მოიხადე მამობის ვალიც,
გავიზარდე და ვიხარია, თან შიში გახლავს,
რომ ვიღაც ქალმა არ წაგართვას სიცოცხლის თვალი.

გეშინია და მაინც მირჩევ, რომ გავხდე მამა,
გეშინია, რომ არ წაგართვას შვილის ალერსი...
ეხ, დედაჩემო, განა არ მსურს რომ ვიყო მამა,
რომ მეხვეოდნენ ჩიტუნები უსაყვარლესი?!

მე ვიცი, დედა დედა არის, შვილი შვილია,
ჩემთვის მამაც ხარ, დედაცა ხარ და გულის ფეტქვა.
დაქორწინდები, მაგრამ იცი რის მეშინია? —
მამა და დედა არ დაეკარგო ორივე ერთად.



იუსუ აბაშიძე

მოლა და მეთევზე

ერთ აღმოსავლურ ქალაქში ცხოვრობდა მოლა, რომელიც დროგამოშვე-
ზით აღაპყრობდა ხელს ცისკენ და ლოცვა-კურთხევით აღიდებდა ღმერთს.
მასთან მოდიოდა ხალხი დარიგებისა და ჭკუის სასწავლად, თანაც, როგორც
ღვთისნიერ ადამიანს, შესანახავად ფულსაც ანდობდნენ.

მოლას მეზობლად ცხოვრობდა მეთევზე ახმედის ღარიბი ოჯახი.

ერთხელ ახმედი მივიდა მოლასთან და თხოვა:

— ღვთისნიერო მოლა! დამეხმარე და მასწავლე, როგორ გამოვიყვანო
ოჯახი გაჭირვებიდან?

მოლამ ახმედი დაარიგა:

— ღმერთმა გაგვაჩინა და დაგვაჯილდოვა ჭკუითა და გონებით იმისათ-
ვის, რომ ჩვენ თვითონ გავიკაფოთ ჩვენი ცხოვრების გზა. ამასთან იცოდე,
რაც კარგი შეგემთხვევა, ის ღმერთის გულუხვობად ჩათვალე, ხოლო ცუდი,
შენი ბრალი იქნება. ღმერთს უყვარს მომთმენი ადამიანი და კარგ ცხოვრებას
მხოლოდ მას ანიჭებს, ვინც შრომობს. იქონიე მოთმინება, იმუშავე გულმო-
დგინედ და ღმერთისაგან სათანადო გასამრჯელოს მიიღებ.

მეთევზემ მადლობა გადაუხადა მოლას კეთილი რჩევისათვის და სახლში
დაბრუნდა. ის მთელ ღღეს ფიქრობდა მოლას პასუხზე და მხოლოდ საღამოს
გაუმხილა ცოლს, თან დასძინა:

— მიკვირს მოლას ყოფაქცევა. მე ვფიქრობ, ის ლაპარაკობს ერთს და
აკეთებს სულ სხვას. მე მირჩევს ვიშრომო და ისე ვარჩინო ცოლ-შვილი, ხო-
ლო თვითონ არ შრომობს, მთელ ღღეებს უქმად ატარებს, მიუხედავად ამისა,
მდიდრულად ცხოვრობს. რით შეიძლება ავხსნათ მოლას სიტყვისა და საქმის
ასეთი დაშორება?

ცოლმა უპასუხა:

— მოლას რჩევა-დარიგება გონივრული და სასარგებლოა. მართლაც, ადა-
მიანი უნდა იყოს შრომისმოყვარე. შენ კი როგორ იქცევი? როდესაც მოგე-
ხასიათება, მაშინ მიღიხარ სათევზაოდ და ხშირად ხელცარიელი ბრუნდები.
ეს გართობაა და არა მუშაობა. ვის გაუგონია კაცს ცოლ-შვილი მშვიერი ჰყავ-
დეს და დროს უნაყოფოდ ატარებდეს? განა შეიძლება ასე? კარგად დაფიქრდი

და გავიგებ, თუ რა უბედურება ელის შენს ოჯახს. გინდა თუ არა, უნდა იმუშაო და ისე არჩინო ოჯახი.

ახმედმა ისინი ცოლის დარიგება და დიდი გაჭირვებით გამოიხსნა სამუშაო. მისი გასამრჯელო მცირე იყო, მაგრამ მაინც დაუღალავად ცოლიც ეხმარებოდა და ორივემ ენეოგიული შრომით ოჯახის პირობები გაუმჯობესეს. განულო რამდენიმე წელმა და ახმედმა ოქრო დააგროვა.

— ფული და ქონება, რა თქმა უნდა, კარგია, — ეუბნებოდა ახმედი ცოლს, — მაგრამ ჯანმრთელობა ყველაფერს ჯობს. ძველად იტყოდნენ: „ღარიბი ჯანმრთელი ადამიანი ავადმყოფ მეფეზე უფრო ბედნიერიაო“. ამიტომ შრომასთან ერთად უნდა ვიზრუნოთ, რომ ჯანმრთელობა შევინარჩუნოთ. ჩვენ არ უნდა მივბაძოთ მდიდრებს და არც უნდა ვიფიქროთ, რომ ისინი ჩვენზე უკეთ ცხოვრობენ. უნდა დავკმაყოფილდეთ იმით, რაც გვაქვს. უკვე დავრწმუნდით, რომ ფულის მოგება ძალიან ძნელია. ისიც უნდა ვიცოდეთ, რომ საფრთხილოა ფულის ხარჯვა. ამ საქმეში ქალებს მეტი სიფრთხილე გამოთვებთ. ნათქვამია, ქალი დიდგულა და ანჩხლი სამ შემთხვევაში ხდება: პირველი, როცა ქმარი მდიდარია, მეორე როცა ქმარს ფული შემოეღევა, და მესამე, როცა ქმარი ხანში შევა.

უფულობა მე უკვე გამოვცადე. მშვიერი ვართო და ამ მიზეზით ორჯერ თავზე გადამახიე სათევზაო ბადე. ახლა ცოტაოდენი ფული გავიჩინა. სახამ გაჭირვებით ვცხოვრობდით. შენ ჩვენი ოჯახის იქით ვერაფერს ხედავდი, თვალზე ბისტი გქონდა. ცხოვრება ცოტათი გაგიუმჯობესდა თუ არა, იწყებ მდიდარ მეზობლებში სიარული და მომთხოვე ახალ-ახალი ავეჯი და ნივთები. რა თქმა უნდა, კარგია მდიდრული ცხოვრება, ძვირფასი ავეჯი. მაგრამ ჩვენ ამის შეძლება არა გვაქვს და შენს მოთხოვნებს ვერ ვასრულებ. ამის გამო ყოველთვის უკმაყოფილება გვაქვს და თვალცრემლიანი დადიხარ. ხან უხეშ სიტყვებსაც კი მკადრებ. დროგამოშვებით კარებსაც მაგრად მომიჯახუნებ ხოლმე, ავიღოთ ასეთი შემთხვევა: შენ მეზობელ ჭორიკანა ქალს ზელიხას დაპირდი ათ ოქროს გასესხებო. მაგრამ შეუძლია მას ვალი დაგვიბრუნოს? მის ოჯახში ყველა ზარმაცია, შენ კი ეს არ გესმის.

ცოლმა უპასუხა:

— ის მეზობელი ქალი, მართალია, ღარიბად ცხოვრობს, მაგრამ იშვიათი ენა-პირიანი და მოლაპარაკეა. როდესაც შემხედება, გამაჩერებს და, ამ სოფელში რაც ხდება, ყველაფერს მომიყვება. კეთილ ნათესავივით დამარბებს, რომ მოსალოდნელი ფათერაკი ავიცილინო. ამას წინათაც ძლიერ გონივრულად დამარბია და ძვირფასი რჩევა მომცა.

— რა გირჩია? — შეეკითხა ახმედი ცოლს.

— თუმცა ჩვენს საუბარს არავენ უსმენდა, ზელიხამ მაინც იშვიათი სიფრთხილე გამოიჩინა, გამიყვანა გზის პირზე, იქეთ-აქეთ გაიხედა და ყურში ჩამიჩურჩულა: „თუ კი შეემა კატამ გზა გადაგიჭრას, მიდი სახლში. დაიჭირე ქათამი, დააგლიჯე კული და ცეცხლზე დაწვი. ამის შემდეგ ნურაფრის შეგეშინდება, ალაპის ნებით. მოსალოდნელი უბედურება აცდდება. მადლობა გადაუხადე და დავემშვიდობე. გზად მომავალს მომაძახა: საიდუმლო შეინახე და არავის გაანდობო. აი, ახმედ, ხომ ხედავ, ჩვენი ოჯახის რა ერთგულია ზელიხა! შენ კი დამიშალე, რომ მისთვის ათი ოქრო მესესხებინა. განა ეს წინდახედულობაა?

ქმარმა შეაწყვეტინა ლაპარაკი და უთხრა:

— აბა რას ამბობ, ქალო, ჭკუიდან ხომ არ გადაცდი? რა კატა, რისა

ქათამი, ჩვენ სად გვცალია საჭორიკნოდ. დიდი ვაივაგლახით ცოტა დავაგრო-
ვეთ ფული და გინდა უთავბოლოდ გაჰვანტო! ვფიქრობ, უკეთესი იქნება ფულს
ვინმეს შესანახავად თუ მივაბარებთ. ჩემი აზრით, ერთადერთი სანდო პიროვნე-
ნება ჩვენი უბნის მოლაა. იგი დღედაღამე ღმერთს ერთგულეზას ეფიცება და
ვევდრება, სამოთხეს არ ამაცდინო. ასეთი ღვთისნიერი ადამიანები იშვიათად
მოიპოვებიან. ჩვენ რომ ღმერთის მადიდებელი მოლა არ გვყავდეს, ნამდვილად
ეშმაკები დაგვეპატრონებიან. ღმერთო ჩემო, მიეცი მას ხანგრძლივი სიცოცხ-
ლე ამ ქვეყნად და ჯენეთი საიქიოს, ამინ!

მეორე დღეს ახმედი წავიდა მოლასთან, ჯერ მოწიწებით მიესალმა და შე-
მდეგ თხოვა, ასი ოქრო შემინახეო.

მოლამ მოისმინა ახმედის სიტყვები, მიიპატიჟა მაგიდასთან, ამოიღო და-
თარი და დაიწყო წერა: ჯერ ჩაწერა სახელი „ახმედი“, შემდეგ შეეკითხა:

— ახმედ, შენ ვისი შვილი ხარ?

— მასწავლებელ ხუსეინის.

მოლამ ესეც ჩაწერა დავთარში და მერე თქვა:

— ხუსეინს მე ვიცნობდი. ის ღვთისნიერი კაცი იყო. რამდენი წლისა
ხარ?

— წლოვანებას ვერ გეტყვი, ის კი ვიცი, როდის დავიბადე.

— აბა, თქვი, როდის დაიბადე?

— ცხონებულმა დედაჩემმა მითხრა, რომ დავიბადე იმ წელს, როდესაც
ჩვენს სოფელში დიდი თოვლი მოვიდა.

მოლამ გაკვირვებით გადახედა ახმედს. წლოვანების ვერაფერი გაიგო,
მაგრამ მაინც ჩაილაპარაკა: „საკმაოდ ხნიერი ყოფილხარ“.

— ახმედ, მამაშენი სად არის?

— მამა ხუთი წელია, რაც გარდაიცვალა.

— ღმერთმა ჯენეთი მისცეს. ხუსეინი ჯანმრთელი კაცი იყო, რა მოუვი-
და, რითი გახდა ავად?

— არა, ავად არ ყოფილა, ვირის დარღმა გადაიტანა.

— როგორ თუ ვირის დარღმა? — გაიკვირვა მოლამ.

— ბატონო მოლა! მამას დიდი სახელი ჰქონდა, როგორც კარგ აღმზ-
რდელს და ენის მასწავლებელს. ჩვენმა დიდმა შაჰმა გაიგო ეს ამბავი, გამოუ-
ძახა და დაავალა, ჩემს ვირს ენა ასწავლეო. — დიდებულ შაჰო! — უთხრა
მამამ, — ადამიანს ენის შესასწავლად სჭირდება სამი-ოთხი წელიწადი. ცხოველს
კი, ამ შემთხვევაში ვირს, დასჭირდება არანაკლები ათი წელი. ათი წლის
შემდეგ, ვირს რომ მოვიყვან, მას ეცოდინება ლაპარაკი. შაჰი დაეთანხმა მამა-
ჩემს, გასცა ბრძანება და მამას ჩააბარეს ვირი და ათი წლის სარჩო-საბადებე-
ლი როგორც ჩვენი ოჯახისათვის, ისე ვირისათვის.

მამა სახლში დაბრუნდა და დედას ყველაფერი უამბო.

დედამ ჰკითხა:

— ხუსეინ, ვირს როგორ ასწავლი ენას, ეს ხომ შეუძლებელია? მოტყუ-
ებისათვის შაჰი თავს მოგკვეთავს და ჩვენ რა გვეშველება.

მამამ ღიმილით უპასუხა:

— ქალო, განა არ ვიცი, რომ ვირი ენას ვერ ისწავლის, მაგრამ რა მექნა?
ხომ გაგიგონია, ყოველგვარ მდგომარეობას ორი გამოსავალი აქვს: ერთი უა-
რესი, მეორე — უმჯობესი. უარი რომ მეთქვა შაჰისათვის, მაშინვე სიკვდილით
დამსჯიდა. ამიტომ უმჯობესი გამოსავალი მოვნახე. შაჰი დაახლოებით სამოც-
დაათი-სამოცდათუთხმეტი წლისაა, მეც მისი ტოლი ვარ, გავიფიქრე. ათი წლის

შემდეგ ერთ-ერთი ჩვენგანი აუცილებლად მოკვდება და ყველაფერი ამით დამთავრდება-მეთქი. მანამდე კი საცხოვრებელი მარაგი ბლომად გვექნება.

ამის შემდეგ ჩვენ ძლიერ კარგად ვცხოვრობდით. იმედი გვქონდა, მაგრამ გარდაიცვლებოდა, მაგრამ ბედმა გვიმტყუნა — მეცხრე წელს მამამ გარდაიცვალა. შაჰს ეს ამბავი მიუვიდა. მან სინანული გამოთქვა და დასძინა: „მასწავლებელ ხუსეინს ერთი წელი კიდევ რომ ეცოცხლა, ჩემს ვირს ნამდვილად ენას ასწავლიდა, მე კი ხალხი ხოტბას შემასხამდა და იტყოდა: „ღიღი შაჰის ვირიც ამეტყველდაო“.

— მეტყველება უნდა გამომდინარეობდეს სალი აზროვნებიდან. ვარის მეტყველება კი რა სასარგებლოა? — შეეკითხა მოლა.

— ნათქვამია, „ყველას თავისი ჭკუა მოსწონსო“ და, ვინ იცის, ეგებ ვირის ლაპარაკიც ბევრს მოსწონებოდა.

ახმედი და მოლა თავახიანად დაემშვიდობენ ერთმანეთს.

განვლო ერთმა წელმა. ახმედს ფული დასჭირდა და მოლას მიაკითხა. მოლამ გულგრილად მიიღო ახმედი და შეეკითხა:

— ახმედ, რაზე შეწუხებულხარ?

— მობარებული ფული უნდა წავიღო.

— ფული?! — გაიკვირვა მოლამ, შემდეგ ნახევრად დახუჭა თვალები,

ისეთი გამომეტყველება მიიღო, თითქოს არ ახსოვს ფული თუ ჩაიბარა, და თქვა: — განა შენ ფული მომაბარე? როდის იყო ეს?

— დიახ, ღვთისნიერო მოლა! მე ფული მოგაბარე შარშან, აი ამ მაგიდასთან. კიდევაც ჩაწერეთ დავთარში. ნუთუ დაგავიწყდათ?

მოლა ჩაფიქრდა. თითქოს უნდოდა გაეხსენებინა ასეთი შემთხვევა, შემდეგ მოიტანა დავთარი, გადაფურცლა და ახმედს უთხრა:

— ხომ ხედავ, დავთარში არაფერი წერია. მაშასადამე, ჩემთვის ფული არ მოგიბარებია. ცარიელი ნდობა სისულელეა. ყოველგვარი საქმე მოითხოვს სათანადო გაფორმებას. თუ მენდე და ფული მომაბარე, უნდა გქონდეს სათანადო ქალაღი. მომიტანე ჩემი ხელწერილი და მიიღე შენი ფული. თუ საბუთი არა გაქვს, მაშასადამე, შენ ცილს მწამებ. ღმერთს არ უყვარს ცილისმწამებელი. ყურანში ნათქვამია: იმ ცილისმწამებლებს, რომლებიც ოთხი მოწმით ვერ დაამტკიცებენ სინამდვილეს, პასუხი აგებინეთ და შემდეგში არ გამოიყენოთ მოწმიებად, როგორც უვარგისნი, თუ კი არ მოინანიებენ და არ გამოსწორდებიან.

მოლას სიტყვები რომ მოისმინა, ახმედი განსაცდელში ჩავარდა. მერე გაიფიქრა — მოლას, ალბათ, მართლაც დაავიწყდა, ფული რომ მივბარეო. ვთქვათ, ასე არ არის, ვთქვათ მოლას ყველაფერი კარგად ახსოვს და განზრახ უარს ამბობს, უნდა ფული შეირჩინოს. ამისათვის მას ღმერთი სასტიკად დასჯის და ჯოჯოხეთში დაწვავს, მაგრამ რას მოვიგებ ამით, ვინ დამიბრუნებს ოფლით მოპოვებულ ას ოქროს?

დაღვრემილი და ჩაფიქრებული ახმედი სახლში დაბრუნდა, ცოლს ყველაფერი უამბო და დასძინა:

— მოლას წინააღმდეგ საჩივარი უნდა აღვძრა. სამართალი ღმერთის დალოცვილია. მოლას დამნაშავედ იცნობენ და ჩემს ფულს დამიბრუნებენ.

ცოლმა სიტყვა გააწყვეტინა ახმედს და ურჩია არ ეჩივლა. ვერც ერთი სასამართლო საქმეს შენს სასარგებლოდ ვერ გადაწყვეტს, რადგან არც რაიმე საბუთი გაქვს და არც მოწმიეები გყავსო.

შოლას გამოეჭომაგა:

— დიდი ხანი არ არის, რაც ახმედის ცოლს სესხად ათი ოქრო ვთხოვე, მაგრამ მან ქმარ-შვილი დაიფიცა, ფული არ გვაქვსო. მართლაცდა, სად ოქრო ნიდა ახმედი ას ოქროს, რომ მოლასათვის მიეზარებინა? აშკარაა, სად ოქროს ახმედმა ცილი დასწამა. გაგიგონიათ ასეთი თავხედობა?

გავიდა რამდენიმე დღე. ახმედი და მისი ცოლი ამაოდ ეძებდნენ გამოსავალს, რომ დაკარგული ფული დაებრუნებინათ.

— ხომ ხედავ, ზელობამ მთელი სოფელი დაარწმუნა, რომ მე ცილისმწამებელი ვარ! — უთხრა ახმედმა ცოლს. შენ კი ფიქრობდი, თითქოს ის ჩვენი ოჯახის მეგობარი იყო.

ამ დროს ვიღაცამ კარზე დააკაკუნა. კარი გააღეს და შემოვიდა ზელობა. მიესალმა ახმედს და მის ცოლს. ცოტა ხნის დუმისის შემდეგ ახმედი შეეკითხა ზელობას:

— ზელობა, სად ნახულობ ამდენ საჭოროიკნოს?

— ახმედ, იცი რა! ჩვენმა მეზობელმა სიზმარი ნახა, ვითომც ძაღლმა უკბინა. დილას რომ ადგა, ნახა, ცოლი არსად იყო. ქვეყანა გადაატრიალა მის ძებნაში და ვერსად ნახა. პირდაპირ მიწამ ჩაყლაპა.

— რა კარგი ძაღლი ყოფილა! არ შეიძლება, რომ მაგ ძაღლმა სიზმარში შენს ქმარსაც უკბინოს?

— აბა რას ამბობ, ახმედ! — იწყინა ზელობამ. — ღმერთმა დამიფაროს! ჩემს ქმარს ძალიან ვუყვარვარ და უჩემოდ ერთ დღესაც ვერ გაძლებს. დარდი გადაიტანს. ამას წინათ მეზობელთან ვიყავი. დილით წასულს ცოტათი დამაგვეიანდა და სახლში საღამოს მოვედი. განა ეს დასაძრახია? რა მოხდა მერე. ქალები ლაპარაკს შევექეციით. მაგრამ ქმარი მართლა გაგულისდა, მთელი დღე ოჯახი ვის დაუტოვეო, კაცმა ჯოხით უნდა გცემოსო. თუმცა ჯოხი გვერდით ჰქონდა, ჩემთვის ერთჯერაც არ დაუტრყამს, ისე ძლიერ ვუყვარვარ.

— ხომ ხედავ, ზელობა, — უთხრა ახმედმა — შენი ქმარი ჭკვიანი ყოფილა. მართალია, ჯოხი არ დაგარტყა. მაგრამ თუ გაიგებ, მისი სიტყვები ჯოხზე უფრო მწარეა. შენ მეც მაძაგებ ხალხში. განა ეჭვი გეპარება, რომ მოლას ფული მივზარე? იცოდე, ზელობა. ასი ოქრო ნამდვილად მივზარე მოლას შესანახავად. მან კი უარი მითხრა. სულ აღარ მოველოდი მისგან ასეთ უსამართლობას. ნათქვამია, „მიზარებული მგელმაც კი შეინახაო“. ჩვენი მოლა, როგორც ვხედავ, მგელზე უარესი ყოფილა, მაშასადამე, ხალხი მას აღარ ენდობა და, წყლადაც რომ იქცეს, იმით პირიც არ დაიბანება...

— მე ამ ქალაქში თითქმის ყველას ვიცნობ, — თქვა ზელობამ, — ისიც ვიცი, თუ ვინ რას აკეთებს და რით საზრდოობს. ამას წინათ ერთი შეიხი ამბობდა: ადამიანი გააჩინა ღმერთმა და უბრძანა: სამყაროში შენზე უკეთესი არაფერი გამიჩენია. შენ ხარ უძვირფასესი განძი. შენ მოგეცი ჭკუა, გონება, აზროვნების უნარი, თვალი, ხელი, ფეხი... შეგამკე ყოველმხრივ... წადი, იმრომე და იცხოვრე ამქვეყნად, აკეთე კეთილი საქმე. მაგრამ ადამიანი, განაგვრძო შეიხმა, ვერ აფასებს ამ სიდიადეს. ამაში ხელს უშლის პატივმოყვარეობა, სიხარბე, სახელის მოხვეჭის, გამდიდრებისა და დიდი თანამდებობის სურვილი. ყველაფერი ეს ადამიანს უკარგავს ადამიანურ სახეს.

— ახმედ, მართალია შეიხი. აბა დააკვირდი, რა ხდება ჩვენს ირგვლივ. ზოგიერთი ისე განებვირდა და სიამაყემ ისე შეიპყრო, რომ თავისთავის ვარდა ვერაფერს ხედავს. ყოველგვარ სიამაყეს სჩადის, მაგრამ მათი დანაშაული

დაუსჯელი რჩება. მათ იფარავს თანამდებობა თუ მდგომარეობა. ჩვენს ქალს, მაგალითად, იფარავს ანაფორა და სამოსელი. იგი სარგებლობს ღვთის სახელით, ატყუებს ხალხს და ითვისებს მის ქონებას. შენც მისი ანაფორაა. ღვთის მსხვერპლი გახდი. მაგრამ გულს ნუ გაიტეხ. ნათქვამია, ცდა შეტეხის შედეგად ხევრეაო. მოდი, ჩვენც ვცადოთ აი ასეთი ხერი: ჩვენს სოფელში ცხოვრობს ერთი მდიდარი ვაჭარი ქალი. მართალია, მას ვაჭარს ეძახიან, მაგრამ რით ვაჭრობს, არავინ იცის, ქონება და სიმდიდრე კი უამრავი აქვს. ნამდვილად ამ ქალს ეცოდინება ფულის მოგების ბეგრი გზა. ძველი თქმულებაა, 'შემის პობის დროს მორში ჩარჩენილ სოლს სოლითვე ამოაგდებენო, ე. ი. ბოროტის წინააღმდეგ საბრძოლველად ბოროტი ძალა უნდა გამოიყენო. თქვენ, ცოლქმარმა, ინახულეთ ის ქალი, აუხსენით ყველაფერი. თხოვეთ დახმარება, სამაგიეროდ დაპირდით გასამრჯელოს.

ახეიდა ინახულა ვაჭარი ქალი. ქალმა ახმედი მეორე დილისათვის დაიბარა.

დანიშნულ დღეს ახმედი მივიდა. ვაჭარმა წამოიღო ჩემოდანი, წამოიყვანა მოსამსახურე გოგო და ყველანი ერთად მივიდნენ მოლას სახლში. ოთახში შესვლისას ქალმა ახმედი დაარიგა, თუ მოსამსახურე გოგოსთან ერთად როდის უნდა შესულიყო მოლასთან, თვითონ კი პირველი შევიდა. დაინახა თუ არა მდიდრულად ჩაცმული ქალი, მოლა თავაზიანად მიესალმა და შეეკითხა,

— რით შემიძლია გემსახუროთ, ქალბატონო?

— ღვთისნიერო მოლა! შენი სახელი დიდი ხანია მესმის, ხალხი დიდ პატივს გცემს. შენზე უფრო სანდო ჩვენ არავინ გყავს. საქმე ის არის, რომ ჩემი ქმარი ხუთი წელიწადია საზღვარგარეთ წავიდა, დღემდე არ დაბრუნებულა. მინდა მის სამეზობლად წავიდე. გზაში რა მომივა, არ ვიცი. ამიტომ მინდა მოგაბარო ჩემი თვალ-მარგალიტი. — ქალმა ჩემოდანი გახსნა და მოლამ ხარბი თვალი შეავლო უთვალავ განძს. — თუ სამი წლის განძავლობაში დავბრუნდი, ხომ მომცემ ჩემს ქონებას. თუ არა, გაყიდე ეს ყველაფერი და ჩემს სამადლოდ მოახმარე ქვრივ-ობლებს.

ამ დროს უცბად კარი გაიღო და მეთევზე ახმედმა შემოიხედა. როგორც კი თვალი მოჰკრა მას, მდიდარი კლიენტი რომ არ დაეკარგა, მოლამ დაუყვავა:

— მოდი, შვილო. ახმედ! მე დავთარი დავათვალაიერე, შენ მობარებულნი გქონია ასი ოქრო. წაიღე, იგი, შვილო.

მოლამ ფული ჩაუთვალა ახმედს და საჩუქრად ათი ოქროც დაუმატა. ახმედმა ფული ჩაიბარა. ამ დროს გაიღო კარი. ოთახში მოსამსახურე გოგო შემოვიარდა და ვაჭარ ქალს მიახარა: „ქალბატონო, ჩვენი ბატონი საზღვარგარეთიდან დაბრუნდა“.

ეს რომ გაიგონა, ვაჭარმა ქალმა თავისი ჩემოდანი დაკეტა და აცეკვდა. მას აყენენ მოსამსახურე გოგო და ახმედი. მოლაც აცეკვდა.

— პატივცემულო მოლა! მე დამიბრუნდა ქმარი. გოგოს — ბატონი, მეთევზე ახმედს — დაკარგული ასი ოქრო, ჩვენ ეს გვიხარია და ვცეკვავთ, მაგრამ შენ?

— მე?! მწარედ მოტყუებული ჯავრს ცეკვით ვიოხებ — ნაღვლიანად უბახუხა მოლამ ვაჭარ ქალს.



მემაწვენე ბიჭი

ჩამოივლი თანჯარასთან
ყოველ დილით
და მიდამოს მუშტრის თვალით
ასწონი,
მერე, როგორც მემწვანილე
კრენკებილი,
გაიძახი: მაწონი.

ქორწინებიდან ერთი წლის შემდეგ ბი-
რონის მეუღლე ლედი ანაბელა მილბენკი
მშობლების მამულში გადასახლდა და ბა-
ირონთან აღარ დაბრუნებულა.

რას ჭორაობენ, რას დამცინიან,
რა აჩუჩულებთ ნეტავ ამ რტოებს?
ჩემი ტრფიალი, ალბათ, იციან
...და რომ დამტოვე...
...და რომ დამტოვე...
ო, ალბათ ლედი,
გულის სწორადაც აღარ გარგივარ;
აღარ მიდიმის ტიალი ბედი,
მარტო დავდივარ.
დავდივარ მარტო და შმაგი ქარი
ეაღერსება ქუჩის ქარაფებს
და მეც არ ვმაღავ
გრძნობით დამწვარი,
რომ სიყვარული მაღაპარაკებს.
რას ჭორაობენ, რას დამცინიან,
რა აჩუჩულებთ ნეტავ ამ რტოებს?
ო, სიყვარული მათაც იციან
...და რომ დამტოვე...



პიჯალი გობლიჩიძე

ზღვაში ნაკოვნი ბედნიერება

...შენ ხომ კარგად იცნობდი ირინეს? ის ხომ ჩვენს პარალელურ ჯგუფში სწავლობდა... არ ვახსოვს? არა უშავს რა, ყური დამიგდე...

მე და ირინეს ერთმანეთი გვიყვარდა ნამდვილი წრფელი გატაცებით... მისი დაკარგვის შემდეგ ქალებისაყენ აღარ გამიხედავს... არა, ირინეს ცუდი არაფერი მოსვლია, პირიქით, კმაყოფილია თავისი ბედით და ახლა ქმართან ერთად სადღაც მოგზაურობს.

ღიახ, ქმართან ერთად.

ამ რამდენიმე წლის წინათ იგი რუსეთში გაემგზავრა სასწავლებლად და თავისი მოხუცი დედაც თან წაიყვანა. განშორებისას საუკუნო ერთგულების დიცი დავდეთ და... იგი კარგა ხანს დუმდა. ერთ დაწყევლილ დღეს (ღიახ, ასე უთვლი იმ დღეს) მივიღე ბარათი არა ირინესგან, არამედ მისი მეგობარი ქალიშვილისგან, რომელიც ირინეს ბედნიერებას მატყობინებდა.

არ ვიცი როგორ ბედნიერება იყო ეს ირინესათვის, ჩემთვის კი...

ჰოდა, მისი დაკარგვის შემდეგ ქალებისაყენ აღარ გამიხედავს.

დავრჩი ასე.

გავიდა დრო.

უმალღესი სასწავლებელი დავამთავრე და აქვე, ქალაქში მოვეწყვე სამუშაოდ. რა ბიჭიც ვარ, ხომ მხედავ, ჩემს ცოლობაზე, ალბათ, ბევრი ლამაზიც არ იტყოდა უარს, მაგრამ... გული თითქოს ამომგლიჯეს.

ალბათ, დრომ თავისი გაიტანა. რადგან მოხდა ის, რაც წუთით ვერ წარმომედგინა, ან შეიძლება იმიტომ მოხდა, რომ ასე ძლიერ ჰგავდა ის ქალიშვილი ირინეს?...

არ ვიცი...

რა მოხდა?... ახლავე... თუმცა უმჯობესია აქედან დავიწყოთ:

— შენ კარგად იცი, როგორ მიყვარს ზღვა. ირინესაც თავდავიწყებით უყვარდა ზღვა: ყოველ ზაფხულს ზღვაზე ერთად ვატარებდით. გემახსოვრება, ერთ დროს შორეული ნაოსნობის კაპიტნობაზეც ვვოცნებობდი, მაგრამ ეს ოცნებაც, ისე როგორც ბევრი სხვა ახალგაზრდული მისწრაფება, უკვამლოდ დაიფერტლა... ჰო, იმას ვამბობდი, ზღვის უბადლო მოტრფიალე ვარ!

მიყვარს ზღვა, მოუსვენარი, უძირო და უკიდევანო!

აი, მრავალფერად მოკენჭილ ნაპირზე ვზივარ და გავყურებ ზღვის უსასრულობას. ზღვაური უჩინარა თითებით მივარცხნის ქოჩორს და მეალერსება. შორს კი ცეცხლმოდებულ ჰორიზონტზე ფრთხილად ეშვება მზე, თითქოს ცივი წყლის ეშინია — ოდნავ ეხება ზღვის მოტორტმანე ზედაპირს, მისი ნელ-ნელა იძირება მის სიღრმეში. თან უკანასკნელ სხივის, როგორც ხელებს, ჩემსკენ იშვებს, თითქოს შევლას მთხოვს...

მეც სწორედ ამ დროს შევდივარ ზღვაში. უკან ვიტოვებ ნაპირს და ვისწრაფი იქით, შორს ცის დასალიერისაკენ, სადაც მზე იძირება...

ვიჩქარი, მაგრამ უკვე გვიან არის.

იგი ჩაიძირა.

ნაპირიც გაუჩინარდა.

ბინდდება და ცაზე უხილავი ხელი ურიცხვ კელაპტარს ანთებს.

მე კი პირაღმა გაწოლილი შევყურებ მათ და ვვოცნებობ...

ვვოცნებობ,

ვვოცნებობ!..

* * *

და აი დადგა სანატრელი ზაფხული.

აღაფწყვიტე ორი კვირით მაინც ვწვეოდი ზღვას.

მე უკვე ზღვის პირას ვზივარ.

ზღვა ღელავს.

აფოფრილი ვეებერთელა ტალღები გაგიჟებით აწყდებიან ნაპირს, ღმუიან, ჰქუხან და ქვეყანას წალოკვით ემუქებიან. კლდის განწირულივით ემსხვრებიან, შემდეგ უკან იხვევენ და ახალი, მომეტებული ძალით უტევენ ნაპირს...

ზანტად წამოვდექი.

უნდა წავიდე.

დღეს ვერ დავტკბები ზღვაში მზის ჩასვლის მშვენიერებით...

ღილით ადრე არ ავმდგარვარ, რადგან ღრუბლიანი დღე იყო. ზღვის მსუილი ჩემს ოთახში შემოჰქონდა ნიავს. ბრაზი მახრჩობდა — ასეთი ცრემლიანი დღეები თუ დაიჭირა...

როგორც იქნა. შუადღისას მზემ გამოანათა.

მაღე ზღვაც დამშვიდდა.

სანაპიროსაკენ გავეშურე. პლაჟი საესე დამხვდა. მოშორებით, ბებერი ნაძვის ჩრდილში. ჩამოგჭეჭი და იქაურობას თვალი მოვაფლე. განსაკუთრებული არაფერია. ჩვეულებრივი ზღვისპირეთის სურათი — მზისგან დამწვარი ადამიანები, სახელდახელო კარვები და ქოლგები; მოწყუმპალავე მხიარული ზავშვები; დარბაისელი. თვალემოჭუტული მამაკაცები და საბანაო კოსტიუმებში გამონაკაგოლი ოროოლი ქალები. რომლებიც მზეს უფრო არიდებენ თვალს, ვიდრე სიცოცხლით საესე მკერდგანიერ ვაჟკაცებს... და რაც მთავარია, ქალიშვილები — პლაჟის სიცოცხლე. სილამაზე და ლაზათი.

ერთხანს ისი. თითქოს გინმის ვუთვალთვალე, შორიდან გავყურებდი ზღვას. შემდეგ წამოვდექი, ხალხის სიმრავლეს გავერიდე, თავისუფალი ადგილი მოვძებნი. რანჩი გაიხაოე და უზარმაზარ ტალღაში შევიჭერი. მხარული შოვუსვი, კარგა მანძილით მოვიტოვე ნაპირი. უეცრად მოვიხედე და შევნიშნე ქალი. რომელიც ლამაზი მხარულით მიახლოვდებოდა.

მეც ჩემდაუნებურად მივცურავ მისკენ.

მაღე ერთმანეთის პირისპირ აღმოვჩნდი.

როგორ გითხრა!

ის იყო ნამდვილი ზღვის ფერია. ჯერ ჩემთვის უხილავი ფართო ზღვისფე-

მეორე დღეს კვლავ ზღვას მივამურე. პლაჟზე აქეთ-იქით ვაცეკვებ
თვალეზს.

შეცრად რაღაცას წავკარი ფეხი. თითების საშინელი ტკივილი ვგრძობდი,
ღირს დავიხედე და უსიამოვნოდ შევიშმუშნე — ჩემს წინ ძვირფასად ჩავუთქვამ
ქალის ფეხის პროთეზი იდო, როძელსაც იქვე ძწოლმა ქალიშვილმა კაბა
სწრაფად გადააფარა.

ქალიშვილს თვალი შევაველე. პროთეზი მისი არ იყო. ბოდიში მოვიხადე
და ის-იყო გზის გაგრძელება დავაპირე, რომ შევნიშნე, ქალიშვილმა ვიღაცას
უარის ნიშნად ხელი გაუქნია. მე იქით გავიხედე და...

ნაპირთან, ახლახან ზღვიდან ამოსული იდგა ის... ორი ქალიშვილი მხრებ-
ში შედგომოდა.

ჩვენი თვალეზი წუთით შეხვდნენ ერთმანეთს.

მან გაიღიმა.

არ ვიცი რისთვის. რა უნდოდა ეთქვა ამ ღიმილით... ალბათ, დამცინო-
და... დიახ, დამცინოდა, რადგან იგი ახლა აღარ მიყვარდა... რადგან ახლა
აღარ ვფიქრობდი ისე, როგორც ამ ერთი წამის წინ... ახლა იგი მებრალებოდა
და სწორედ ამ უფასო მოწყალებისათვის დამცინოდა...

ეს ყოველივე ერთ წუთსაც არ გაგრძელებულა. როგორც ამ ორი დღის
წინ, ისინი შებრუნდნენ და ზღვაში შეცურეს.

ქვიშაზე მწოლ ქალიშვილს დავხედე. მის თვალეზში ცრემლი ციალებდა.
მეუცნაურა, მაგრამ საკუთარი ბოლმა მახრჩობდა, მისთვის აღარ მეცალა.

უკანასკნელად გავხედე ზღვას და ქალიშვილები ისე მოჩანდნენ, როგორც
ლურჯ ქაღალდზე სამი შავი წერტილი.

* * *

მალე მატარებელი ჩამოდგება.

სად მივიჩქარი?

აი, წაიკითხე:

„...ძვირფასო... იქნებ ჯობდა არ მომეწერა? მეტი აღარ შემიძლია. მე
უბედური ვარ და არა მოღალატე... ის, რაც ჩემს შესახებ იცი, ყველაფერი მო-
გონილია... სინამდვილეა, რაც ზღვაზე ნახე... მიცანი?... მგონია, რომ არა...
და თუ მიცანი, სწორად მოიქეცი... ამიტომ გადავწყვიტე — დროა ყველაფერი
იკოდე... ირინე“.



ჩუგოხედი

გარეშეს ლურჯი საქანელა

მე არაერთხელ მქონია ფრთები
გალაქტიონი

ფრთა გაშალე: გაფრენა
გულს ხომ ასე სჯეროდა,
ლილისფერმა აფრებმა
დაგაფარეს ჩერო და
გაგაქროლეს... აიზიდა —
სულს ცად მიუხარია,
სად მარადი აისი და
უოლოსის ქნარია.
ზეცის ცეცხლმა გაგანელა
მიწის ცეცხლი უგეში,
გარწევს ლურჯი საქანელა
უკვდავების უბეში.
ცამ თოვლივით ჩამოზარდნა
ვარსკვლავეთის ვარდები.
ვინ თქვა შენი ჩამოვარდნა?
შენ არ ჩამოვარდები!





პახანზ გორგენაძე

პ ა პ ა ჩ ე მ ი

შენ არასოდეს დაგიწყვია გულზე ხელები,
სულ ფეხზე იდექ, ვინ გნახავდა ბუხართან მოხრილს,
შენ ძილშიაც კი უსაქმურად ვერ ისვენებდი,
გელანდებოდა ღამით ხარი, ბარი და თოხი.

ბევრჯერ უღმერთოდ გახვითქულხარ მიწასთან ბრძოლით,
ეს გიხაროდა, ეს გმატებდა ძალას და ხალისს.
ისეთი იყავ, მთელ ერწოში არ გყავდა ტოლი,
ოჯახს ედექი, როგორც გლეხკაცს ნიკორა ხარი.

ემატებოდა სიჭაბუკის ცეცხლი შენს თვალებს,
სხვარიგად ძგერდა, პაპაჩემო, გული ცინცხალი,
როცა მუხის ქვეშ დაჯდებოდი, ისე ვით მთვარე,
და შვილიშვილებს ვარსკვლავებად შემოგვისხამდი.

რა სიყვარულით გვიყვებოდი ზღაპარს ცხოვრების,
არ გაკლდებოდა არაკები ათასგან ნამყოფს,
რაც გინდა გეთქვა, ერთხელ კიდევ მოიგონებდი,
კეთილმა კაცმა თხილის გული ცხრად როგორ გაჰყო.

— უწინ მე მოგვდე, არ ენახოთ ომი ყმაწვილებს, —
ამბობდი ხოლმე ზღაპრის ბოლო სიტყვასთან ერთად.
შვილიშვილებმა როცა შენი კუბო ასწიეს,
შენ თითქოს მაშინ დაიბადე მეორედ ქვეყნად.

თითქოს გვითხარი, „შემოგიფლით ლოცვას იქიდან“.
წახვედი პაპა, დაგრჩა მხოლოდ საქმე კეთილი.
კუბოში იწექ, შვილიშვილებს მაინც გვიკვირდა,
საიქიოში ვით გაძლებდი ხელდაკრეფილი?!



გიორგი ჯაშაძე

ძ მ ო ზ ი ს ძ ა ლ ა

ძმებს ყოველთვის უყვართ ერთმანეთი, მაგრამ ჩვენ — განსაკუთრებით. ეს, ალბათ, იმიტომ, რომ ტყუპები ვართ.

სანამ პატარები ვიყავით, ჩვენ მხოლოდ სახელით გვასხვავებდნენ. მშობლების გარდა, ყველას უჭირდა ჩვენი გამოცნობა, ისე საოცრად ვგავდით ერთმანეთს. ფეხსაცმელსა და ტანსაცმელსაც ერთნაირს გვიკერავდნენ. ჩვენი სოფლის მაღაზიაში, მეზობლისას თუ სხვაგან, აუცილებლად ერთად უნდა წავსულიყავით... უერთმანეთოდ ვერ ვძლებდით.

სასწავლებელშიც ერთად შევედით და ერთადვე დავამთავრეთ საშუალო სკოლა. მე უმაღლეს სასწავლებელში განვაგრძე სწავლა, მისი დამთავრების შემდეგ ცოლი შევირთე და რაიონში დავიწყე მუშაობა. იშვიათად თუ ვესტუმრებოდი მშობლიურ სოფელს.

დედა ადრე გარდაგვეცვალა. მამა გვყავდა სანუკვარად და მას პატარა ბავშვივით ვეფერებოდით, გულს ვუკაყებდით, ვახალისებდით, რომ არ ედარდა მარტოობა.

ჩვენი ოჯახის ყველა წევრს, განსაკუთრებით მოხუც მამას, ჩემი მეუღლე შვილებში არ გამოერჩეოდა; ყოველთვის იმას ცდილობდა, რითიმე ესიამოვნებინა ოჯახის ახალი წევრისათვის; ხილს, ტკბილად შენახულ ღვინოს სიყვარულით მოუკითხავდა ხოლმე და ნატრობდა როდის გაიჩენდა მეორე რძალსაც.

განსაკუთრებით ვიგონებ იმ ზაფხულს, რომელიც თურმე უკანასკნელი იყო მამაჩემისათვის. სოფელს ვეწვიეთ. გახარებული მამა გვკოცნიდა და გვეაღერებოდა. რალაცის თქმა სურდა, მაგრამ რცხვენოდა, თავს იკავებდა... ერთ საღამოს, ვახშამზე, რამდენიმე ჭიქა ღვინო რომ შესვა, მამაჩემმა სიტყვა ჩავვიკრა: შვილებო, ბაბუა როდის გავხდებით.

მე და ჩემმა მეუღლემ ერთმანეთს დარცხვენით გადავხედეთ.

... და ერთ დღეს ჩვენს ოჯახშიც დაირწა აკვანი, მაგრამ საწყალ მამაჩემს ბადიშის ალერსი არ მოესწრო.

ვიდრე ამ ქვეყნიდან წავიდოდა, მამაჩემმა ჩემს ძმას ტოლი მოუნახა და კიდევაც დააქორწინა... როგორ უხაროდა მოხუცს რძლის მოყვანა! თითქოს ცა ქუდად და დედამიწა ქალამნად აღარ მიაჩნდა, მხიარულობდა, ღიღინებდა... მორიდებულს ერთხელ კიდევაც წამოსცდა, ახლავე აკვანი მინდა მოგიმზადოთო...

და რამდენიმე დღის შემდეგ უეცრად ლოგინად ჩავარდა, აღარც ამდგარა.

ჩემი რძალი ძალიან თავაზიანი, მოკრძალებული და კაცთმოყვარე დადგინდა გამოდგა. ყველას ყურადღება დაიმსახურა. „თეომ სოფლის რძლები დაჩრდი-
ლაო“ ამბობდნენ ხოლმე მეზობლები.

თეოს მართლაც ისე ეჭირა თავი, რომ ყველა მშობელი ინატრებდა იმის-
თანა რძალს, ყველა საცოლო — მისებრ სათნო და მშვენიერი ყოფაქცევის მეუ-
ლლეს.

ქორწილის მეორე დღეს თეო უფრო ალერსიანი, სათნო, მშვენიერი და მო-
მხიბლავი მომეჩვენა. ამის შემდეგ მშობლიურ სოფელში სიარულს ვუმატე...
მიხაროდა, რომ ნედლდებოდა მამა-პაპისეული ოჯახი.

მაგრამ... სიამტკბილობა დიდხანს არ გაგრძელდა.

ვტყობილობდი, რომ თეო დღითიდღე იცვლებოდა; ვერ უტირდებოდა-
მულს, მოყვარე-ნათესავებს, მეზობლებს. მცირე რამეზე დიდ ალიაქოთს ასტეხ-
და.

ბოლოს ქმარსაც შეუჩნდა, სულ ეჩხუბებოდა, ქალაქში წავიდეთ, მომამო-
რე სოფლის ტალახსო.

— რას ამბობ, თეო, მამის სახლი ნასახლარად გადავაქციო? თავი სასაცი-
ლოდ გავიხადო?

... ასე გრძელდებოდა დავა და წუწუნი. ოჯახი თანდათან ჰკარგავდა მადლ-
სა და სითბოს, ურომლისოდაც მშობლიური კერა ჩირადაც არ ღირს.

* * *

ერთხელ მეც შევესწარი მათ ჩხუბს. ის-ის იყო ფეხი შევედგი ეზოში,
რომ ხმამაღალი ლაპარაკი მომესმა. მეგონა, კვლავაც ღიმილით შემხედებოდა
რძალი, მაგრამ დამინახა თუ არა, პირი ოთახისაკენ იბრუნა. გავვოცდი. მეწყინა.
გულში რაღაც მწარე ტკივილი ვიგრძენი, მაგრამ არ შევიმჩინე. უკან ხომ აღარ
გავებრუნდებოდი, თუმცა გული წინ აღარ მიმიწევდა.

სალამოს, როცა ოჯახში ყველამ მოიყარა თავი, თეოს უხასიათობა მოემატა.
ხმამაოულეზლად გაბუტული იჯდა. დროგამოშვებით ამოიხორებდა ხოლმე.

ეს ჩემს ძმას, პეტრეს, შეუთმჩნეველი არ დარჩენია, მაგრამ ცოლისთვის
არაფერი უთქვამს. ვახშამი დააჩქარეო ესლა მოავგონა. თითქოს ამას ელოდო,
თეომ დაუყოვნებლივ მიახალა:

— მე ასეთი პირობით არ გამოგყოლივარ — დავჯდე სახლში და საჭმელი
გიკეთო უსწავლელი ქალივით. ხომ იცოდი ყოველივე ეს, რატომ ჩადექი ჩემს
ცოდვაში?

პეტრემ ბაგეზე იკბინა და არაფერი უპასუხა.

მე მაშინ ვერ გავიგე, რა უნდოდა თეოს ამით ეთქვა, ვიგრძენი კი, რაღაც
სხვა აწუხებდა...

თეომ ბოლოს და ბოლოს ვეღარ მოითმინა და გამოტყდა: თურმე ნუ იტ-
ყვით, გული ქალაქისაკენ მიუწევდა და უნდოდა მამამთილისეული სახლ-კარი
გაეყიდა, მაგრამ ქმარი რომც დაეყაბულებინა, უჩემოდ ხომ მაინც ვერ გაყიდდა
ქონებას? ამიტომ შემიძულა და სურდა თავიდან მოვეშორებინე: სხვაგან მუ-
შაობს, აქ არაფერს ქმნის და რის მოზიარე უნდა იყოსო.

ამ ამბავმა ძალზე დამადონა.

გზელავდი, სიყვარულით ნაშენ კერას საფუძველი ერყეოდა.

კვლავ ვესტუმრე მშობლიურ სოფელს. ახლა უფრო მომნატრებოდა იგი. ვამახსენდა, პატარაობისას მახეს რომ ვუგებდი ჩიტებს, კოდმეებიდან ჩორჩორავდა რაკე წყაროზე ჩალის წისქვილს რომ ვმართავდი. ყოველი ქვა და ლოდის მსახურისაა. ლი ხეები მაგონებდნენ ჩემს ტკბილ ბავშვობას და, ეზოს რომ მივუახლოვდი, ნიავის შრიალში თითქოს მამაჩემის ხმა მომესმა:

— შენ იცი და შენმა ბიჭობამ, ოჯახს თუ არ დამიქცევ და მამა-პაპურად მოუვლი!

მტკიცედ გადავწყვიტე მამისეული კერა გასაყიდად არავისთვის დამენებებინა და უმაღვე გზა განვაგრძე... ჭიშკართან მივირბინე, გავაღე და ის იყო ეზოში ფეხი შევდგი, თეო, რომელიც რიკულებიან აივანზე იდგა, წარბებგახსნილი, გაღიმებული კიბეზე დაეშვა და ჩემსკენ გამოემშურა:

— მობრძანდი, ძმაო! — აღტაცებით მომაძახა, გადამეხვია და გადამკოცნა, სწორედ ისე თბილად, ისეთი სიყვარულით, როგორც ქორწინების მეორე დღეს. მერე ხელმოხვევით აივანზე ამიყვანა, დივანზე გვერდით დამისვა და საამო საუბარში ჩამაბა.

მე ვფიქრობდი, ვფიქრობდი იმაზე, თუ ასე სასურველად რამ შეცვალა ჩემი რძალი. აქებ-ადიდებდა სოფელს, მამისეულ კერას, ისე ტკბილად ლაპარაკობდა, თითქოს ენიდან თაფლის ნაკადული მოედინებოდა...

მე მივხვდი, თუ ვინ მოიყვანა იგი გონს... ვისმა შთაგონებამ გასჭრა... მაგრამ ხომ არის ასეც, დღეს აღამიანი ცდება, ცუდ საქციელს სჩადის, ხვალ კი თვითონვე გმობს თავის ავ ნამოქმედარს...

და ახლა ისე ლამაზი ჩანდა თეო, როგორც გაზაფხულით აყვავებული ჩვენი ეზო, მრავალნაირ ყვავილს რომ დაუმშვენებია.



ახადგაზრდა პოეზიების დექსები

ღაპით ბაკაშიძე

ქველი საყდარი

ბავშვობისას პაპაჩემი
რომ მეტყოდა, ახლაც მახსოვს:
ახსენეო ღმერთ-გამჩენი,
როს გაუვლი ტაძარს ახლოს.
შიგ ნურასდროს შეიხედავ,
ეშმაკების ბუდე სახლობს!
ნატყვიარ ხელს შეიხვევდა,
რომ ვიგონებ, ახლაც მაფრთხობს.
მის კედლებში, მიაშობდნენ,
თურქთ ასეულს ჰქონდა ბინა,
რჯულს მახვილით მიაშობდნენ,
დღედაღამე არ გვეძინა.
ვერ გაუძიელთ ტანჯვას,

სირცხვილს,
თავს დავესხით უკუნ ღამეს,
კედლებს შერჩა მათი სისხლი,
ამ მთიდან შორს უკუვაგდეთ...
და მას შემდეგ დგას საყდარი,

მკერდზე იხლის წელთა სრბოლას,
აგონდება თურქთა ჯარი,
შერკინება, დიდი ბრძოლა.
საყდრის ეზო ბრძოლის შემდეგ
მოქცეულა ეკალ-ბარდად
და ოქტომბრის ქარიშხლამდე
ეპატრონა, არვინ ჩანდა.

* * *

დგას ამყად ძეგლი ორი —
საყდარი და ქვევით ხიდი,
მგზავრს რაგინდ გზა ჰქონდეს
შორი,

იმ ადგილას მაინც მიდის!
იქ იხილავს დაუწერელ
ქართულ-მესხურ მატინეს —
ორ უტყვ მოწმეს, თუ სამას წელს
ხმალი როგორ ვატრიალეთ.

ეთერ მუჯირი

* * *

ტყეში თოვლი და ფანტაზიები...
მთა გაზაფხულის ნისლში არ ჩანა...
მერე თბება და ია-იები
თრთოლვით ადებენ თოვლის ფანჯარას.
მერე ცისკარზე გოგო ჩაივლის,
ჩაივლის ვინმე გოგო სოფლელი,
მოხიბლავს თოვლში თრთოლვა ყვაეილის, —
ასეთი უცხო და ახლობელი.

შეჩერდება და კალთას აავსებს,
 იტყვის: კარგებს და ასე ლამაზებს,
 ცის სილურჯეს და ღიმილის ფეთქვას,
 ია-იებო, ვინ გქმნიდათ თოვლში?
 იქნებ, ლამაზის ცრემლებმა შეგქმნათ?
 იქნებ, ლამაზის ხელებმა შეგქმნათ?
 მკერდში ჩაიკრავს რიდიო და კრძალვით,
 დალოცავს მიწის შნოს და დედობას,
 იებით ხელში პატარა ქალი
 დაემსგავსება თოვლის დედოფალს.
 წავა, მდუმარედ გაჰყვება ბილიკს,
 თან ყვავილები ექნება ბევრი,
 იებს სურნელი ექნება ტკბილი,
 იებს ექნება ტალღების ფერი.
 და როცა ირგვლივ თოვლია ბევრი,
 და როცა ხევში ჩამორბის ღელე,
 როცა ხეები უცნაურ რხევით
 მზეზე ითბობენ გათოშილ ხელებს,
 ეჰ, რას გაიგებ, პატარა გოგო
 რამ მოიყვანა ამ დილით მთაზე?
 ეჰ, რას გაიგებ, პატარა გოგო
 სხვის ხელოვნებას რად ეტრფის ასე?..
 მზეს ბილიკები დაუქარგია...
 ბილიკებს შორის სხედან იები...
 და ყველაფერი ისე კარგია...
 თოვლი... გოგონა... ფანტაზიები...

ღია ჭაჭაჰაჰაჰა

ნეტავი ვახსოვარ?

აქ ცაა მაღალი და თბილი სილაა,
 და ნატერფლები ტალღებს ბარდება,
 მერე,
 საღამოვდება და ნაზი სირიუს

...იბადება.

შორს, ცისფერ ოდებში ვახშობის დრო არი,
 და თნებში ტალღები სიშმაგეს მაქსოვენ...
 ო... გულმავეიწყები ზღვაი და მთოვარე,
 ...ნეტავი, ვახსოვარ?

* * *

ეს შენი თვალებია, თუ
 მთვარის შემოფეთება, ეთერ!

ცარი ვააღე,

ზარები რეკენ, ეთერ!

მე ვიცი მარტო შენი თვალები და თეთრი ღეკა,

მე ვიცი მართო შენი თვალები,
როცა გალობენ ჩიტბატონები,

ეთერ!

ეს შენი თვალებია თუ,
მთვარის შემოფეთება,
კარი გააღე,
ზარები რეკენ,
ახესალომ მოსულა, ეთერ!



მომო ჯინჯინაქი

უნე მეთოლები დასაფიცარი

თუნდაც ცხოვრებამ შენგან გამრიყოს,
თუნდაც გამიწყდეს ტკბილი ფიქრები,
მე მაინც მუდამ შენთან ვიცოცხლებ,
მე, სულერთია, შენთან ვიქნები.
და რაც კი ჩემში წრფელი გრძნობაა,
ბავშვობიდანვე რაც მინატრია,
ის შენ გეკუთვნის უპირველესად,
შენი დიადი განთიადია.
თუნდაც გამიჩნდეს თმებში ჭაღარა,
ახალგაზრდობა გადაყვეს დღეებს,
შენთან ვიქნები მუდამ ჟეელი,
შენ სიყვარულში რა დამაბერებს!
მე შენი მიწის სურნელი მათბობს
და თუნდაც დამხვდეს გზაში გრიგალი,
შენით ვიმარჯვებ, შენით ვიცოცხლებ,
შენ მეყოლები დასაფიცარი.
თუნდაც ცხოვრებამ შენგან გამრიყოს,
თუნდაც გამიწყდეს ტკბილი ფიქრები,
მე მაინც მუდამ შენთან ვიცოცხლებ,
მე, სულერთია, შენი ვიქნები.

აჩიღ ხაღვეში

ხ ი ხ ა ძ ი რ ს

შენს ქედებს ვეტრფი ცამდე
აბჯენილოთ,
ნაკადულებს რომ გადაუღარავთ.
დღეგრძელი იყოს მშობელი ჩემი,
ვინაც ეს მიწა მე შემაყვარა.

განა უცხო ვარ შენი მთა-ველის?
განა ამ სხიეთა ალში არ ვიშვი?
მე ვარ სელიმის საფლავის მცველი
და მისი ერთი მხედრის ბაღიში.



დილა ზოზინით მოილტვის სერ-სერ,
 მზე გულში იკრავს დანამულ მთის
 წვერს,
 მოჩანს ხიხანი ნახმლევით მკერდზე,
 ამაღელვებელ ფიქრებს რომ
 მიგცემს.

დგანან ნაძვები ერთურთზე ქართულ
 ზოგი ნორჩი და ზოგი ხნიერი,
 ზოგს კარგად ახსოვს წარსული,
 ომი —
 ვინ იყო სუსტი და ვინ ძლიერი.

ასმათ ბააზოვი

ს ტ უ მ ა რ ი

უკვე მესმის გაზაფხულის ჩქარი სუნთქვა,
 ბალში ჩუმად აჩურჩულდნენ იანი...
 კარებს ვილაც აკაკუნებს,
 ვილაც ურტყამს.
 დედი, იქნებ, სტუმარია გვიანი!

და ლანდები შემოვიდნენ თითო-თითოდ
 და შრიალი მესმის ტატოს ჩინარის...
 და ძახილი არ მასვენებს,
 ფიქრებს მიკრთობს,
 დედი, გარეთ გაიხედე, ვინ არის?!

სიცხემ სულმთლად ამილანძა წითლად სახე,
 ცეცხლის ალმა გამაღვიძა მძინარი...
 კარებს ჩუმად,
 სულ უჩუმრად ვილაც აღებს.
 დედი, ნახე, გევედრები, ვინ არი!..

და ლანდები გაიკრიფნენ თითო-თითოდ,
 და შრიალი მესმის ტატოს ჩინარის.
 და ძახილი არ მასვენებს,
 ფიქრებს მიკრთობს,
 დედი, მითხარ, გენაცვალე, ვინ არის?!



დავით კასრაძე

„ნიავი მიუტანს ჩემს აგზავს“

(ლ ე ბ ე ნ დ ა)

ამბავი მოხდა მაისში, აყვავებული ვაშლის სურნელოვან კარვების ქვეშ. ვარდი მოსთოვდა შეუწყვეტლივ და ნარნარად თავზე ეფინებოდათ იქვე წამოწოლილ ნიახსა და ულფეთს.

ისინი აკვნიდანვე დანიშნულები იყვნენ, მაგრამ რადგანაც ქალს რჯული არ აძლევდა ნებას დანიშნულს უჩადროდ ჩვენებოდა, ულფეთს ვაჟურად გადაეცვა და საყვარელ მიჯნურს ისე სწვეოდა პაემანზე.

მზე ძოწეულმოსილ ღრუბლებში იძირებოდა, როგორც ნიახის გული ტრფიალების ველურ ბუჩქნარში.

ნიაზი მარწყვს ირთვლიდა ულფეთის ტუჩებზე, როდესაც ჭოროხის ვაკენაკაპრებიდან წამოიზარდა ვილაც მოხუცის ლანდი, როგორც სარზე წამოცმული დაფლეთილი ალაში.

ულფეთი შეკრთა.

უმალვე იცნო თავისი მამა — ჰაიდარ...

მარჯნის ქვიშასავით გაფენილი მარწყვის ქეჩები ფერმკრთალ ნუნუფარებად შეეცვალა მის მორთოლავ ტუჩებს...

ნეკერჩხალივით წამოენთო ნიაზიც.

— ჰაი! — დასჭყვილა ჰაიდარმა.

ბევრი ილანძდა რჯულისა და ადათების დარღვევისათვის და მუჯლუგუნის ცემით წინ გაიგდო მოღრუბლული ულფეთი.

— ხელი გაუშვი, ჰაიდარ! შენ მამა ხარ, მე კი კანონიერი დანიშნული! — შესძახა ჭაბუკმა და სასიამაოროს წინ გადაუდგა.

ჰაიდარ შედგა, მოეწონა სასიძოს რიხი...

რუხმა ჯანღმა გამოიდარა მის სახეზე...


ღვთისა და ქვეყნის წინაშე ფიცი ჩამოართვა, რომ ქორწილს მალე გადაინდიდნენ.

ალვის ხის სიამაყით აიმართა ნიაზ, რომელსაც ფათალოსა და უსურვახსავით შემოედევდა მისი ვარსკვლავთვალეუბა ულფეთი...

ვაჟკაცის მკერდის ქედებს მთის გვიმრებად შემოებარდნა ქალის გაშლილი დაღალეუბი...

— პოი, თქვენი ჭირიშე, თქვენი!

უკვე ამაცობს ჰაიდარ, მოსწონს სასიძოს სითამამე და ვაყვაცობა, უფრო მეტად აფასებს ხოხობივით ქურდულად გამოფრენილ თავის ასულს.



აჭარის ფირუხოვანი ცა გაიშალა ჰაიდარის ღარიბ ოჯახში...
ნიაზი ღლეს შედის ზედსიძედ მასთან...
ღარიბი და ფუხარაა ჰაიდარ, მაგრამ ამ დღისათვის საიდანდაც გააჩინა ვერცხლის ყელყარყარა სურები და მოჩუხჩუხე ყალიონები.

უხვად ისმება შარბათი...
მოლა ისკანდერ ილოცება, თავი ისე მოაქვს, თითქოს მართლა მაჰმადის უდიდესი რწმუნებული იყოს...

მაგრამ აგერ სარიბეგიც, დიდი ბატონი, რომელიც საგვარეულო დროშით სამჯერ ეწვია მექას, სამჯერ ილოცა ქააბას და ხალხის რწმენით მაჰმადმა იმდენად უვნებელყო, რომ ისრის წვერიც ვერ უკბენდა მის ფოლადის მკერდს...

სარიბეგს ბევრჯერ სმენია ულფეთის სილამაზე და შესამოწმებლად ეწვია ღარიბი ჰაიდარის ოჯახს...

ჰაიდარმა ხელი დაუკოცნა...

მოლა ისკანდერმა თვითონვე გამოჰგვარა ულფეთ...

სარიბეგმა ოდნავ გადასწია ჩადრი საბატარძლოს და შეაყრყოლა...

ნუშის ორი ყვავილი გაიფურჩქნა გიშრის წყვილ ტბაში...

ოქრო აწვიმა სარიბეგმა ლამაზ პატარძალს, გულში კი შევარდენი წამოუფრინდა, მშიერი ვეფხი გაეკიდა ტურფა ჯეირანს...

მაგრამ სარიბეგმა ნირი არ შეიშალა და ქერმანის ღბილ ნოხებად გაჰყინა ცბიერი სიტყვები:

— მაჰმადის კურთხეული ხოხობი გყოლია, ჰაიდარ, მაგრამ შევარდენი უკეთესია...

აქლემთა ქარავანი შემოედრებლა სარიბეგის დამცინავ ღიმილს...

მის თითებს უყვართ ბასრი იარაღის ტარზე თამაში, როგორც მგოსნის თითებს ხელთუქნარი სიმების თრთოლვა...

ნიაზ მოინისლა, ეტვის შუბმა დაჭრა მისი მღელვარე გული, როგორც ფხაბასრმა ბოძალმა კამარა-შეელებული ვეფხის თეძო...

და ულფეთიც, შეეღსავით ყელმოღერებულ, ლამაზი ულფეთ უეცრივ აიჭინჭრა და ისე გამოიყურება, როგორც ცრიაგი ღრუბლებიდან გადმოკიდული მთვარის ქიმი...

* * *

მუთაქა და ორი გერმის ბალიში მისთავაზეს დიდ ბატონს, მაგრამ ისე ზის, როგორც დაჭრილი ზღარბის ეკლებზე...

მის ხავსიან გულს ტოტებგართხმული ღვარძლის ქუჩი გაბმულ ფარდაგივით შემოჰფენია...

შარბათს უხვად სვამს სარიბეგ, მაგრამ იგი გამდნარი თოვლის ნიაღვარია მისთვის...

მის დაძვარულ ძარღვებში ველური მერნები წამოიშალნენ და მოჭიხინენ საყვირთა ცემით წამოანგრიეს მისი სამლოცველოს მინარეთი, მაგრამ... ულფეთ შორს იყო, რომ სატრფიალო განგაშისთვის ყური მიეგდო, მისთვის ნიაზის იქით მზე აღარ ამოდის, თავის საოცნებო წალკოტის დარაჯად მხოლოდ ის აირჩია, ის... ნიაზ... მისი მიჯნური...

ხავსმოღებული ლოდები დაიმსხვრა სარიბეგის მკერდის ქედებ ქვეშ.

მისი გული ქარიშხალში ცეკვას მოითხოვს:

— დოლი!.. ვინაა მსურველი?

გულს ჩანერგილი სიხარული ააგანგაშეს მოხეიძეებმა.

— დოლში გავიდეთ, დოლში!..

მსურველი თითქმის ყველაა, გარდა ნიაზისა:

მისი გული ულფეთთანაა!

მისი დათაფლული გრძნობები ფოლიოს ოქროს კუნწულებად შეჰქსოვია ულფეთის ჩაღრსა.

ქალის თმასავით სათუთ, საგანგებო ხალიჩებს უქსოვს თავის მიჯნურს ფიან-დაზებად.

დოლში გავიდეთ, დოლში!..

ყველა კარზე გაიკრიფა.

ჰაიდარ სირცხვილის ალით დაითუთქა, არაფრად მოსწონს სიძე-კაცის უჩვეულო ლაჩრობა.

— ნუ გამაწბილებ, შვილო, სხვებს არ ჩამორჩე... გადი შენც დოლში...

და მედიდურობს სარიბეგი:.

— თუ სიძე-კაცს არა ჰყავს ცხენი, ამოირჩიოს ბედაური ჩემი ჯოგებიდან.

ლამაზი ხარფოთოლა გაიშალა ნიაზის ღიმილში...

— მდიდარი ხარ, სარიბეგ, მაგრამ დარიბი ნიაზ ასეთ წყალობას არ მიიღებს... მეც მყავს წლინახევრის ბაჩანა კვიცი, ის ჩემი გრივალაა... თუ დამარცხდა, დაე, მეც მასთან წავეხდე...

უბელო ულაცი ახსნა და ქორივით ზედ შეაფრინდა.

— გზა! გზა!.. ნიაზიც დოლში გადის, — გაჰკვივის ჰაიდარ.. აბა, ერთი ზურნასაც შეუკეთეთ!

— ზურნა!.. ზურნა!..

და დოლის ხალხი ყალყზე შედგა...

* * *

მგრგვინავი მეხი გაიჭრა ზურნის ვანგაშში. მოსეირენი გამოლაგდნენ.

ერდო აჭრელდა ულფეთისა და მისი დობილების აჭარული ნაირ-ნაირი კაზმულობით, როგორც ველი ყაყაჩოებით.

მათი თვალები ცეცხლს აფრქვევენ...

ჭოროხის კიდემ ჩანთქა ყველა.

ლოდინი... მძიმე ლოდინი, როგორც დარიშხანით მოწამლულ ჰაერში გაზრდილი შავი ღრუბელი.

„—ნეტავ ვინ მოვა პირველი? სარიბეგ?! ნიაზ?!“

მფრინავ წერტილებად გამოჩნდნენ მობრუნებული რაინდები.

აგერ წინ მოჰქრის სარიბეგ, დიდი ბატონი.

აგერ ორი სხვაც... კიდევ ერთიც... კიდევ... კიდევ...

სულ ბოლოს კი — ნიაზ...

ყაყაჩოთა დედოფალი — ულფეთ მთლად ჩაითუთქა და ერდოს ყურეს მიაჭეთქა აფიცხებული დაირა...

ზორომ-ზორომი მარგალიტი წამოსცივიდა ულფეთს თვალთაგან იდუმალი ჯიშრის ჩაღრქვეშ...

„— ერთისთვის მაინც გაესწრო...“

მოცრემილილი ოხვრა ნიაგმა მოიტაცა და ნიაზის მინაბულ ყურში ჩააწვეთა...

ნიაზ შეირხა...

ნიაზ გრივალას ფაფარზე გაეკრა...

მუგუზლის ტერფით, დევკაცთა უროს დარტყმა აგრძნობინა ფრთავამლიო
მერანს...



გრიგალა მიუხვდა გულის პასუხს...

გრიგალა წელს შლის...

გრიგალამ უნაკლო შავი ჩლიქები შეახეთქა ნაპრალის დაშნებს და დაიძაგრა

ყველა კუნთი...

აი, წამოწვდა უკვე ერთსა...

ულფეთს ღრუბელი მოწყდა ჩაბნელებულ შავი ტბებიდან...

გრიგალა მოჰქრის...

გრიგალა უსწრებს მეორეს...

გრიგალა სჯობნის მესამეს...

„ — ჰერიო!.. შენ გენაცვალოს, ბიჭო, შენი ჰაიდარ“...

თავმომწონეობს ჰაიდარ: მისი ნიაზი მეშვიდე ცას მოანგრევს...

ხარობს ულფეთიც:

მღელვარე მკერდსა და ბეჭის ფრთებზე ჩამოყრილი გიშრის დაღალები შე-
ერხა და შავ გველებად შემოეგზნო...

გრიგალა ხელობს, გრიგალამ უკვე გადმოჰქელა დაოკების ყველა საზღ-
ღვარი...

„ — განი, სარიბეგ, განი, განი!..

„ — ჰერიო!..“

„ — და ნიაზ ერთსაც შეუტევეს თავის მერანს...

გრიგალა რისხვის ფრთებს შეისხამს ოთხივე ჩლიქზე, როგორც აიასოფიის
სვეტთა შორის მაჰმადის ტერფცეცხლოვანი მერანი...

აგერ, მოსწვდა სარიბეგსაც...

გრიგალეს ზურნა...

გრიგალა უკვე უსწორდება პირველ ბედაურს...

კიდევ... ცოტაც... სულ ცოტაც... და...

მთელი საბელით უკან სტოვებს დიდ ბატონს...

ფიფინურებით აზრიალდა ერდოზე ყაყაჩოთა თვალთმაქცი ველი...

დაბმულმა აღტაცებამ ღვედები აიწყვიტა ულფეთის გულში... ხელი დასტა-
ცა მიგდებულ დაირას და მზიურ ნოხებზე დაიწყო ცეკვა!

შეირყა სარიბეგის მედიდურება...

მისი თვალეი ყორნის ჩხავილით გაეკიდა ნიაზის ბეჭებს, როგორც გავაზის
გამოლტვილ ზურგს...

ტყვიით სურს სარიბეგს დასაჯოს მძიმე შემრცხვენელი.

დამბაჩის გრიალმა ჩაჰკლა ზურანის ხმა...

ტყვიამ ყურის ძირში გაუზუზუნა ნიაზს...

ყალყზე შემდგარი გრიგალა მოატრიალა ნიაზმა და დამბაჩა დაუმიზნა მუ-
ხანათს.

მაგრამ სარიბეგ ფრთხილია, როგორც კანჯარი არაბეთის უდაბნოისა: „ — გა-
პოგცადე, ნიაზ... უშიშარი ყოფილხარ... ჩემი გემების ქარავნის გამყოლად გნი-
შნავ სტამბოლს“...

და როყი ხარხარით, როგორც უფროსმა ძმამ, ფეშქეშად გადაუგდო სახ-
სოვარი: თევზის კბილით მოზარნიშებული დამბაჩა...

* * *

...თაფლის ზღვად გადაიქცა ის წელიწადი.

ვარდნარით დაფერილ ბურანში დაჰქრის და დაცურავს ნიაზი და მაინც ვერ

დამთავრალა უღვთის მარჯანა თასებით გამოწვდილი შარბათის შხეფით...

სარიბეგისთვის კი მზიანი დღეებიც უკუნეთია, ხოლო თვითელი წამი/მა-
რადიული წამების ველი...

მისი გულის ქვესენლმა ღრმად დაღებულ ხახიდან შავი ხანძარი
და მისი გული ჩააბნელა...



მსუბუქი ჰაერიც კი ცეცხლად იგზნება სარიბეგისათვის...

მისთვის ყოველგან მხოლოდ ცეცხლის აღმურია:

ცეცხლი ლაქვარდოვან ცის კაბადონზე...

ცეცხლი ქოროხის ზვირთებშიც...

ცეცხლი მანდარინისა და ფორთოხლის ტყეებში...

ცეცხლი და ცეცხლი...

ულფეთს ვაყი ჰყავს!

პატარა ჯემალ მთვარე არ არის, მაგრამ ნიაზივით ისიც მთვარით ნაშობ ნი-
ამორსა ჰგავს — გაშლილი, ღია თვალ-წარბით, თეთრი პირისახით, როგორც დი-
დი შუადღის ღრუბლებში მოულოდნელად აცისკრებული ოტარიდი.

„ — ახლა კი წავალ ქარავნის გამყოლად, სარიბეგ! ვაჟაკურ სიტყვას გაძ-
ლევ — შენს ხომალდს თავისუფლად მივიყვან სტამბოლს და უენებლად დავაბ-
რუნებ. — წარუდგა ბატონს ჩამოქნილ ალვის ხესავით ნიაზ.

სარიბეგს მეშვიდე ცა საფირონის ზღვად გადაეშალა:

— წადი, ნიაზ, წადი და ულფეთისთვის კარგი საჩუქრები წამოიდე!

ნიაზმა ხელზე კოცნით გადაუხადა მადლობა დიდ ბატონს.

ხომალდის აფრა აუშვეს.

მზემა თეთრი ნისლი მოიბურა...

შორად-შორს, მოლიფლიფე აფრას თან გაედევნა ულფეთის იღუმალი სევ-
დის გედები.

* * *

— გემოვნება გქონია, სარიბეგ, მარგალიტი ნაგავში გიბოვნია... ვფიცავ
მაჰმადის წვერს, შენს დაველებას უნაკლოდ შევასრულებ და ისე მოვაწყობ
საქმეს, რომ ამ დამითვე ალაჰმა გაჩუქოს შენი შეყვარებულის თავი...

ცბიერია მოლა ისკანდერ, ნიაზის ქორწილშივე ამოიკითხა დიდი ბატონის
იღუმალი გულსთქმა...

— განსარჯე, ისკანდერ, განსარჯე და ოქროს ჩანჩქერს ჩავიჩხრიალებ ზან-
დუკებში...

მზის მეცხრე თვალი მოიხუჭა ბათუმის ველებზე.

ისკანდერ შუა კაცად გასწევს პაიდარისას...

შორიდან გაუბა მოხუცს ბიათი...

პაიდარ ისე მიუხვდა, ალბათ, ულფეთის დალოცვას თხოულობსო და გამო-
უხზო თავის ასულს.

ულფეთ მოწიწებით წარუდგა, როგორც სულის უდიდეს მამას.

ისკანდერმა მართლა დალოცა და თან ჩუმად უბრალო სარკე ჩაუცურა
მთართოლვარე ხელში.

— მაჰმადის ცრემლშია განბანილი, მშვენიერო, მას დაინახავ, ვინც შენს გუ-
ლსა სურს:

და ულფეთმაც ჩაიხედა და გულიანად გადიკისკისა:

— უი, ჩემი ნიაზი!!

ისკანდერს იამა მისი მოხალისება და ახლა უკეთესი რამ ჩასჩურჩულა:

— ჭოროხის კიდეზე თუ გავალ მთვარის დავანების დროს, შენს ლომს იხილავ ხორციელად...

* * *

... იმ ღამესვე მამის ჩუმად უღფეთმა გასწია საყვარელ ჭოროხის კედელს, რომ იმ სარკით პირისპირ ენახა „თავისი ლომი“.

ციცაბ კვარცხლბეკთან ჩადრი მოიხსნა და ჩამოჯდა.

— უღფეთ...

უღფეთ შეთრთოლდა ნეტარებით...

უკვე ლომის თათებში იგრძნო თავი...

— ნიაზ... აჰ, ნიაზ...

— უღფეთ... ეს მე ვარ...

უღფეთს ეუცნაურა როყიო ხმა... უკუიხედა და იკივლა.

სარკე დაიმსხვრა საღ კლდეზე. უღფეთმა სარიბეგს მკერდზე ხელი ჰკრა და ჩადრმობურული სწრაფად გაჰქრა, როგორც ქორის მიერ შემფრთხალი გნოლი...

ცა დაედრიკა სარიბეგს:

— ეს სულ შენს გამოისად მომდის, ნიაზ... შენს გამოისად, მაგრამ ვფიცავ მექას და მედინას სალოცავეებს, საფლავსაც არ გაღირსებ და შენი ლეშით ტურებსა და მგლებს გავაძღობ...

და ცერზე იკბინა გახელებით...

მრგვინავმა ქარიშხალმა და დამშეულმა შურისძიებამ სახე მოუღრიცა... თვით ცის მნათობი შეერთა სარიბეგის შემოლილი სახის ზილვაზე და ღრუბელთა ჩადრი წამოიხსნა...

* * *

უკვე მეშვიდე დღეა, რაც ნიაზმა ღუზა აუშვა და ნაირ-ნაირის ძვირფასი ნავაჭრით დაშორდა სტამბოლს, რომელიც მის თვალში უფრო ნივრითა და არყით გამოხეთქილ ბებრუხანას ჰგავდა, ვიდრე მორწმუნე მუსლიმანის სათავანებელ წმიდა ადგილს...

ყველაზე დიდხანს ისევ აიასოფის ტაძარი შერჩა მის ხსოვნას თლილი მარმარილოს ცამეტი სვეტიტა და ბიზანტიის იმპერატორ იუსტინეს მიერ აგებული ტაძარი უზარმაზარი გუმბათით, მზის ღარნაკზე ამოკვეთილი და ოქროთი მოჯავშნული, მაგრამ ბოლოს ესეც გაჰქრა, როგორც მოლივლივე ბოსფორის სიკეკლუცე, ოქროს რქა — ეს ბუნების სასწაულთა სასწაული, პერა — ეს ევროპელ მტაცებელთა სწორუბოვარი საროსკიპო, და თვით მშვიდად მფშვინავი გალათე გრანიტის სასახლითა და რძისფერი მარმარილოს ჩანჩქერებით. სადაც წითელფესიანი ფაშები ზარმაცად მისხდომიან ყალიონებს და ხალიჩაზე აჭიდებენ უწლოვან გოგო-ბიჭებს...

ახლა ნიაზ ხომალდის იალქნების ქვეშ ამაყად დგას, როგორც დოლბანდით დამშვენებული ფადიშაჰი და სივრცისკენ გაიყურება, იქით, საიდანაც ყნოსავს აჭარის ზურმუხტოვან კიდეთა სურნელს.

ხომალდი კი მიისწრაფის წინ, როგორც მსუქანი შემოდგომით დატვირთული წერო ინდოეთის ნელთბილი ნაპირებისაკენ...

ღამდამობით ნიაზისთვის მხოლოდ მთვარის წინამსრბოლი ვარსკვლავია ყველაფერი, რომლის მოთინათინე სხივებში შესტრფის უღფეთის ღიმილს.

სარიბეგ, უეჭველია, გაიხარებს დიდად, ახალი სიმდიდრის შეძენით მაგრამ არანაკლებ გაიხარებს იმის უღფეთიც, რომლისთვისაც მიაქვს იემენური

შალი, სულ ვარსკვლავებითა და ნახევართმჯვარეებით მოთოვლილი...

მაგრამ ფესი... ჯემალის წითელი ფესი...

თვით სტიქიაც რომ აუჯანყდეს, ნიაზი არ დაანებებს ამ კოპწია ფესს...

დვას ნიაზი ხომალდის ქიმზე და შეჭხარის სამყაროს საწყისსა და...

რულს: ჯემალს და ულფეთს!..



* * *

მეთე დღეს მზე დაბნელდა.

ზღვა თითქოს შედგა.

ხოფას კაბადონს შავი ღრუბლები წამოაწვა.

ამღვრეულ ზღვაზე თეთრი ლომები აიყალყნენ ზარით და ზათქით.

ათასი სიკვდილის შავი ლანდი დაატეხა ელვამ ობლად მსრბოლ ხომალდს..

მაგრამ ნიაზი იბრძვის: სიტყვა მისცა სარიბეგს ცოცხალი თავით არ დავთმო-
ბო ხომალდს...

სარიბეგ კი, ულფეთის მიერ უარყოფილი სარიბეგ, გამმაგებული გამოჭ-
რილა ზღვის კიდებზე.

მან იცის, რომ დღეს უნდა გამოჩნდეს ხომალდი, დღეს უნდა იძიოს შუ-
რი, საფლავიც არ აღირსოს ულფეთის სანუკვარ რაინდს...

სულ არ ელოდა ზღვის გაცოფებას...

ზვირთების შემზარავმა სიმმაგემ მთლად ჩაახშო მისი ზრახვები... ახლა

მისთვის ნიაზი კი არა, ისევ ხომალდია მთავარი, მისი სიმდიდრის გადარჩენა...

ოოო, სარიბეგ ათას ულფეთს შესწირავდა ზღვას, ოღონდ თავისი სიმ-
დიდრე არ დაეკარგა... ზღვა კი გრიალით ასკდებოდა ნაპირებს...

აგერ, გამოჩნდა ანძის წვერი...

სარიბეგ ზღვად გადაიქცა, ისიც ხელობს...

— ნიააზ... ააჰ, ნიაზ...

გაჰკვივის იგი და თვალს არ აცილებს ხომალდს.

აგერ, ზღვის ლომთა თათებმა ცისკენ ატყორცნეს მისი ხომალდი.

წუთიც, წუთიც და... სტიქიის შავი წიაღი შთანთქავს...

მაგრამ ნიაზი როდი ნებდება: სტიქიას სტიქიად დაეტყავა და ოსტატურად
მართავს ხომალდს...

— ნიააზ, ააჰ, ნიიიააზ, არ დამღუპო, ვეყო...

გაჰკვივის თვალებანთებული, თმააბურძენული სარიბეგ...

ხუთას ოქროს მისცემს და თავის პირველ ცოლსაც მას დაუთმობს, ოღონდ
ხომალდი უვნებლად გამოიყვანოს.

სარიბეგს ნატვრა უსრულდება.

ნიაზი უკანასკნელ ტალღასაც გაჰკვეთს და დასეტყვილ იხვივით შემოა-
ცურებს დალეწილ ხომალდს...

ღუზა ჩაუშვეს.

ნიაზი ნაპირს გადმოხტა.

— სარიბეგ, მე შევასრულე ჩემი სიტყვა: აი შენი ხომალდი:

სარიბეგს საფეთქლის ძარღვები უროებივით ურტყამს.

„მადლობა ალაჰს!

სარიბეგმა თავისუფლად ამოისუნთქა და მეზღვაურებს უბრძანა, გამოდა-
რებისთანავე ხომალდი გადმოეტვირთათ.

— ჩვენ კი, ნიაზ, მოკლე გზით გავწიოთ, შენიანები — ულფეთიც და ჟე-
მალიც რა ერთი ხანია გელიან.

ორი ბედური ტყის ბილიკით იმოკლებს გრძელ გზას.

სიტყვაძუნწობს სარიბეგ:

აღარც სიხარული ხომალდის გადარჩენაზე და არც ქება ნიაზის



ბაზე...

მის ბობოქარ გულსა და აღუღებულ ტვინს ათასი ფოცხვერი სისხლსა სწოვს...

ჩამაგალმა მზემ სძლია ღრუბელს, როდესაც მიაღგნენ ჭოროხის ყრუ უღაბურ ხეობას.

— ნიაზ... ხვალ ბაირამობაა... ნამაზმა გვისწრო: დროა, ვილოცოთ:

ჩამოსხდნენ ლოცვად.

ნიაზმა მწვანე იემენური შალი გაიშალა და მოჰყვა ლოცვას. სარიბეგის თვალთა სიღრმეში ორბი აფრინდა და სიხარბის მწვერვალებიდან გამოუქროლა ოქროვან ვარსკვლავებითა და ნამგალა მთვარეებით მოქარგულ შალს.

დამბაჩის ტუჩი მიუბჯინა ლოცვად მღვარ მზეჭაბუკის ქანდაკს:

— ლოცვა მოათავე, ნიაზ, იმ ქვეყნად უნდა გაგამგზავრო.

— ააჰ! შესძახა ნიაზმა და სიმწრით ხელზე იკბინა.

— შენს ხელში ვარ, სარიბეგ... მომკალი... მაგრამ ფრთხილად...: ნიავე მიუტანს ჩემს ამბავს...

დამბაჩამ იგრილა.

სარიბეგმა კამარა შეავლო და წიხლისკვრით გადაჩეხა ნიაზი, შემდეგ ხარბად აიტაცა იემენური შალი და კოპწია ფესი.

— ახლა მეტი ხარ, ძაღლის ლეკვო! — შესძახა გამარჯვებულმა დიდმა ბატონმა...

ნიავემ მწყურლად დაისისინა და ბუჩქნარის სისხლიან ფოთლებში ყრუდ გაიწირიალა...

* * *

შავი ბაირამობა გაუთენდა ჰაიდარს: მოლა ისკანდერმა ცრემლით მიუსამძიორა სიძის დაღუპვის ამბავი.

— ლელვამ იმსხვერპლა კურთხეული ნიაზ... — განაგრძობს ისკანდერ და ბოლოს დათაფლული ენით ანუგეშებს, — ალაჰი დიდია... უკეთეს ნიაზს გამოიმეტებს ყოველი მორწმუნე ოჯახისათვის.

კვლავ ალაჰი და ალაჰი!..

ბოლოს იემენური შალი და პაწია ფესიც წინ დაუდო:

— ეს სარიბეგმა გამოგზავნა... უბედურ ნიაზის სახსოვარია...

ვაი ჩვენს თავსა ვაი, ვაი...

ჰაიდარის სახლის ჭერიდან მძიმე ჩრდილი წამოლიფლიფდა.

შველი დაიჭრა კაკალ გულში და უმწეოდ გამოჭრა თავისი ნუკრით...

— რა მოხდა, მამა?

— ნიაზი დაღუპულა, შვილო...

ულფეთი გაშრა, ტანჯვის ქანდაკად აიზიდა.

— მხოლოდ ეს გადაურჩენიათ, ულფეთ, მხოლოდ ეს და ჯემალის ფე-

სი...

ულფეთ გაშტერებული თვალებით მიელურსმა ზღვის ჭავლებივით მოლივე ლივე იემენურ შალს, ბოლოს იკივლა, დასტაცა ხელი, გულში ჩაიკრა, ძუ ვეფხის სიმშავით დაჰყნოსა და უმაღ იგრძნო ნიაზის სიმხურვალე...

— მამა აღარა გყავს, ჯემალ, ჯემალ...

და ეს კვილა სასოკოკვილების ვაძივით გაიძრო ეზომ, ფორთოხლის ტყემ და წივილ-კივილის ხვეულებით მძიმე ძაძებად გაიშალა შავი ზოვის ტალღებზე...

* * *



მესამე დღეს მიუსამძიშრა სარიბეგმა...

საბრალო ჰაიდარმა მის მკერდზე მოიტირა და უღფეთს მოუხმო...

მოლა ისკანდერ თითქოს ზღაპრული თეთრი მელიის ზურგით ანაზღეულად საიდლანაც გამოტყვრა.

— გლოვა მეტია, უღფეთ! — მეტყველებს მოლა, ბედისწერას ვინ გაექცევა? და განაგრძობს:

— ზღვამ გამოგვტაცა ნიაზ, მაგრამ მასზე უკეთესი ნიაზი აგერ აქა დგას, მშვენიერო!

სარიბეგი მედიდურად წარუდგა უღფეთს.

— უღფეთ! იცი იმთავითვე მიყვარხარ, კარგად იცი... ოქროს წვიმას გაწვიმებ... ყელამდე ძვირფას თვლებში ჩავსვამ...

უღფეთი განზე გაუხსლტა და თოხი შეყალყა.

არ მომეკარო!

ველური ვეფხვის სილამაზით მთლად გადაირია სარიბეგ. ერთი ნახტომით ხელთ იგდო უღფეთ და რკინის მკლავებით მკერდზე მიისალტა.

— მამა! უთხარი რამე, მიშველე!

ჰაიდარს უყვარს უღფეთ. უყვარს პატარა ჯემალ, რა თქმა უნდა, უყვარდა ნიაზიც, მაგრამ უფრო მეტად უყვარს უღფეთის ბედნიერება.

უღფეთმა თავი დახარა. ყრუ ქვითინი ჩაკლა სარიბეგის მკლავებში.

სარიბეგმა ცოლად შეირთო მშვენიერი, კეკლუცი უღფეთ!

* * *

მას შემდეგ ოცდაორჯერ აყვავდნენ ტყემლები.

ოცდაორი წელია, რაც უღფეთი დაისაკუთრა სარიბეგმა. ოცდაორი წელია, რაც მორთული დაჰყავს სარიბეგს, როგორც ტყის დედოფალა.

ოცდაორი წელია, რაც მისი გულისათვის პირველი ცოლი მიჰყიდა სტამბოლის ფაშებს, მაგრამ უღფეთის დაკოდილი გული მაინც ვერ მოინადირა.

უხვად შეამკო ქამადანის მწვერვალთა კურთხეული ქვებით, ღამითაც რომ ტრფიალების სხივებს აფრქვევენ, მაგრამ ვერც მან შეუწეულა წვა მწუხარებით ნაგეშ თვლებს!

თუ სადმე რამეა უღფეთისათვის, ისევე ჯემალი, რომელიც უკვე დავაჟა-ცდა და ნიაზივით აიშოლტა.

აგერ, იმ შავმა ვეშაპმა მოგვტაცა, მამა შვილო, ჯემალ!

სულ ამას ჩასჩურჩულებდა უღფეთ პირმშოს, ძულს ეს მფრთქვინავი „ვეშაპი“, მაგრამ მაინც სულ მისი კიდებებიდან ელის სასწაულს, ელის, რომ როდესმე უფსკრულის წიაღს თავს დაადწევს მისი ნიაზი, თავის ცოლ-შვილს ჩაიკრავს გულში.

ჯემალ დათალხულია დედის სევდით, სურს ანუგეშოს იგი დამსხვრეული იმედების პატარ-პატარა ნატეხებით:

— არა, დედი ის აღარ მოვა, რჯულიც ასე გვასწავლის. ის, რაც იყო აღარ განმეორდება. არის მხოლოდ ის, რაც ჩვენს თვალს აბედნიერებს.

და დღე დღეს მისდევს, ნაღვლიანი, ყოვლად მახინჯი, როგორც უდაბნოში ქარავანს ჩამორჩენილი ზურგამწვარი და გარუჯული აქლემები.



ისევ მაისია.

აყვავებული ვაშლის ხეები სურნელოვან კარვებად გამოიღია. მკრეხელნი სულ ვარდი მოსთოვს სარიბევის ბაღში, სადაც შადრევნის გვერდით დაქოლგილ ვარდების კარვის ქვეშ წამოწოლილა და ვერცხლის ყალიონს ხარბად ექაჩება.

იქვე ხალიჩაზე ზის ულფეთ და პაჭიჭებს უმზადებს ჯემალს, რომელიც დღეს პირველად მიდის დათვზე სანადიროდ მამისეული თოფით. უნდა სცადოს, რამდენად ვარგისია სადათვე ტყვია, ნიაზს რომ გაუსროლელი დარჩენია.

— თუ რომ დავმარცხდი, ჩემს ტოლებში ვერა გავყოფ თავსა, — იქალება ჯემალ.

ამ დროს რალაც იღუმალი ხითხითი შეესმა ულფეთს.

სარიბეგი ტახტზე წამოწოლილიყო, ბანჯგვლიანი მკერდი გადაეღელა, გამაგრილებელი ნიავისათვის მიეშვირა და უცნაურად იცინოდა.

— რა გაცინებს, სარიბეგ?

— არაფერი... ისე...

— მაინც? რალაცას მიმაღავ...

— ხედავ, ნიავი რა ლამაზად არხევს ამ ვარდის ფოთლებს...

— მერე შენ რა?

ნიაზზე მეცინება.

— რატომ?

— გახსოვს, ერთხელ ჩემი სავაჭრო ხომალდის გამყოლად დავნიშნე ნიაზი.

— ვიცი, მერე?!

— სტამბოლიდან დაბრუნებისას ჭოროხის შესართავთან დავხვდი. ზღვა სასტიკად ღელავდა, მაგრამ ნიაზმა იმარჯვა და ხომალდი დაღუპვას გადაარჩინა.

— ჰო, მერე, მერე! — დაინტერესდა ულფეთი.

— იქიდან ცხენებით გამოვყეთ ჭოროხის კიდეებს. მზე ჩადიოდა, ნამაზი მოვისაბაბე და ცხენებიდან გადმოვხტით სალოცავად... მას შენთვის აი ეს იემენტური შალი წამოვღო. გაიშალა წინ, დაიჩოქა და ლოცულობდა. ლოცვის მოთავება აღარ დავაცადე — „უნდა მოგკლა მეთქი“. იგი შეკრთა და ნაღვლიანი ღიმილით მითხრა: „დაიხსომე, სარიბეგ, არც შენ შეგრჩება ჩემი სისხლი, ნიავი მიუტანს ჩემს ამბავსო“. მერე? სადაა ეს ნიავი? ოცდაორი წელია მოლოდინში ვარ და ამბის მომტანი ნიავი ჯერ არ მინახავს.

ულფეთი შეკრთა: თვალეში ნაპერწკლები წამოენთო, ყბა აუკანკალდა, სწრაფად შეიჭრა შინ და ჯემალს ნიაზის თოფი გამოსტაცა.

ქუხილი გავარდა აჭარის მთებში, ზღვამ კი დამცინავი ხარხარით გაიმეორა.

მკერდანგმირული სარიბეგი ტახტიდან ჩამოვარდა. ულფეთმა ხელი დატაცა იემენტურ შალს და ათრთოლებულ მხრებზე მოიხვია.

— შეილო ჯემალ, მამაშენის მკვლელი დათვი უკვე აქ გდია!

შემდეგ აკანკალებული ხელები გაიწვდინა და მკერდში ჩაიკრა ჯემალის ხუჭუჭა, ლამაზი თავი.

სარიბეგმა ამღვრეული თვალები მიაშტერა ორივეს და უკანასკნელი სიტყვებით ზიზღით ამოვიგმინა: „ნიაგმა... მაინც მოიტანა... ამბავი... ნიაზ“.





პაჩიაშვილი ბუჩუქაძე

ტ ბ ა ს თ ა ნ

ტბის სილუეტში დავლანდე
უცხო რამ ფერად-ფერადი.
მიკვირდა, ნახულს არ ჰგავდა,
სუნთქვაშეკრული ველავდი,
ამავსო აღტაცებით და
აღფრთოვანებით ყელამდი.
ნეტავ რა არის ასეთი,
რამ გამაკვირვა ძალიან?!
იქნება ჩემი აქ მოსვლა
ოჰო, ამ უცხოს ბრალია,
იქნებ ვიხილე ტბის განძი,
იქნება ნატვრისთვალა?
ტბამ მითხრა ნაზი ალერსით,
როცა მწვანეზე დავეშვი:
— რამ შეგამფოთა, ყმაწვილო,
თვალეებს აცეცებ დაგეშილს,
ვერ იცან შენი ოცნება
ჩემს მოკამკამე სარკეში?!



კანს ქრისტიან ბანაში

ღუმელი მარი წუთით

შოფერს მანქანა მთელი სისწრაფით მიჰყავდა. მან ახლოს ჩუბრა ჭიშკარს და უცებ დაამუხრტა. ტიღემანი უნებურად წინ გადაიხარა და იძულებული გახდა საჯდომს ჩასკიდებოდა. ქუდი შუბლზე ჩამოუცურდა. მოულოდნელი შერყევისაგან ყელზე მოადგა ყველაფერი, რაც დილის მხიარული საუბრისას მიირთვა. იგი იჯდა წინგადახრილი, გრძობდა, რომ შუბლზე ციფა ოფლმა დაასხა. გამოლენჩებელი უცქერდა სავერფლეს, რომელშიც ძლივსა ბეჭუტავდა და უმთავრებელი სიგარა. მანქანა უკანსვლით წავიდა. ვიღრე იგი ჭიშკარს მიუახლოვდებოდა, ტიღემანი ცოტათი გონს მოვიდა. გაიფრთხა, როგორც ნახევრად მკვდარმა ხოჭომ, რომელიც ძლივს მოძრაობს კლანჭებითა და ულვაშებით, ქუდი გაისწორა და პალტო შეიკრა; მანქანიდან გამოძვრა, უკანა ჯიბიდან მექანიკურად ამოიღო საფულე და შოფერს ფული გადაუხადა. მიხვდა, რომ ძალზე ბევრი მისცა, მაგრამ ხურდა მაინც არ მოსთხოვა, ვინაიდან შეიძლებოდა იგი ფანჯრიდან დაენახათ. საჩვენებელი თითი ქუდთან მიიტანა, ნიშნად იმისა, რომ ხურდა არ იყო საჭირო, და სწრაფი ნაბიჯებით გაემართა ჭიშკრისაკენ. შოფერი წამოვიდა.

— ბატონო, თქვენ, აი, ეს დაგვიწყდათ, — და ყვითელი პორტფელი გაუწოდა.

— აჰ, გამადლობო, — უპასუხა გაბრაზებული კილოთი. — ხომ შეიძლებოდა იგი ფანჯრიდან დაენახათ! სახლში, ალბათ, ბევრი ადამიანი შეგროვდა. მას მერე ხომ მთელი საათი გავიდა, რაც მოსამსახურეები დაქებდნენ. მაგრამ სწრაფად გაიფრთხა, თუ რაიმე შენიშნეს, ჩათვლიდნენ, რომ ეს მოხდა მოულოდნელი შერყევისაგან, და მართლაც ასე იყო. მას ხომ დღეს ჩვეულებრივზე მეტი არ დაუღვია.

ქვაუენილზე მიმავალმა ჯიბეში უნებურად გა-

საღები მოსინჯა, მაგრამ საჭირო აღარ დარჩა. კარი შიგნიდან გააღეს და მან დაინახა შავ კაბასა და თეთრ წინსაფარში გამოწყობილი ლისბეტი, რომელსაც ნამტირალევი თვალები დასწითლებოდა და სახე შეშუპებოდა. ტიღემანს ეს არ მოეწონა, — მას რაღაც აწუხებდა, — და მოხდა ისე, რომ ერთი სიტყვის თქმაც კი ვერ მოახერხა. ქალს პალტო და ქუდი გადასცა და გზა განაგრძო. მართლაც ყველაფერი ისე მოხდა, როგორც ვარაუდობდა. ვიღაც სასტუმროდან მის შესახვედრად მოდიოდა. — მადლობა ღმერთს, მხოლოდ ელსე ყოფილა — მისი და, ცხვირწაწვეტიანებული, სახედანაღვლიანებული. დამ ხელი გაუწოდა.

— აქსელ!

ტიღემანმა ხელი მხრებზე მოხვია და კისერზე აკოცა. ამავე დროს სუნთქვას იკავებდა, რომ დას ღვიწის სუნი არ ეგრძნო.

— არაფრის თქმა არ არის საჭირო — უთხრა მან, — მე ყველაფერი ვიცი! — და მოშორდა. — მიდი სხვებთან, — განაგრძობდა ის და კბეზე აღიოდა, — ცოტა მომიცადე და მოვალ.

ის აღიოდა ნელა, თვალს არ აშორებდა კიბის საფენს, რომელიც რამდენიმე ადგილას გაცრცილიყო. საჭირო იყო ახალი შეეძინა.

ტიღემანმა მტანჯავი ძალდატანებით სცადა თავისთავს დაუფლებოდა და გაიფრთხა, ყველაფერი სხვანაირად და გაცილებით ცუდადა, ვიდრე მეგონაო, თუმცა დიდი ხანია ელოდა ამას და თითქმის უნდოდა კიდევაც, რომ ასე მომხდარიყო. მოხდა კი ეს სახელდობრ დღეს, როდესაც მან საქმიანი საუბრე გაუმართა სამ მეგობარს, რომლებმაც იგი ბარში იპოვეს. ყველაფერში, ცხადია, დამნაშავეა, რომელიღაც ბნელი ძალა — ბედი, ხოლო, შესაძლოა, ღმერთიც... კიბის მოედანზე შეჩერდა, ხელი ჩასკიდა მო-

ბარის და სული მოთვევა. უკანასკნელი საფეხურზე რომ შედგა, გაიფიქრა, კარგი იქნებოდა საპირფარეოში შევესულიყავი და ორი თოთიყ ჩამეყო ხახაშიო. მარცხნივ საბაზანოსავე მობრუნდა, მაგრამ შეჩერდა და ყოყმანი დაიწყო. სახლში ხომ სრული სიწყინარება და, წყალი რომ მოუშვას, ქვევით, სასტუმროში გაიგონებენ ჩხრიალს. მარჯვნივ მიბრუნდა და საძინებლისაკენ გაემართა. მიდიოდა გაუბედავად, როგორც უცხო. მან უმწეოდ შეხედა საწოლს და გაიფიქრა: „დავიძინებ, დავიძინებ თუნდაც ერთი საათით და არაფერზე არ ვიფიქრებ!“ მაგრამ საჭირო იყო ეფიქრა სიკვდილის მოწმობაზე, გაზეთებისათვის განცხადებაზე, კუბოზე, დასაფლავებაზე, ეკლესიასა და მღვდელზე. და თუმცა ამაზე ბევრჯერ იფიქრა და კიდევაც დაუკვეთა სამსახური, მაგრამ სულ სხვანაირად გამოვიდა, რამაც ლამის დაარტყანა.

გარდერობში გრძელ რიგებზედ ეკიდა კაბები, პალტოები; იქვე ეწყო ორმოცდაათიოდე წყვილი ფეხსაცმელი, აგრეთვე უთვალავი სხვა საგანი. უცებ გაიფიქრა, რომ ყველაფერი ეს უნდა შეინახოს ან გაყიდოს, მაგრამ შეეცადა თავიდან მოეშორებინა ფიქრები და დაეინებით მიაჩერდა მის წინ იატაკზე დაგებულ ხალიჩას, რომელიც აჭრელებული იყო ღია ლურჯი სახეებით, წითლისა და ლურჯის დაუსრულებელი მონაცვლეობით. მან გადააღაჯა ზღურბლს და რაგნას საძინებელ ოთახში შევიდა. ოთახი წყვილიადით იყო მოცული და გაქვნილი მისთვის ცნობილი სუნი.

თეთრი ფიჭურა სწრაფად აიპართა.

— შეგიძლიათ ჩახვიდეთ ქვევით, ფრეკენ იაკობსენ, — უთხრა მან, — მე მინდა მარტო დავჯიჯი.

ეს სიტყვები ძლივს წარმოთქვა და მაშინვე სახის კუნთები ატეხა ცახხა. ამავე დროს დაინახა, თუ როგორ სწრაფად მივიდა ფრეკენი ფანჯარასთან, ასწია ფარდა, გააღო აივნის კარები და დაამარჯა. ყოველივე ეს გააკეთა წყინარად და მტკიცედ. უცებ მოუნდა, რომ ქალი მასთან დარჩენილიყო, მაგრამ იგი უკვე გაქრა. ტიღემანი საწოლის ახლოს დაბალ სავარძელში ჩაჯდა. მსუბუქი ნაბიჯებით მიწყდა ქვევით და სრული სიწყინარე დაამყარდა.

„მკვდარია, — გაიფიქრა მან, — რადგან მკვდარია“. — მაგრამ როდესაც შეხედა ტახტს, რომელზეც აბრეშუმის საბნის ქვეშ რაღაც გრძელი და უძრავი იწვა, გულზე ხელდაწყობილი და უკან თავგადავარდნილი, მის თვალეში სიბნელე ჩამოწვა და ხელახლა გულის რევა იგრძნო. რაგნას ყბა რაღაც თეთრით ჰქონდა აკრული, და თუმცა გარკვევით ვერ ხედავდა, მხოლოდ ინტუიციით მიხვდა, რომ ეს იმიტომ გაუკეთებიათ, სახის ქვედა ნაწილი არ ჩა-

მათვინდა და მიცვალებულს ბარიც არ დარჩენოდა. მან გაიფიქრა: „გვამს შეუძლია გამოსცეს ხმა, მკვდარ პირს რაღაც ნიშნა შეუძლია“.

ის ხელახლა მიაჩერდა ხალიჩას, რომელიც ლურჯ სახეებს, წელში მოიხატა და მისი მხარეზე ჩაეჭიდა მუხლებს, რათა გულის რევა შეეჩერებინა. ცოტა ხანს ასე იჯდა. ცხვირსახოცი თფლი მოიწმინდა, შემდეგ ყილეტი და შარვლის ქვეითა ღილი შეიხსნა, დაათვალიერა თავისი თავი. „არა, ვერ დავფარავ, მუცელი მეზრდება, საჭიროა ცოტა ვსვა და ვჭამო“.

მაგრამ რას იზამ, თუ შენ ახლახან გაპყიდე მამული ორჯერ უფრო ძვირად, ვინმე ღირდა, და ყველა იცის, რომ გაქვს ცამეტი, თოთხმეტი ათასი? მან დაიწყო გამოთვლა თუ რამდენი დარჩებოდა სუფთად, გამოთვალა დღევანდელი სტუმრების საუბრის ხარჯები, მაგრამ სწრაფად შეჩერდა და გაიფიქრა: „რაგნა მოკვდა, ეს რაგნა წევს ტახტზე, ის მოკვდა. მე აქ დიდხანს დარჩენა არ შემიძლია, უნდა წავიდე მათთან, დანარჩენებთან. ავტირდე მაინც, — ფიქრობდა შეუფოთებელი, — ავტირდე“!

მაგრამ ატირება ვერ შეძლო და შერცხვა, შერცხვა, რომ ზის ასე ყილეტგახსნილი. მას არ უნდოდა ეცქირა და ეფიქრა თავისთავზე. უმწეოდ მიმოიხედა ოთახში, თვალი მოავლო რაგნას მკვდარ და მღუმარე საგნებს და შეჩერდა ტუალეტის სარკეზე, რომელმაც მოაგონა ბარი, სადაც ასეთივე მრგვალი მოოქროვილი სარკე ეკიდა. იანუსი უყვებოდა თავის ქალიშვილზე, ხოლო მან, ტიღემანმა მოუთხრო კატეს შესახებ. გუსტავმა, რომელიც ბოთლებთან იდგა, დამტრეული ყინული აუტრია და ორპროვინდ გაიღიმა. ამ დროს ლაქიამ შემოიხედა, ბატონ ტიღემანს ტელეფონთან სთხოვეს. მეგობრებს ეგონათ, კატე რეკავდა და გაიცინეს. მათ ტიღემანს წინადადება მისცეს, სასწრაფოდ გაეზავნა მანქანა კატესთან. იანუსმა დაიყვირა, თუკატე მოვა, ყველას სადღზე დავპატიყებთ. მაშინაც კი, როცა ტიღემანი გამოვიდა ტელეფონის ჯიხურიდან, ყოველივე ეს სერიოზულად არ მიიღეს. ერთი მათგანი პალტოს ჩაცმაში დაეხმარა, მეორემ კი ქუდი დაახურა. როდესაც ტიღემანი მანქანით წავიდა, ისინი ქუჩაში იდგნენ და ხელს უქნევდნენ. ეს იყო სულ რამდენიმე წუთის წინ. მას მოეჩვენა, რომ ისინი კვლავ ქუჩაში იდგნენ და ხელს იქნევდნენ. მანქანის მინიდან იგი ხედავდა, როგორ იღებოდა და იხურებოდა მათი ბარი.

მასაც კი არ შეეძლო ნამდვილად განეცადა დანაკლისი, ეჩვენებოდა, რომ მოხდა რაღაც უცნაური და გაუგებარი და რამდენადმე სასაცილოც კი. მან ვერაფრით ვერ შეძლო მოეშორებინა ეს ფიქრი და სულ უზრუნველბოდა მას, ვინ

დრე ამან ყოველგვარი აზრი არ დაკარგა. ტი-
დემანი სულ მოძრაობდა და მოძრაობდა, მაგ-
რამ ადგილიდან არ იძვროდა. ქუჩებში ხედავდა
სახლებს, ტრამვაის, ცხენებს და ადამიანებს,
რომლებიც ხან ძალიან შორს — ნამცეცისოდენ-
ნად, ხან კი ძლიერ ახლოს — ბუმბერაზებად
ეჩვენებოდა. დაკეტილი ყუთების განუწყვეტელი
მწყრივი... ყოველ მათგანში ზის ის ქუდილი,
რომელიც ხან კეფაზე აქვს ჩამოცურებული,
ხან შებლზე და ფიქრობს — სიკვდილი, სიკვდი-
ლი, სიკვდილი. მას გაცინება მოუნდა, მაგრამ
ვერ გაბედა, შეეშინდა რაღაც ბნელი ძალების
— შესაძლოა, ბედის, შესაძლოა — ღმერთის. და
აი, ის აღის კიბეზე და შედის თავის საძინებელ
ოთახში, გვივლის რაგნას ოთახში: ის სულ მი-
დის და მიდის და ჰაერი ისე სუფთაა, როგორც
სარკე, რომელშიც ხედავს ათასობით საკუთარ სა-
ხეს და ფეხებს, და ფიქრობს: „მე გული მერევა,
მაგრამ ყველაფერი ეს სულ სხვანაირია, არა ისე-
თი, როგორც ჩვეულებრივია...“ „ავტირდე მაინც,
მე უნდა ავტირდე!“ „მე დავჯდები აქ მხოლოდ
ერთი წუთით, უნდა ვიფიქრო არა თავისთავზე,
არამედ მასზე!“

ის იჯდა და უცდიდა, რათა შეწყვეტოდა
ზღვის ავადმყოფობა, მზერა მოსწყვიტა ხალიჩის
სახეებს და ისეთ რამეს ეძებდა, რაც დაეხმარე-
ბოდა ეფიქრა მასზე. პატარა მაგიდაზე, ტახტის
ახლოს რომ იდგა, წითელი პირბადე დაინახა და
ახლო. იგი ისეთი თხელი და მსუბუქი იყო, რომ
თითებს თითქმის არც კი უგრძვნიათ მისი შეხე-
ბა. მან თვალბთან მიიტანა პირბადე და გაიხედა.
პირბადიდან სუნამოს სუსტი სურნელება იფრქ-
ვეოდა, თითქოს ეს იყო მსუბუქი ქროლა, ობობას
ქსელის მსუბუქი რხევა. ტიდემანს მოეჩვენა,
რომ ხედავს რაგნას წითელ კაბაში. მოაგონდა
ის ისეთი, როგორიც იყო რამდენიმე წლის
წინათ. და ამავე დროს მოაგონდა, რომ სურს
იფიქროს არა რაგნაზე, არამედ კატესთან გატა-
რებულ გუშინდელ საღამოზე, წითელბერანგიან
კატეზე. ის მედგრად ეწინააღმდეგებოდა ამ
ფიქრს, მაგრამ მაინც ხედავდა თავისთავს სარ-
კის წინ, ხედავდა, როგორ ეხვევა კატეს თავისი
დდი ხელებით, ხოლო ის, გრძნობით აცახცა-
ხებული აყრდნობს ნიკაპს ტიდემანის მორთოლ-
ვარე ხელს და ეუბნება:

— ნუთუ სასწაული არ არის, რომ მე ჩაც-
მული ვარ და შენ მაინც შეგიძლია დაინახო ჩე-
მი მკერდი და მუცელი? მიცქირე მე, მიცქირე!

ის ხედავდა მას სარკეში, ხედავდა მის მკერ-
დას და მუცელს მოცეკვავე წითელკობრებთან
პირბადის იქით. მისი სახე წამებისაგან ღამაზი-
ნჯდა. ისინი გუშინ კი არ იღვნენ ასე, არამედ
ახლა, და იღვამებთან ხვალაც, ზეგაც...

„არა, — გაიფიქრა მან, — მე ჩამოვშორდები
მას. ახლა, როცა რაგნა მოკვდა, მე ჩამოვშორ-
დები მას.“

და ამავე დროს მან იცოდა, რომ ამას ვერ შე-
ძლებდა. ტიდემანმა დააგუნდავა პატარა წითელი
პირბადე, შუბლზე ოფლი მოიწმინდა და შეე-
ცადა თავიდან მოეშორებინა რაგნა, მაგრამ ის
კიდევ აქ იყო, და არა მარტო წითელი პირბადე
ყვითელი, მწვანე ლილისფერი; ის ზრწკნიხვდა
ცისარტყელისებურად, და მან ხელახლა გაიფიქ-
რა: „მე გული მერევა!“ „მე უფრო ცუდია,
ვინემ ვფიქრობდი!“ „მხოლოდ ერთი წუთით!“
„იქ წევს რაგნა, ის მოკვდა!“ „მე არა ვარ მშო-
შარა, მე არ მეშინია მისი შეხედვა, მე არა
ვარ მშოშარა...“

უკანგადადგებულმა თეთრმა სახემ საღდაც
შორს გადაინაცვლა. ტიდემანი აბრეშუმის საბ-
ნიდან უცქერდა გრძელ უძრავ სხეულს და ფიქ-
რობდა: „რაგნა? ნუთუ მე არ ვიცნობ რაგნას?
ნუთუ ჩვენ არ ვიყავით ცოლ-ქმარი თორმეტ
წელწადას?“

მან დაინახა ხელები, გამხდარი, გაციებული
თითები ბრტყელი რგოლით, რომლებიც მკერდ-
ზე ეწყო. ის დააეჭვრა რგოლს და მოეჩვენა,
რომ დაკრძალვა უკვე დამთავრდა, ისინი უსხე-
დან მაგიდას. ის დგება საყოველთაო სიჩუმეში:
„მოკვდა ადამიანი, რომელმაც გაიყო ჩემი სიხა-
რული და მწუხარება“.

ბოლოს და ბოლოს, ტიდემანი ატირდა. მისი
სახე დაიმანჭა. მაგრამ იცოდა, რომ ტიროდა არა
რაგნას, არამედ თავისთავს, ტიროდა თავისი ფი-
ქრებით, თავისი ცარიელი თვალებით, რომლე-
ბიც უაზროდ იგვრიებენ მაგიდის ნათურის სი-
ნათლეს, ტიროდა პატარა ბრტყელ რგოლს, რო-
მელიც გაიფანტა და რგოლების მთელ გროვად
იქცა. მან ტირილი შეწყვიტა და იჯდა მდუმარ-
ედ. ძღვის სახამამებდა თვალს. თითქოს მათ
ში რაღაცამ გამოეკონა, რაგნასაკენ, მკვდარი რა-
გნასაკენ, მაგრამ ვერაფერი ვერ მოიგონა... მხო-
ლოდ დიდი ხნის წყრილა ხმები, რომლებიც
სახლში გაისმა, მუდმივი ხმები მისი საძინებე-
ლი ოთახიდან. და ლისბეტე, რომელიც რაღაცას
ეზიდებოდა ზევით და ქვევით კიბეზე, ლისბე-
ტი შავ კაბაში და თეთრ წინსაფარში... მხოლოდ
ღანგარი ხელუხლებელი კერძებით, და სუნე,
შეგრძნობილი ყვავილებისა და სუნამოს მიუხე-
დავად. მან სუნთქვა შეიკრა და ერთი წუთით
მასთან შევიდა. ხოლო ახლა, აი, წყვილიაღი, ჩა-
მოშვებული ფარდები, ფრთხილი ნაბიჯები, შრია-
ლი, ჩახშობილი ხმები. ჩქარა მაინც გათავადეს
ყოველივე ეს, მაგრამ არაფერიც არ თავედო-
და, არა, მას არ შეუძლია თავი დააღწიოს ამ
წრეს. სცადა მოეგონებინა ის დღე, როცა ექიმ-
მა უთხრა:

— ჩემი აზრით, ეს კიბოა.

სიტყვა „კიბო“ მაშინ პირველად გაისმა. მან
პირველად გაიგონა იგი, მოიხარა მისი სიმძიმის
ქვეშ და მიაშტერდა ხალიჩას, რომ არავის დაე-
ნახა მისი სასოწარკვეთა. მაგრამ ხომ იცოდა,

რომ ეს იყო სოფლისმაცდო ან მასობრივად არამედ ზეიმი, გაუგონარი ზეიმი: იგი თავისუფალია! ბოლოს და ბოლოს, სრულიად თავისუფალი, თავისი თავის ბატონია! არაფერ არ იცის როგორი ღარიბი და ღატაკი ვიყავი მე. რამდენიც არ უნდა მიეჭირონ, ვერაფერ ვერ იფიქრებს ჩემს მაგიერ განვიღო გზაზე, ბნელ გასასვლელებზე, წვრილმან ტყუილებზე, პატარა უპატიოსნობებზე, იმაზე თუ როგორ მივაღწიე და გავხსენი საკუთარი პატარა კანტორა, როგორ გავეცანი ტროსს და მის მეგობრებს. მას მოაგონდა, როდესაც ისინი იყვნენ სტუმრად, როგორ გაქრნენ რაგანა და ტროკი და დიდხანს არ გამოჩენილან. და მაინც ქმნიდნენ შთაბეჭდილებას, რომ ვერაფერს ვერ ამჩნევენ. და უცებ ისინი შემოვიდნენ, მას იგი ხელკავით ეჭირა. რაგანამ არაბუნებრივად გაიცინა და თქვა:

— აკესელ, მოდი აქ და დალიე საქმობილო. ჩვენ დავლიეთ საქმობილო.

იმ წუთში ის მიხვდა, რომ ბოლოს და ბოლოს, ისინი ხალხში გამოვიდნენ, და თვლიდ დახუჭა იმზე, რაც მოხდა. არა, კი არ დახუჭა, მან იცოდა, თვალნათლივ ხედავდა ამას, დიახ, დახუჭა თვალი და არაფერიც არ იცოდა. მას ხომ არაფერი არ უკითხავს, და მათაც ამის შესახებ არასოდეს არაფერი არ უთქვამთ. ახლა მან, ბოლოს და ბოლოს, მოიგონა რაგანა და გაიგონა, თუ როგორ ლაპარაკობს ის, ლაპარაკობს ყურთასმენის წამლები ხმით, დაინახა, როგორ იღებდა თავისი მგლისებური თეთრი კბილებით, როგორ ქექავს ყველგან და ყველაფერს თავისი ცქერით, როგორ უბრძანებს მუშებს, რომელთაც აუცილებლად გააუქმებენ. დურგლებს, მღებავებს, როდესაც ისინი გადადიოდნენ ბინიდან პატარა სახლში, პატარა სახლიდან — დიდ სახლში, როგორ უცვლელს იგი ადგილს ავებს, აწვავებს ნათურებს, ხალიჩებს, ფარდებს, მაღაზიებში არჩევს ქსოვილის ნაჭრებს, სინჯავს მათ, იძლევა შეკითხვებს, ვაჭრობს; როგორ დგას ის წინ, იღებს სტუმრებს, უკეთებს ხელკავს და წარუდგენს ერთი მეორეს, ხოლო შემდეგ ჯდება მაგიდის ბოლოს ანთებულ სანთლებთან და ლაპარაკობს, ლაპარაკობს, მიმართავს ხან მარჯვნივ, ხან მარცხნივ და შეუნიშნავს არ ტოვებს არც ერთ წვრილმანს. ყველაფერი ეს თითქოს ახლა მოხდა, მის თვალწინ, დააყრუა, დააბნია, ხოლო ის იჯდა და ხედავდა მხოლოდ საგნებს და საგნებს. მან დაინახა რაგანას ხელები, რომელნიც ადგილს უცვლიან საგნებს, და გაიგონა მისი ხმა, მბრძანებლური მგლისებური ხმა საგნებს იქით, საგნების შიგნით. კვლავ წამოტივტივდა აზრი, რომ ის, ბოლოს და ბოლოს, მოკვდა, რომ ტიღემანი თავისუფალია, თავისი თავის ბატონია. ის გრძნობდა, რომ ასე ფიქრი არ შეიძლება, რომ მას ამისათვის დასჯიან რაღაც ბნელი ძალები — შესაძლოა, — ბედი, შესაძლოა, — ღმერთი. და

რომ უნდა იყოს რაღაც სხვა, რაღაც ისეთი, რომელსაც ჩაეჭიდები და გამაგრდები. იმ ვიზუალურ აიქულს სავარძლიდან ამდგარიყო და წასულიყო ტახტის თავისაკენ. მან შეხედა თეთრ-უკან-გადადებულ სახეს, მაგრამ არაფერიც ვერ შეხედა, გარდა შიშისა. თავი იგრძნობდა პატარა ბავშვად, ბავშვად, რომელსაც ერთხელ დაუცდა ფეხი და ციციბო ნაპირიდან მდინარეში ჩაგორდა. და ახლა ის მიგორავდა ძირს, ხელით ეჭიდებოდა მიწას, ბლახს, მაგრამ ისინი ვერ იჭერდნენ მას, და ის სულ მიგორავდა და მიგორავდა ქვევით, ხოლო იქიდან მოდიოდა რაღაც ცივი და შავი და იჭერდა მას. ბოლოს და ბოლოს, შიში გაქრა. დარჩა მხოლოდ სიწყნარე.

არა, ის არ იცნობდა მას. მან არ იცოდა, ვინ იყო ის. ყველაფერი, რაღაც მას იგი თვლიდა, იყო მხოლოდ სახის მანქვა, სინათლისა და ჩრდილის თამაში, წრე წყალზე, ქარისაგან დაყენებული მსუბუქი მტვერი, ხოლო შესაძლოა უფრო პატარა — უბრალოდ არასაჭირო სამშენისები, პირბაბე მოცეცხვავ ხორცებით. ახლა ყველაფერი ეს გაიხსნა, დაიკარგა, ყველა პატარა და დიდი ნაოჭი გასწორდა. ფიქრის უკანასკნელი კვალი დიდი ხანია გაქრა მის სახეზე და სხვა სახე ნელა და გარდუვალად მოემართებოდა სინათლისაკენ, იწვა აქ და ცხოვრობდა თავისი ცივი, უცხო ცხოვრებით. მას არ შეეძლო კიდევ შეხებოდა მას ხელით, არ შეეძლო ეჭირა მისთვის — ისე ხელშეუხებელი იყო ის, ისე ცოტა ურთიერთობა ჰქონდა მასთან და მის აზრებთან. ტიღემანს მიეჩვენა, რომ თვითონ კვდება, მიდის სხვა სამყაროში, ხოლო ის მოდის შესახვედრად და ეუბნება „ვინ ხარ შენ? ვნახე თუ არა მე შენ უწინ ოდესმე?“ მას ხომ არ იცნობდა ის, არც ის იცნობდა მას და, მოუხედავად ამისა, მათ ჰქონდათ რაღაც საერთო ინტერესები, თითქოს ისინი ერთად ეძებდნენ რაღაც ხელშესახებს ბნელში. შესაძლოა, ისინი უწინ ხედებოდნენ ერთმანეთს, მხოლოდ ეს იყო ისე დიდი ხნის წინათ, რომ არც ერთს მათგანს არ ახსოვდა. იგი დიდხანს იდგა ფიქრებში გართული, მაგრამ მაინც ვერ გაიხსენა სად ნახა ეს უცხო სახე, ეს ახალგაზრდა სახე, რომელიც ახლა მის წინ იწვა სიკვდილის საუკუნო სიწყნარეში. შემდეგ გაიფიქრა, რომ მისი ცქერა შეურაცხყოფდა ამ სახეს, მოშორდა ტახტს, ჩაიხედა საარკეში და ერთბაშად შეძრწუნდა. კვლავ დაინახა ის ნაოჭებით შუბლზე, წრეებით თვალთა გარშემო, ორი მკვეთრი ნაკეცით ცხვირიდან პირისაკენ, მგლური პირისაკენ..

„ის მე ვარ, — დაბნეულად გაიფიქრა მან, — რაც მე მეჩვენა იმად, ის თვითონ მე ვარ! ან მე ვიქეცი იმად და სიკვდილამდე ვატარებ მას ჩემ-

ში. ნუთუ ეს მე ვარ, მგლის კბილებით, მშიერი მგლის თვალებით?!”

მან უმწეოდ მიმოიხედა და დაინახა, რომ არა მარტო სახეს, რომელიც სარკეში მოჩანს, არამედ თვით სარკეს, ყველა საგანს ოთახში იგივე მშიერი თვალები აქვს, მგლის თვალებია ყველგან მის გარშემო, მგლის თვალები და კბილები უღარაჯებენ მას...

ტიდემანმა აივნის კარები გააღო, სუფთა ჰაერზე გაეიდა და დაიკენესა. მას ხელახლა დაეფულა სიმშვიდე. შორეული მდებლობის მყუდროება. მან შენიშნა, რომ დადგა გაზაფხული, ბაღში ჩუმმა სიომ გაიქროლა და შორეულ დიდ ხეებში ჩაიკარგა. ტიდემანმა გაიფიქრა, რომ ხეებს იქით არის ნაპირი და იქ პირველად შეხვდა მას დიდი ხნის წინათ, როცა იგი უბრალო ახალგაზრდა კაცი იყო, ხოლო ის იყო მხოლოდ და მხოლოდ მეთევზის ქალიშვილი... ისინი ცოტას ლაპარაკობდნენ. ის მაშინ ძალზე მორცხვი იყო და სულ დუმდა. ტიდემანს ქალის ეშინოდა, ქალს კი ტიდემანისა. და მაინც, ის ყოველდღე მოდიოდა ტიდემანის კარავთან; დაჯდებოდა, ფეხებს აწლოს მიიტანდა საკუთარ სხეულთან და უცქერდა წყალს და ღრუბელს. ისინი თითქმის არ ლაპარაკობდნენ შეხვედრისას. ქარი ზღვის პირას ბალახებში თამაშობდა და უზარმაზარი თეთრი ღრუბლები ნელა მიცურავდნენ ცაზე, მზე და ჩრდილი კი ერთმანეთს ენაცვლებოდნენ სილაზე. ტიდემანი იწვა ზურგზე და უსმენდა ტალღების ხმაურს, უცქერდა თეთრ ღრუბლებს, არ ფიქრობდა არაფერზე, ხოლო არც თუ ისე შორს ჩაცუცქული იჯდა ის, დუმდა და რაღაცას თითო სილაზე წერდა. ტიდემანმა ჰკითხა, თუ რას წერდა იგი, მაგრამ მან არ უპასუხა, ხოლო როდესაც ტიდემანმა ნახვა მოისურვა, მან სწრაფად წაშალა და დარცხვენით, შემდეგ კი უცებ მაგრად მოხვია ხელი

ლი კისერზე და თვალებში ჩახედა. ღრუბლები კი მიცურავდნენ და მიცურავდნენ, სილაზე რთებოდა ცეცხლის ნაპერწკლები. მსქე მსქე მსქე დაუახლოვდნენ ისინი ერთმანეთს, მსქე მსქე მსქე, რაც უნდა თქმულიყო, მან დასწერა სილაზე და წაშალა ისე, რომ არაფერი არ უთქვამს და ტიდემანი ამას ვერ მიხვდა...

რაღაც შავი და გრძელი უხმაუროდ შეიკრა მის ფიქრებში, სილის ნათელ ფსკერზე ზვიგენის ჩრდილის მსგავსად. მან ეს უცებ ვერ შენიშნა. ის ხედავდა პატარა თითს, რომელიც რაღაცას წერდა სილაზე, ცდილობდა გამოეცნო ასოები, და უცებ მისმა ხელმა ყოველივე წაშალა. მაგრამ მისი ფიქრები მოულოდნელად გაიზღანდა. მოახლოებული საფრთხის წინ ის საშინელებამ მოიცვა და დაინახა რაღაც შავი — ეს იყო მანქანა, გრძელი კრიალა ავტომობილი, რომელიც ქიშკართან გაჩერდა. მძღოლმა მანქანის კარი გააღო და იქიდან ნელა გამოვიდა შეატანსაცმლიანი კაცი.

— კარლ ტროკი, ფირმის „ტროკის ფეიქარი“ მფლობელი, მის წინ გაიღო ქიშკარი და იგი ქვაფენილით ნელა გაემართა სახლისაკენ.

ტიდემანმა არ დაუტადა ზარს. ის უკვე საბაზანოში იყო, სწრაფად დაიბანა ხელპირი, გაისწორა პალსტუხი, დაივარცხნა თმა, შეიკრა ყილეტი და პიჯაკი და სარკეში უკანასკნელად შეათვალიერა თავისი თავი, მაგრამ გაკვრიო, ვინაიდან მთელი მისი ფიქრები იყო მომავალში. იგი მიეჩქარებოდა ქვევით, ტროკის შესახვედრად. მან ხელები ჩასკიდა, ძლივს შეიმაგრა გრძნობები და გულაჩუყებულმა უთხრა:

— გმადლობთ, კარლ, რომ მოდიო. თქვენ ვერ წარმოიდგენთ რას ნიშნავს ეს ჩემთვის, თქვენ ხომ პირველი ადამიანი ხართ, რომელიც მე დავინახე მას შემდეგ, რაც რაგნა... რაგნა... მას შემდეგ, რაც რაგნა მოკვდა.

თარგმნა **ტიტო ხინთიბიძემ**.



ჯემალ ხოჭიანი

ერთი გამომგონების ისტორია

დიდი გამოცოცხლება იგრძნობოდა ამას წინათ ბათუმის კოფეინის ქარხანაში. დგამდნენ ზეინკალ გ. ვასილიადის ჩაის პნევმატური დამუშავების ახალ დანადგარს.

მუშა-კონსტრუქტორმა მთელი რიგი მეტად საინტერესო შესწორებანი შეიტანა მასში და ახლა დანადგარი ერთი ცვლის განმავლობაში ორჯერ მეტ პროდუქციას იძლევა, ვიდრე მისი წინამორბედი, ამასთან საგრძნობლად გააადვილა და შეამსუბუქა მუშათა შრომა. ვასილიადის დანადგარმა ქარხანას უკვე 1600 მანეთის ეკონომია მისცა (ახალი ფულით).

როგორ მიაღწია მუშა-კონსტრუქტორმა ასეთ თვალსაჩინო წარმატებას?

ქარხნის მთელი კოლექტივის მხარდაჭერითა და დახმარებით. ჩვენს დროში, ჩვენს ქვეყანაში სხვანაირად არც შეიძლება, თუმცა იყო დრო, როდესაც ე. წ. ძველი ინტელიგენციის ზოგიერთი უღირსი წარმომადგენელი საბჭოთა ხელისუფლების არსებობის პირველ წლებში მუშა-გამომგონებლებსა და რაციონალიზატორებს დახმარების მაგივრად ხელს უშლიდა, სდევნიდა და საშუალებას არ აძლევდა განეხორციელებინათ თავიანთი ჩანაფიქრი. ეს იყო კლასობრივი ბრძოლის თავისებური გამოხატუ-

ლება. დამარცხებული, მაგრამ ჯერ კიდევ გაუნადგურებელი მტერი ცდილობდა რითიმე ეგნო საბჭოთა ხელისუფლებისათვის. თუ როგორ აფერხებდნენ კლასობრივი მტრები მუშათა შემოქმედებითი აზრის განვითარებას, ამას მკაფიოდ მოწმობს ყოფილი მუშის, ამჟამად პროფესორ მილერის თავგადასავალი.

1928 წელს მილერმა ოდესის ქიმიურ მრეწველობაში დაიწყო მუშაობა, როგორც რიგითმა ზეინკალმა. აქ ცნობისმოყვარე მუშის ყურადღება მიიპყრო სხვადასხვა ქიმიურმა პროცესმა, განსაკუთრებით დაინტერესა იგი საღებავების პრობლემამ.

„საღებავების ნაკლებობით შეჩერებულია ძვირფასი ქსოვილების ფაბრიკები“.

„საკონტროლო ციფრების თავის დროზე შესრულებას ხელს უშლის საღებავების მიუწოდებლობა“.

„საღებავების სრული იმპორტი მძიმე ტვირთად აწევს საფეიქრო მრეწველობას“.

აი, რას კითხულობდა მილერი იმდროინდელი პრესის ფურცლებზე და პირველად მაშინ დაებადა აზრი ამოეხ-

სნა საღებავების შექმნის საიდუმლოება.

ახალგაზრდა მუშა ბევრს მუშაობდა თავისთავზე, კითხულობდა სპეციალურ ლიტერატურას, ეძებდა თავისი იდეის განხორციელების გზებს.

„უცხოელები წაბლის ჯირკებიდან ამზადებენ საღებავ ექსტრაქტებსო“, — ამოიკითხა ერთხელ რომელიღაც ბროშურაში.

— იქნებ ჩვენ დაგვემზადებინა... ესინჯავდი, მაგრამ ცარიელი ხელით აბარას გავაკეთებ, ამისათვის ხომ ფულია საჭირო?!

ერთ დღეს მიღერმა თავისი მოსახრება ხელოსან გელფგატს გაუზიარა. ბევრი ითათბირეს, ბევრი ღონისძიება შეიმუშავეს, მაგრამ როცა საკითხი სახსრებზე მიდგა, თავი ჩაქინდრეს.

— მოდი, პრიმუსზე ვცადოთ ექსტრაქტის დამზადება, — წამოაყენა წინადადება მიღერმა. ხელოსანი გელფგატი დაეთანხმა.

გაჩაღდა მუშაობა.

პრიმუსი განუწყვეტლივ შიშინებდა მიღერის ბინაში... წაბლის ხის ნახარში ჭურჭლიდან ჭურჭელში გადადიოდა, ისინჯებოდა, ისევ იხარშებოდა და... ერთ დღეს საიდუმლოება აღარ წარმოადგენდა საიდუმლოებას.

ენტუზიასტებმა წაბლის ხიდან მართლაც დაამზადეს მაღალხარისხოვანი საღებავი.

მიღერი და გელფგატი სიხარულით ცას სწვდნენ.

განაგრძეს ცდები და თუთის ხიდან კიდევ უკეთესი ხარისხის საღებავი მიიღეს.

მიღერს მოთმინება აღარ ჰყოფნიდა. პირდაპირ მოსკოვში გაემგზავრა და ექსპერიმენტული სახელოსნოს მოსაწყობი სახსრები მოითხოვა... ყველას უმტკიცებდა საღებავების იმპორტისაგან განთავისუფლების უდიდეს მნიშვნელობას, მაგრამ...

— სისულელეა! — ამბობდნენ ქიმიური მრეწველობის „სპეცები“ და ყო-

ველი შემთხვევისათვის ას თუმანს აღევენ ცდების საწარმოებლად. ათასი მანეთი...

ამ თანხით აბა რა ცდები შეიძლებოდა? ენთუზიასტი ქიმიკოსი გულს მაინც არ იტეხდა და განაგრძობდა მუშაობას. დიდი წვალეებით რამდენიმე კილო საღებავი-ექსტრაქტი დაამზადა და ლაბორატორიაში წარადგინა შესამოწმებლად.

„სპეციალისტებმა“ ახედ-დახედეს, საღებავი სპეციალური პრეპარატებით „შეამოწმეს“, ბოლოს საანალიზო ოქმის ფურცელში შეიტანეს თავიანთი დასკვნა: „ამხ. მიღერის სისტემით დამზადებულ ბუნებრივ საღებავში შერეულია საზღვარგარეთული საღებავი „ონოლინი“.

— როგორ? — აიღეწა მიღერი.

— ცდები ამას გვიჩვენებენ.

— მაშ, მე მატყუარა ვყოფილვარ, არა? — ადელდა მიღერი.

— მაგრამ ნარევი უთუოდ გახლავთ. — უპასუხეს დინჯად და ხელმოცარული მუშა-ქიმიკოსი უკანვე გამოისტუმრეს.

— საფლავში ჩაყვები ამ საქმეს! — ქადილით გაიხურა ლაბორატორიის კარები მიღერმა და საგამომგონებლო კომიტეტს ექსპერტი მოსთხოვა.

ექსპერტად დაინიშნა აკადემიკოსი ზელინსკი.

ზელინსკიმ გასინჯა მიღერის საღებავები, უარყო „ონოლინის“ შერევის ბრალდება და აზრი გამოთქვა ცდების გაგრძელების სასარგებლოდ.

აკადემიკოს ზელინსკის დასკვნის თანახმად, საკავშირო სარეწაო კოოპერაციის ქიმიურმა მრეწველობამ ცდების საწარმოებლად 33 ათასი მანეთი გამოყო.

ცდების წარმოებას თვითონ მიღერი ჩაუდგა სათავეში. მან დააარსა არტელი სარეწაო კოოპერაციის სისტემაში, სამუშაოდ მიიწვია რამდენიმე სპეციალისტი და შეუდგა საღებავების მასობრი-



ვად დამზადდეს. მუშაობა ბრწყინვალე შედეგებით დასრულდა... თუმცა „ავტორიტეტული სპეციალისტები“ ისევ თავიანთ ადგილას ისხდნენ, როგორც წარმობაში, ისე ლაბორატორებსა და საგამომგონებლო კომიტეტში... და რაკი ერთხელ თვალი დაადგეს მილერის გამოგონებას და აითვალწუნეს მუშაქიმიკოსი, საჭიროდ მიიჩნიეს საქმის „ბოლომდე მიყვანა“ (უფრო გვიან აღმოჩნდა, რომ მილერის სისტემით ბუნებრივი საღებავების დამზადების ერთი აქტიური მოწინააღმდეგე ცნობილი მავნებლური ორგანიზაციის — პროპარტიის წევრი იყო და ბევრი მსგავსი მავნებლობა ჩაიდინა).

როცა მოსკოვის აბრეშუმის საქსოვი ფაბრიკის ინჟინერმა კალმიკოვმა პირველად გასწია რისკი და მილერის საღებავით დამზადა ქსოვილები, შედეგმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. ფაბრიკამ არტელს დაუკვეთა საღებავების საჭირო რაოდენობა და დაუყოვნებლივ შეწყვიტა მათი იმპორტი.

აქ ისევ აყყანდნენ მილერის მოწინააღმდეგენი.

— ჯერ ერთი, — ამტკიცებდნენ ისინი, — მილერის სისტემით დამზადებული საღებავები ათჯერ უფრო ძვირია, ვიდრე საზღვარგარეთიდან შემოტანილი, მეორეც, საბჭოთა საღებავი გაცილებით ცუდი ხარისხისაა, მესამეც, ჯერ კიდევ საექვოა, შეძლებს თუ არა საბჭოთა კავშირი საღებავების მასობრივ დამზადებას და სამანუფაქტურო და ტყავის მრეწველობის საკუთარ საღებავებზე გადაყვანას.

გაჩაღდა კამათი...

მილერი თავგამოდებით იბრძვის „ავტორიტეტული სპეცების“ წინააღმდეგ:

— კუსტარული წესით დამზადებული საღებავი, — ამტკიცებდა იგი, — ცხადია, ძვირი იქნება და იმპორტულთან შედარებით არახელსაყრელი... ხარისხის შესახებ კი უნდა განვაცხადო, რომ ეს ამკარად ყალბი შეხედულებაა.

ავსენოთ ქარხანა, სრულად გამოვიყენოთ საღებავების დამზადების შესაძლებლობანი და თვითღირებულებას შემდეგ ვიკამათოთ.

— ო! ჩვენ ასე ალაღბებდნენ ჩვენს აშენება არ შეგვიძლია. ეს მავნებლობა და გამოუსწორებელი დანაშაული იქნება. ჩვენ ჯერ უარს ვერ ვიტყვით საღებავების იმპორტზე, — აცხადებდნენ „სპეცები“.

ასე აჭიანურებდნენ ამ კარგ საქმეს და ცდილობდნენ საბოლოოდ დაემარხათ სამამულო საღებავების შექმნის თვით იდეა.

მაგრამ არც მილერსა და მის ამხანაგებს ეძინათ. მათ ეს საკითხი საკავშირო სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე სერგო ორჯონიკიძემდე მიიტანეს. ამხანაგ ორჯონიკიძის განკარგულებით, საკავშირო სარეწაო კოოპერაციას კვლავ დაეგალა მუშაობის გაგრძელება და ექსპერიმენტული ქარხნის ამუშავება. წათამამებულ მილერსა და მის ამხანაგებს პატიოსანმა სპეციალისტებმაც გაუწოდეს დახმარების ხელი. პროფესორმა ტიმოშენკომ სრულიად უსასყიდლოდ რამდენიმე ლექცია-საუბარი ჩაუტარა არტელის წევრებს საღებავების დამზადების თეორიულ საკითხებზე.

* * *

„მარტივობის ხანა“ დასრულდა.

ოდესის ქიმიურ მრეწველობაში მოტიქრებულსა და მოსკოვში ხორცშესხმულ იდეას აჭარაში ჩაეყარა საფუძველი — დაიწყო საბჭოთა საღებავების პირველი ქარხნის მშენებლობა.

ამხ. მილერი თვითონ ედგა სათავეში საკავშირო მნიშვნელობის ქარხნის მშენებლობას და ინჟ. ვასილიევთან ერთად მდგრად ებრძოდა ყოველგვარ დაბრკოლებას.

და აი 1939 წლის მაისში ქარხნის საკვამურები პირველი კვამლით შეიჭვარტლა.



მადია შაკუნიძე

ახლა ვაჟაო, აზარა?

მინდოდა შენი ლექსები
მემღერა გუთნისპირულშიც,
ვაჰმე, რა მექნა ვაჟაო,
თავს მადგა ხმაღოპირული...
გზა რბილი გამიქარაფეს,
ქვიშა გარიეს ფირუზში...
რას ერჩი ძუძუმწოვარსა,
დედის ძუძუსთან მიუშვი...
მიუშვი!.. მინდვრად ყვავილიც
მისთვის ჰყვავის და ციმციმებს...
გულში ხანჯალი დამარტყეს,
სისხლი ღვარებად მიქციეს,
ო, ტკბილი მამულ-დედული
შავსა სამარედ მიქციეს,
ჩემი ბალი და ვენახი
სულ მთლად ვერანად მიქციეს.
ენაზე დამცეს მახვილი,
მიმცეს შვავსა და წარაფებს.
წამართვეს საგალობელი,
ალალი გულიც წამართვეს.

ტკბილი ქართული ვიცოდი,
შენი ლექსი არ ვიცოდი,
შენი ფანდურის ნატრული
ღველფ-ნაღვერდალში ვიწოდი.
ახლა ვაჟაო აზარა?!
ვინა თქვა ბედის სიშავე...
არ დაანახო ცრემლები, —
ო, თვალი ამოიმშრალე.
ანკარა წყარო ნაჟური
ვაჟაო, შენი ბავიდან,
ჩვენს გამშრალ ყელში წკანწკარებს
ჰე, დასტკბი სულო, რა გინდა!
შენი საუნჯის ბადაგიო
სიცოცხლე მომემატება,
შენ, ერის დიდო იმედო
და პოეზიის ხატებავ!
რა არის მთათა სიმადლე,
შენმა ქუხილმა გყო ცაში...
მოვკვდები შენი ლექსების,
შენი ფანდურის კოცნაში.



შაქვა შუბლაძე

მ ა შ ა ს

მთიდან მერანს მოაგელვებს
კაცი ვინმე ჩოხოსანი.
ფლოქვების ხმა მოაქვს ღელეს
და ზევს ესვრის ეხოსავით.
წინ ხურჯინი ლექსით სავსე
უღევს ძმობის მარად მდომელს.
სირინოზის უკვდავ ხმაზე
ლექსი გალობს საგალობელს.
ხუკრს თვალეზი დაბინდია,
მთაც ხმას ისმენს საარაკოს.
ყვავილებში დგას მინდია.
პირიმზესთან ლაპარაკობს.
თითქოს ცხენთა ჭიხვინია,
ხმლების ქნევა რაინდული.
მკერდს მიუშვერს ჯიხვი ნიავს,
კლდის წარაფზე გარინდული.
მიუშვია ცხენი მხედარს.
წაულია ფიქრებს მგზავრი,

საითაც არ გაიხედავს,
ბახტრიონზე მიიღს ჯარი.
წინ ლუხუმი მიუძღვება,
მხარს უმშვენებს მას კვირია;
სიკვდილი, ან გამარჯვება!
მთიდან მთაზე გაჰკივიან.
იცის, იცის მთა რად ტირის,
რად დგას ასე დაღონებით,
იქ არწივი ზის დაჭრილი,
დახვევია ყვავ-ყორნები.
თვალბედიტნო, ნუ ჩასწივით!
თორემ ზეიმს ნახავთ მაშინ,
როს მოირჩენს წყლულს არწივი
და ღონიერად მხარს კვლავ გაშლის...
თბილისისკენ მიჰქრის გულით,
ყვავილები გზას ამკობენ.
სიცოცხლის და სიყვარულის
ლექსი გალობს საგალობელს.





ჯემალ ჯაყელი

* * *

ვარ მდინარე და
მიტომ მიყვარს აბობოქრება,
ვარ აფშინაი,
ჯერ ბეჭებზე დაუწვინარი,
ვარ მოგზაური —
მწვერვალისკენ გზები მოკლდება
და ერთი ნატვრა,
დიდი ნატვრა ისევ წინ არი:

ბახტრიონისკენ შემხვდებოდეს ლამაზი ლელა, —
მომანათებდეს,
ვით ყაყაჩო ნამიან მოლზე,
და სიყვარულზე ლექსს იტყოდეს
დიდი ფშაველა
და შადგებოდეს ლუხუმივით
ლაშარის გორზე!



პაკაუზ მონაქმ

ვაჟა-ფშაველა და 1905 წლის რევოლუცია

ვაჟა-ფშაველა უდიდესი აღფრთოვანებით მიესალმა და პრაქტიკულადაც ჩაება 1905 წლის რევოლუციურ მოძრაობაში, რომელიც გენიალური ლენინის თქმით, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გენერალური რეპეტიცია იყო.

ვაჟა-ფშაველას აქტიური მონაწილეობა 1905 წლის რევოლუციურ მოძრაობაში მთელმა რიგმა ფაქტორებმა განაპირობეს. როგორც ცნობილია, ჩვენი სასიქადულო პოეტი აღიზარდა, ერთი მხრივ, დიდი რუსი რევოლუციონერი დემოკრატების იდეათა პოზიტიური ნიადაგზე, მეორე მხრივ კი ქართველი „თერგდალეულებისა“ და სამოციანელთა პროგრესული იდეების ატმოსფეროში; არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ აღსანიშნავთან ერთად იგი ღვიძლი შვილი იყო ბატონყმობის უღელგანუცდელი, თავისუფლებისმოყვარე მთელი ხალხისა, რომელმაც ყველაზე უფრო მძაფრად განიცადა თვითმპყრობლური რეჟიმის მწვავე სუსხი. ყოველივე ამის შედეგი იყო, რომ ვაჟა სასულიერო სასწავლებლის კედლებიდანვე ჩაება ხალხის განმათავისუფლებელი რევოლუციური მოძრაობის ფერხელში და ბოლომდე გულდანდობით გაჰყვა მას.

ვაჟა-ფშაველას თანამედროვე მ. შამანური თავის მოგონებაში წერს: „1905 წელს, იაპონიასთან ომში დამარცხებასთან დაკავშირებით, რუსეთში განმათავისუფლებელი მოძრაობა დაიწყო, რაც მთელ საქართველოსაც მოედო. ყველაგან გაფიცვები, მიტინგები, ყველაგან რევოლუციური მოძრაობა იყო. ფშაველას ხევისურეთში პირველი გამოსვლები ვაჟამ მოაწყო. ვაჟა ამბობდა, რომ საქართველოს განთავისუფლება ჩვენ აქედან — მთიდან უნდა დაიწყო, ჩვენ უნდა მუქლუგუნი ვკრათ ბარს, რომელსაც სძინავს“ (ს. ყუბანეიშვილი, „ვაჟა-ფშაველა“, გვ. 395-396).

მებრძოლ პოეტს, ფშაველებთან ერთად, გადაუწყვეტია ხევისურნიც შეეკრიბა და სათანადო მოწოდებაც კი შეუდგენია. იგივე მ. შამანური თავის მოგონებაში მოგვითხრობს: „დანიშნულ დღეს, მოვიდნენ ხევისურეთის შვილები თავით ფეხებამდე შეიარაღებული, მოგროვდნენ ბარიკადაში და დასდეს ფიცი, რომ უკანასკნელ სისხლის წვეთამდე იბრძოლებდნენ თავისუფლებისათვის. ეს ფიცის ფურცელიც ვაჟამ შეადგინა: „ვაჟა, — ეუბნებოდნენ ხევისურნი, — ჩვენ დავხავსდით, ჩვენს იარაღს ობი და ყანგი მოვიკიდა, იარაღს ვაპრიალემა უნდა და სად უნდა ვაპრიალოთ ეს იარაღი, თუ არა თავისუფლებისათვის ბრძოლაში?“ (იქვე).

როგორც გადმოგვცემენ, ვაჟას სახლი ამ დროს დევნილების ნამდვილი თავშესაფარი იყო. მიუხედავად იმისა, რომ ვაჟა ხელისუფლებისაგან ნახევრად დევნილის პირობებში იმყოფებოდა, მებრძოლ „ტყის ძმებს“ მაინც ყველა შესაძლებელი საშუალებით უშიშრად იცავდა და მფარველობდა.

რევოლუციურ წრეებს სასიქადულო პოეტისათვის უთხოვიან „მარსელიოზას“ მსგავსი რამ რევოლუციური ჰიმნი დაეწერა. ეს თხოვნა ვაჟას შეუხრულებია და სახელდახელოდ დაუწერია მომწოდებელი ლექსი, რომელიც მალე სიმღერად ქცეულა და ხელიდან ხელში გადადიოდა.

მგზნებარე პოეტმა 1905 წლის ქარიშხლიან დღეებს ბევრი სხვა ძვირფასი სიმღერა და ლექსი მიუძღვნა.

ცნობილია, რომ ამ დიდი დღეების განწყობილებითაა შთაგონებული დიდი მხატვრული უშუალობით აღბეჭდილი ვაჟას ერთ-ერთი შენანიშნავი ალეგორიული პოემა „კლდე და მდი-

ნარე“. მასში პოეტმა ამხილა და გადაჭრა დაგ-
მო ცარიზმის სულისშემხუთავი რეჟიმი:

კლდეს შეეზღუდა ხეობა,
რაზეც მდინარე დიოდა, —
სალსა, ასპიტსა, დიდრონსა
ფერფლიც კი არა სცივოდა.
მდინარე უყევს: „გზა მომეც,
კლდეო, გამიშვი წინაო...
მინდა, რომ ბარად ჩავიდე,
იქ ნოვიპოვო ბინაო“.

ამჟამად, რომ აქ კლდე მონარქიული რეჟიმის
სიმბოლოა, ხოლო აღნიშნული მდინარე გა-
ღვიძებული ხალხია.

კლდისა და მდინარის ეს სამკვდრო-სასიცო-
ცსლო შერკინება ბოლოს იმით დამთავრდა, რომ
„კლდისა მოისმა ქეითინა“, იგი გადაიქცა და მის
ნანგრევებზე ძალმოცემული მდინარე ლაღად
„გაიჭრა ველზედა“. ავტორი მიესალმება მდინა-
რის გამარჯვებას და წერს:

„გალღებული ქალაზე
მაიზლანება მღერითა;
სამო სანახავია
გამარჯვებულის ფერთა.
ხარობენ ის და ქვეყანა
ერთმანეთისა ცქერითა“...

მებრძოლის სულსკვეთებით გამსჭვალული ეს
ბრწყინვალე პოემა ერთგვარი პრელუდია გახდა
მგზნებარე რევოლუციური პათოსით აღბეჭ-
დილი ლექსთა ციკლისა, რომელიც ვაჟამ 1905
წლის დაუვიწყარ დღეებს მიუძღვნა.

„გულო, გაკლდევი, გამაგრდი,
ნისლი ნუ გადაგეფარა:
თუ აქამომდე გავძელით,
ღღეს მტერი გავგეტხს ველარა“.

წერდა ვაჟა და ნიღაგ ამხნეებდა მებრძო-
ლებს, არ შემკრთალიყვენ და უხეში ძალის წი-
ნაზე ფარ-ხმალი არ დაეყარათ:

„გულო არ გასტყდე, გამაგრდი,
კლდეო, კლდედ იდეგ სალადა!
რა ვქნათ, რომ ჩანყი გვეხვევა,
მეცა გყევივართ ავადა,
ცდა გავუქარწყლოთ საწუთროს,
ნუ დავბერდებით შავადა“.

ასეთივე მიმედლებელი სტრიქონებითაა აღსავ-
სე ლექსი „მითარია წუთისიფლიმა“, რომელშიც
პოეტი მიესალმა მყობადის ნანატრ დღეებს და
ნათელი მომავლის იმედით ლამობდა გადა-
ვიწყნა გაუხარელ ნამყოში „ნასვამი შხამი, ნა-
ღველი“. პოეტს თვითონ სწამდა და მკითხველ-
საც არწმუნებდა, რომ ხალხის მჩაგვრელი ვეშაპი
ღღემოკლეო და ხანგრძლივი სიცოცხლე არ
უქერია:

„კედება, სულსა ჰლევის ვეშაპი,
ქვეყნისა სისხლის მსუტავი“

ვაჟა გულდაჯერებით აცხადებდა, სადაცა გუ-
შინდელი ოცნება ნანატრ სინამდვილედ გადაიქ-
ცევა და აკაისებული მიიმედებდა მსუტავებით
ქადაგებდა:

„ამიერიდან ქალარაც
შავფერად გარდაიქმება,
მირჩება გულის წყულულები,
რჩება სნეული ოცნება:
ტყდება მონობის ბორკილი,
ღღესასწაულობს გონება“.

ამავე დროს ვაჟა-ფშაველა სიამოვნებით იხ-
სენებდა განვილილ ნარეკლიან გზას, იმ დღეთა
გმირებს, „კაი ყმებს“, რომელთაც პოეტს
„წყულულზე მალამო“ დაადეს, უმკურნალეს და
მადლიერების გრძნობით აღსავსე სიტყვებით
მიმართავს მათ:

„ღმერთმა უშველოს იმათა,
ვინც მიქეიმა, მიწამლა!
ჩემს სარგოდ სისხლი დაღვარა
იმით მხენ გულის ფიცარმა“.

თავის გულის ნადებს პოეტი ხან დაუფარავად,
პუბლიცისტური გარკვეულობით გამოთქვამდა,
ხანაც შეფარვით, ბუნების საგნებისა და მოვლე-
ნების მოშველებით. ასეთი ალეგორიის ერთ-
ერთი საუკეთესო მაგალითია პოემა „მითათა
ერთობა“.

ნათელი მომავლის რწმენა პოეტს ვერ წაა-
რთვა 1905 წლის რევოლუციის დამარცხებამაც
კი. მას მტკიცედ სჯეროდა, რომ რეაქციამ მხო-
ლოდ დროებით „დასცა დაბლა“ 1905 წლის
დროშა, ხალხთა მოძრაობის ამირანი მხოლოდ
მცირე ხნით წამაჩაოქა და რომ მოვიდოდა
დრო, როდესაც იგი ისევ წამოდგებოდა და შე-
მოსეულ „ყვავ-ყორნებს“ გმირულად მოიგერი-
ებდა. ამიტომ ვაჟა-ფშაველა კვლავ იმედიანი
პოეტური სიტყვით ამხნეებდა ხალხს:

„კიდევაც ვნახავ ცა სქექედეს,
თოვლის წილ წვიმა ცვიოდეს,
ანაყივრებდეს მიწასა,
მდინარეები ხვიოდეს,
აღარვინ იტანჯებოდეს
და აღარც ვისა შიოდეს,
სიმართლის გამარჯვებასა
მთაზე არწივი ჰყიოდეს;
მეც მას ბანს ვუებუნებოდე,
გული აღარა მტკიოდეს“.

(„კიდევაც ვნახავ გაზაფხულს“)

ვაჟას ეს წინასწარმეტყველური სიტყვები
ხორცშესხმულ სინამდვილედ იქცა.



პაპა მებუკა

ვაჟა-ფშაველა — ჟურნალისტი

მრავალმხრივია დიდი ქართველი მწერლისა და მოაზროვნის ვაჟა-ფშაველას ცხოვრება და მოღვაწეობა. ვაჟა-ფშაველა — პოეტი და ბელეტრისტი, ვაჟა-ფშაველა — დრამატურგი, ჟურნალისტი, ეთნოგრაფი, ფოლკლორისტი... ყველა დარგში დატოვა მან დივეური კვალი. რომელ ასპარეზზეც არ მოღვაწეობდა იგი, მიზანი, ლიტმობიერით ერთი იყო — ბრძოლა ქართველი ხალხის უკეთესი, მზიანი მომავლისათვის.

ვაჟა-ფშაველა — ჟურნალისტი დიდი საუბრის თემია. იგი მოიცავს არა მარტო გამოქვეყნებულ წერილებს, კორესპონდენციებს, ფელეტონებს, არამედ მის პრაქტიკულ ჟურნალისტურ საქმიანობასაც რედაქციებში. ამ წერილს ასეთი პრეტენზია არა აქვს. ჩვენ გვინდა აღვნიშნოთ, კონკრეტული მაგალითით ვაჩვენოთ, თუ როგორ ეხმარებოდა ვაჟა-ფშაველა თანადროულობას თავისი საგაზეთო სტატიებით.

ავტოგრაფულ ცნობაში, რომელიც 1915 წელს დაწერა, ვაჟა-ფშაველა გვაუწყებს: „დავიწყე წერა პირველად „დროებაში“ 1877-78 წლებში კარგად არ მახსოვს, ჯერ ისევ შეგიძლია ვიყავი, რომ ფშავიდან კორესპონდენტისებრ მაქვს წერილი იქაურ მასწავლებლის უზნეო ყოფა-ქცევაზე“, ხოლო პოეტური მოღვაწეობის დასაწყისზე იქვე წერს: „ჩემი ლექსები იბეჭდებოდა „იმედში“ 1880-81 წ.“.

თავისთავად ფაქტი, რომ ვაჟა-ფშაველამ სამწერლო მოღვაწეობა ჟურნალისტობით დაიწყო, ინტერესს არ უნდა იყოს მოიღებულ. ჟურნალისტურმა საქმიანობამ კიდევ უფრო განამტკიცა პოეტის კავშირი ხალხთან, რომელიც ვაჟა-ფშაველას არასოდეს გაუწყვეტია.

ძირითადად რა საკითხები წამოწია წინ მან, რა საკითხები გაუსვა ხაზი თავის ფელეტონებსა და კორესპონდენციებში?

ეს არის მთიელთა დაბეჩავებული, მიძიმე ეკონომიური მდგომარეობა, ცრუმორწმუნეობისა და ზოგიერთი ჩვეულების მანკეობა. სწავლა-აღზრდის საკითხები.

მართალია, ვაჟა-ფშაველა თავის ფელეტონებსა და კორესპონდენციებში წერდა თუშ-ფშახვესურეთის შესახებ, მაგრამ მათში შეიძლება დავინახოთ საქართველოს ყველა კუთხის ცხოვრების ანარეკლი და, მეორეც, მთიელთა ცხოვრებაზე წერდა იმიტომ, რომ იგი ნაკლებად შექმდებოდა იმდროინდელ პრესაში. აქი ვაჟა გვაუწყებდა კიდევაც: „საკვირველის ბედისაა ეს ჩვენი ფშავ-ხვესურეთი. საქართველოს ყველა კუთხეს რამოდენიმე საკუთარი კორესპონდენტი ჰყავს და ამ ჩვენს კუთხეს ვერა ეშველარა, — ერთიც არსად მოეპოვება. სწორედ მოგახსენოთ, ეს ვერაფერი ამბავია, მით უფრო, რომ ფშავ-ხვესურეთი დიდად საყურადღებო კუთხეს შეადგენს და საჭიროა მკითხველმა საზოგადოებამ იცოდეს ავიც და კარგიც ამ კუთხისა“.

ავი კი ბევრი იყო იმდროინდელ მთიელ ქართველთა ცხოვრებაში. დღესაც აულელებულად შეუძლებელია წაიკითხოთ კორესპონდენცია „ფშავის ხევიდამ“ (1880 წ.). ამ პატარა წერილში მთელი სისრულით არის აღბეჭდილი გლეხკაცის გაჭირვება. კორესპონდენციის შემოქმედების ძალას აძლიერებს ისიც, რომ მასში ხალხის ავბებზე მეტყველებს გლეხკაცი გამიხარდი. ისმენთ მის ნაუბარს (იგი ჰყვება ჩვეულებრივი გლეხკაცური კილოთი, ყოველგვარი პათეტიკისა და მაღალფარდოვანი სიტყვების გარეშე) და თვალწინ წარმოგიდგებათ გლეხობის აუტანელი ცხოვრების სურათები. აქ ლაპარაკია არა ზოგადად გლეხკაცის გაჭირვებაზე, არამედ, როგორც ეს კორესპონდენციას ახასიათებს, მას კონკრეტულობის ბეჭედი აზის.

მეტად ბევრის მიქმელი და ემოციურა ავტორის დასკვნაც. მისი თვითიული წინადადება დასრულებული მხატვრული ტილოა, გაბმული ვოდება გლუხკაცის სავალალო მდგომარეობაზე: „არა სტყუის გამიხარდი. აი ჩემს გარშემო ვეგრძობებზედ ფშაველები ხნავენ: ზოგს უღელი ხარი უბია გუთანში; ზოგს ყვეარი და ისიც როგორი გუთანი, რომელიც იორის გოჯის მეტს სიღრმეზედ მიწას ვერა სჭრის; გაველებს გუთანს (გუთნისდედაც თვითონ არის და მეხტრეც), შეეკვეთება მუხლებს და დაეცემა. აბა ვკითხვით, რა უჭირს? — ისა, რომ სამი დღეა მშვიერი მუშაობს. მეორეს განედეთ, როგორ მოუკიდნია გუთნისათვის თვისი დახტეილი და მიწით ამოტენილი ხელები, როგორ წასვლია თვალებიდან სინათლე და სთვლემს. ჰკითხეთ, თუ შიშობილი არ იყოს მისუსტებული... აბა ერთი ამასაც განედეთ, როგორ ეხვევა მკვარტლი და ბოლით გაყვითლებულ ტყავში და იკუნტება ფერმარევი ნახნავში. ჰკითხეთ, თუ მკვლებით და ქარებით არ იყოს დაქერილი“...

მაგრამ მთლიანად უნუგეშო მდგომარეობაში მაინც არ ტოვებს ავტორი გლუხკაცს, თუმცა მდგომარეობიდან გამოსვლის არც რეალურ გზას უჩვენებს: „იმის გულში ცეცხლი ტრიალებს, მაგრამ ამ ცეცხლს არ აჩენს გლეხი კაცი და ანელებს რაღაც ნუგეშით, იყურება აქეთ-იქეთ, ეძებს ნუგეშს, მაგრამ ვერსად ხედავს, მიზბრუნდება ისევ ზეცას და ამბობს: „შენ უშველე საწყალ კაცს!“ მართალია, მთელი გლუხკაცი ბოლოს და ბოლოს შველას თითქოს ღმერთისაგან მოელის, მაგრამ ეს კი არ არის მთავარი, არამედ ის, რომ ავტორს სწამს (და, მისი სიტყვებით, ვლუხსაც) უკეთესი მომავალი („მაგრამ ამ ცეცხლს არ აჩენს გლეხი კაცი და ანელებს რაღაც ნუგეშით...“) რომ იგი წინ იყურება და არა უკან.

ეს კორესპონდენცია ყურადღებას იპყრობს როგორც თემის, აღძრულ საკითხთა აქტუალობით, ისე მხატვრული შესრულებითაც. ამიტომ არის, რომ იგი თავიდან ბოლომდე შეუწელებელი ინტერესით, სულის ერთი ამოთქმით იკითხება. თამამად შეიძლება ითქვას, რომ იგი ქართულ ჟურნალისტიკაში კორესპონდენციის ერთ-ერთი საუკეთესო ნიმუშია.

საგულისხმოა, რომ თავის კორესპონდენციებში ვეა-ფშაველა არა მარტო აღწერს გლეხთა გაპირებულ მდგომარეობას, არამედ მიუთითებს იმ შემთხვევებზეც, როდესაც გლეხები ყრუ გმინვიდან აშკარა წინააღმდეგობაზე გადადიან.

ამ მხრივ საინტერესოა „თიანური ფელეტონი“ (1891 წელი), რომელიც ავტორმა გაზეთ „ივერიის“ გაუგზავნა, მაგრამ არ დაბეჭდილა. იგი მოგვიტობრობს იმაზე, თუ როგორ სურდათ თავად ჩოლოყაშვილებს დაპატრონებოდნენ სოფელ ჩაპანო-ხაიშოს, ღალა აეკრიფათ ამ სოფლის მცხო-

ვრებთან, მაგრამ კოხე ნაცარში ჩაუვარდათ. მაშინ აბელ ჩოლოყაშვილმა „...ერთი ზღის მკრიგონა თურმე და უნდა მოგახსენოთ რისი ეს ნერხი მეტად, ანუ უკეთ რომ ვსტკეპთ...“ უხერხული გამოვიდა“. მან ფაქტუალურად ერთ-ერთ ფშაველს პირუტყვი. ფშაველმა პირუტყვის დაკარგვა რომ გაიგო, მეზობლებთან ერთად გამოეკიდა კვალზე. აქ საინტერესოა ერთი დეტალი: „ხევგელაზე მოეწივნენ და გაიგეს, რასაკვირველია, ვინც იყო „ქურდი“, მაინც არ დაიშალეს და შესასწავლად თოფები დაახალეს“. ამ ეპიზოდში ნათლად ჩანს, თუ როგორი გარდატეხა მოხდა გლეხის შეგნებაში, იგი თავისი კანონიერი უფლებების დასაცავად უკვე იარაღით იბრძვის. ვეა-ფშაველს მახვილმა ჟურნალისტიკაში თვალმა კარგად შენიშნა ეს ცვლილება გლეხის შეგნებაში, გამომხეურა კიდევაც იგი.

შეიძლება ვინმე ასეც დასვას საკითხი: ეს ხომ კონკრეტული, ნამდვილი ამბავიაო და ფაქტს ხომ ვერ დაამახინჯებდა ავტორი? მაგრამ ჟურნალისტი გულგრადად, ინდეფერენტულად ხომ არ არჩევს ფაქტს, პირიქით. მას დღის სინათლეზე გამოაქვს ის მოვლენები, რომლებიც არსებითად მიანიშნა დროის განსაზღვრულ მონაკვეთში და რომლებიც მისი შეხედულებების პოპულარიზაციას უწყობენ ხელს.


გლეხთა მძიმე ეკონომიური მდგომარეობა ძლიერ რელიეფურად გადმოგვცა ვეამ აგრეთვე წერაში „ხმა მიდამ“ (1881 წ.). ამ კორესპონდენციას კვლავ დავუბრუნდებით, მაგრამ აქ გვიჩვენა აღვნიშნოთ, თუ როგორ ხელშეახებად გვიჩვენებს ავტორი გლეხთა სილატაკეს. ვეასა და ხევსურის დიალოგი ამის მშვენიერი მაგალითია:

„წინაპირველად ვერ დამინახა, თუმცა თავის ცანცარით მათვალიერებდა. მე თვითონ ავდექ და მივედი კარებში. რა დამინახა რუსულ ქულში, მაშინვე ქული მოიხადა.

- ბატონი აღდეგატელის ღმერთმა.
- მეც ღირსეულად მივეტე.
- შენ ხარ უჩიტელი?
- მე, სწორედ! — ვუთხარი, თუმცა კი ტყუილად.
- პურ ან ფულ ხო არ გექნების გირაოზედ გასატანი?
- რა გირაო?

— ფარ-ხმალ წამავიტანი, თუ გექნების, ჩემო უჩიტელო, ნუ დამიზოგავ, სთველით მაგილებს ისევ; შენზე მეტს კაცს მე აქ ვერ ვღნახავ, ჯალაფნ მეხოცებიან შიშობილით...“

ეს დიალოგი მკვერბრეტყველურად ღალადებს არა მარტო გლეხთა გაპირებას, არამედ იმ ცვლილებასაც, რომელიც გლეხის ფსიქიკამ განიცადა ახალი ეკონომიური პირობების განვითარების შედეგად. წარსულში წარმოუდგენელი იყო ხევსურს ფარ-ხმალი დაეგირავებინა, მაგრამ



ცხოვრების შეცვლილი პირობები ამ ნაბიჯის გადადგმასაც აიძულებს. კორესპონდენციის ავტორი გრძნობს და მკითხველსაც აგრძნობინებს, რომ ფარ-ხმალის დრო ბარდება ისტორიას, სამოქმედო ასპარეზზე გამოდიან ახალი ძალები.

ვაჟა-ფშაველას კორესპონდენციებში ასახვა ჰპოვა კაპიტალიზმის შექრის პროცესმა მთაში სავაჭრო კაპიტალის სახით. შეიძლება მწერალი ამ მოვლენაში დადებითს ვერაფერს ხედავდეს, მაგრამ მან, როგორც რეალისტმა მხატვარმა, გვერდი ვერ აუარა ფაქტს. მის კორესპონდენციებში აქცენტი გადატანილია იმაზე, თუ როგორ ატყავებენ და ძარცვავენ სავაჭრო კაპიტალის წარმონაღვრელები ისედაც დაბეჩავებულ მშრომელ გლეხობას.

ხალხის დაბეჩავებული მდგომარეობის ერთ-ერთ მიზეზად ვაჟა-ფშაველას უყოდინარობა, უსწავლელობა მიაჩნია. ამიტომ არის, რომ მწერალი თავის კორესპონდენციებში გულმხურვალედ ეხმაურება სკოლების გახსნა-დახურვის საკითხს.

ვაჟა კორესპონდენციაში „ფშავის ხევიდამ“ (1886 წ.) გულდაწყევით აღნიშნავდა ფშავში სკოლების დახურვის ამბავს: „ფშავში ამ ხუთი წლის წინათ ორი სკოლა იყო: ერთი სოფ. არტანში, მეორე სოფ. ჩარგალში; ეს სკოლები დღეს გაუქმებულები და დანგრეულები დგანან“, ხოლო უფრო მოგვიანებით დაწერილ კორესპონდენციაში „წერილი ფშავის ხევიდამ“ (1890 წ.) წერს, რომ „ხევსურეთს კი ჯერ თვალითაც არ უნახავს, რა ხილა სკოლა. სასამელია თუ საქმელი“.

მწერალი მიესალმება სკოლების გახსნის იდეას, მაგრამ იმაზეც მიუთითებს, რომ ამ ამბავმა კიდევ უფრო სავალალო მდგომარეობაში არ უნდა ჩააყენოს ისედაც მძიმე ეკონომიურ პირობებში მყოფი მთის ხალხი. საქმე ისაა, რომ საზღვრული მდგომარეობა მოიწადინებდა სკოლების გახსნას, მაგრამ კვლავ და კვლავ გლეხობის ხარჯზე. ამიტომ იყო, რომ ვაჟა-ფშაველა წერდა: „ამგვარს შემთხვევაში საზღვრული მდგომარეობა „წყაროს“ მიჰმართავს ხოლმე“. რომლის წყაროდამ მამაო?!“ გაისმის აქეთ-იქიდან. ბევრის აღებ-დაღების შემდეგ, წყაროს მდებრი ხალხში იპოვნიან და ამით გათავდება ხოლმე საქმე. ფრიად კარგი და პატიოსანი აზრია, თვით ხალხი ჰზრუნავდეს თავის ყმაწვილების აღზრდისათვის და თვითვე ჰპოულობდეს ამისათვის წყაროსა და საშუალებას, მაგრამ მაგარი ის არის, რომ ხალხს ეძნელება და ახალი სასკოლო ხარჯი ვერ უტვირთნია. ფშაველ-სევსურნი უომისოდაც შეწყუბებულები არიან სხვადასხვა, არა მარტო კანონიერის, არამედ უკანონო გადასახადისაგან“.

ამიტომ სკოლის გახსნის მსურველთ ვაჟა ისეთ წყაროზე მიუთითებს, რომელიც ისედაც გაჭირვებულ ხალხს არ დააწევბა მძიმე ტვირთად: „თუ ნებას მომცემენ მე ვურჩევ, ერთს „წყაროს“

მიჰმართონ. ფშავ-ხევსურეთის მღვდლებმა კარგად უწყინან, რომ ერთის წლის განმავლობაში ხატობებში დაკლულს საქონლის ტყუენების სქესი, სულ მცირე რომ ვიანგარიშოთ, შესდგება სამასი თუმანი. ითავოს სამღვდლოებამ, შეაგროვოს სოლმე ეს ფული და გაჰართოს სამრევლო სკოლები: ამით ხალხის საკუთრება ისევ ხალხს დაუბრუნდება“.

მეტად საყურადღებოა ვაჟა-ფშაველას ის კორესპონდენციები, რომლებშიც ავტორი ცრუმორწმუნეობისა და მავნე ჩვეულებების წინააღმდეგ ილაშქრებს. შეიძლება ითქვას, რომ მათ დღესაც არ დაუკარგავთ მნიშვნელობა. ვაჟა-ფშაველა კარგად ხედავდა, თუ როგორ აჩანავებდა, ფიზიკური განადგურების კარამდე მიჰყავდა ისედაც დაბეჩავებული ხალხი ცრუმორწმუნეობასა და მავნე ჩვეულებებს. ამიტომ იყო, რომ ეძიებდა ხმას ამ ბოროტების წინააღმდეგ. არ გადავამეტებთ, თუ ვიტყვი, რომ კორესპონდენციები: „წერილი ხევსურეთიდან“, „წერილი ხევსურეთიდან (სოფელი ხანმატი)“ და სხვ. დიდი მგზნებარებით დაწერილი პროკლამაციებია, ცრუმორწმუნეობის წინააღმდეგ მმართველნი.

კორესპონდენციაში „წერილი ხევსურეთიდან (სოფელ ხანმატი)“, რომელიც 1879 წელს დაიბეჭდა ვახუთ „დროებაში“, ვაჟა-ფშაველა პირდაპირ აცხადებს: „ყურადღების მისაქცევა აქ უფრო ის მეტის-მეტე, საზღვარს გადასული ცრუმორწმუნეობები და მამა-პაპის ჩვეულებების აღსრულებები, რომელნიც აღარბებენ მათ“.

ეს ამთი ჩვეულებები ყველა დიდ მოქრთამე ჩინოვნიკებზედ მეტს ვნებას აძლევენ ამათ“.

კორესპონდენციაში „წერილი ხევსურეთიდან“ ვაჟა-ფშაველას სააშკარაოზე გამოაქვს ქადაგთა მატყუარობა და გაიძვირობა. წერილის პირველ ნაწილში აღწერილია, თუ როგორ ოინბაზობს ქადაგი, რომ დაარწმუნოს ჰირისუფალნი სუმბატეს სიკვდილში და „...უფრო ბევრი დაახარჯვინოს უიმისოდაც სიღარიბისაგან დაჩაგრულ ხევსურს“. მესამე დღეს კორესპონდენციის ავტორს შემთხვევა ჰქონდა კვლავ გაველო იმავე სოფელში და მოწმე ყოფილიყო იმ ფაქტისა, რომ მამასახლისი ხალხს უცხადებდა სუმბატა ცოცხალიაო.

ეს კორესპონდენცია საინტერესოა არა მარტო იმით, რომ ააშკარავებს ქადაგთა მატყუარობას, არამედ იმითაც, რომ მისი დასკვნითი ნაწილი ასახავს ხალხის გამოფხიზლებას ცრუმორწმუნეობის ბანჯისაგან. ახალგაზრდა ხევსურის სიტყვები საბრალდებულო დასკვნაა ქადაგთა და მისი ჯურის „მოღვაწეთა“ საქმიანობაზე.

კორესპონდენცია „წერილი ხევსურეთიდან (სოფელი ხანმატი)“ დიდი პუბლიცისტური გაქანებით აღწერს, თუ როგორ აღარბებენ და აჩანავებს ხალხს მრავლრიცხოვანი დღეობები. იგი

აღადგენს ამის ნათელ სურათს, თუ ხევსურს როგორ გააქვს ოჯახიდან ყველაფერი, ოღონდ ხატს ასიამოვნოს: „მოდის მლოცავი და მოუდის ცხვარი და ძროხა ხატებში დასაკლავად! ვინ იცის, იქნება ამის მეტიც არა ჰყავს, მაგრამ ვალდებულება, როგორც ნამდვილი ხევსური, რომ ხატის კარზედ ცხვარი, ან ძროხა დაკლას!“.

დიდი ვნება მოჰქონდა ხალხისათვის აგრეთვე დღეობებში ჩხუბს, რომელიც თითქმის ტრადიციად იქცა. ვაჟა-ფშაველამ თავის კორესპონდენციებში ამ მკვნე ჩვევასა თუ ტრადიციასაც გაამახვილა ყურადღება. გავიხსენოთ, როგორი სარკაზმით წერს იგი ამის შესახებ: „ყველაფერი გამზადდა დღეობის შესასრულებლად. ახლა ლუდიანი კოდებიც გაიხსნა და, უეჭველია, რომ ლუდის სმა ფუჭად არ ჩაივლის. კარგად გამოთვრ-

ნენ ყველანი და მოაგონდათ თავის ძველებური ჩვეულება. აქედამ ისე როგორ უნდა წაუდგეს ხევსური, რომ სისხლი არავის ჩამოადინოს, რა უნდა სთქვან იმაზედ მანდილოსნებზე, რომლებიც რცხვილით გარეთ არ გამოესვლებენ მზის სხივებს“.

საკითხთა წრე, რომლებსაც ვაჟა-ფშაველა თავის კორესპონდენციებში ეხება, ძალიან ფართოა. ჩვენ ყურადღება გავამახვილეთ მხოლოდ ზოგიერთ მათგანზე, რომელიც უფრო არსებითად მიგვაჩნდა. მაგრამ ამ მოკლე მიმოხილვიდანაც კი შეგვიძლია გავაკეთოთ დასკვნა, რომ ვაჟა-ფშაველა — ჟურნალისტი ცხოვრების შუაგულში იდგა და მისთვის ჩვეული მგზნებარებით ეხმაურებოდა თავისი დროის აქტუალურ პრობლემებს, დაუღალავად იბრძოდა მშრომელი ხალხის ცხოვრების გაუმჯობესებისათვის. მზიანი მომავლისათვის!



ლილი ჩიქოვანი

ვაჟა-ფშაველა და ხალხური შემოქმედება

საქართველოს „თავჩაქჩინა“ მთებში დაირწა დიდი ვაჟას მადლიანი აკვანი. მთამ აზიარა თავისი რჩეული შვილი ხალხური სიბრძნისა და სიტყვახატოვნების უშრეტ წყაროს, პანგი დაულოცა იმთავითვე. ხალხმა გაუბა მის გრძნულ ჩანგს საკუთარი გულის სისხლსავსე სიმები და გახადა იგი ხმაგაუბზარავი სივრცეთა უკიდევანობასა და ჟამთა უსასრულობაში. მხარში ამოუდგა მსოფლიო პოეზიის ტიტანებს ერთი ნატრისფერჩობიანი, შეენაბადა ფშაველი, — ხალხის გენიით მირონცხებულნი, — ყველა ერისა და დროის დიადი მგოსანი.

მდიდარი ხალხური შემოქმედება, ეპოქის მაჯისცემასთან შერწყმული, შეიქმნა ვაჟა-ფშაველას უკვდავი პოეზიის უპირველესი საზრდო და თავანჯარა საწყისი.

პოეტის დედა — წერა-კითხვის უცოდინარი ქალი — კარგად იცნობდა ხალხური შემოქმედების საუნჯეს და საუკეთესო მოქმელი იყო. ხალხური სიმღერები აკვანშივე ჩაესმოდათ მის შვილებს, ხოლო შემდეგ ისმენდნენ ნიჭიერი დედისაგან შესანიშნავ ზღაპრებს, თქმულებებსა თუ ლექსებს. ვაჟას მამა იყო ცნობილი მელექსე, ხოლო დედის ბიძა. პარასკევა — ფშავეში განთქმული ავტორ-მოქმელი. ასე, რომ მომავალ გენიალურ პოეტს ოჯახური გარემოც უწყობდა ხელს ძლიერ ახლო გაეცნო ხალხური შემოქმედება, შემდეგ კი ფასდაუდებელი ამაგი გაეწია ქართული ფოლკლორისტიკისათვის.

ფოლკლორულ ნაწარმოებთა შეკრება-შეგროვება ვაჟამ ჯერ კიდევ სწავლის პერიოდში დაიწყო და ეს საპატიო საქმე სიკვდილამდე არ შეუწყვეტია. მშობლიური მთის ამოუწურავმა და წარმტაცმა ფოლკლორულმა მარაგმა მისცა პოეტს უხვი მასალა, დაეწერა საუცხოო ნარკვე-

ვები, ღირსშესანიშნავი ეთნოგრაფიული და პუბლიცისტური წერილები.

განსაკუთრებით უყვარდა და აფასებდა ვაჟა ფშაურ პოეზიას. „ფშაველები პოეტური ხალხია და მათი პოეზია წარმოადგენს უძირო ზღვას. რასაც ფშაველის თვალი და გონება მისწვდომია, იმას ყველაფერზედ უთქვამს ლექსი — მოყოლებული სიციცხლიდან სიკვდილამდე და საიქიომდე“, — ამბობს პოეტი ეთნოგრაფიულ ნარკვევში „ფშაველები“ (1886 წ.). თავისი ამ დებულების ნათელსაყოფად მან მთის ფოლკლორის არაერთი შესანიშნავი ნიმუში გამოაქვეყნა.

ვაჟა-ფშაველა იყო ხალხური პოეზიის არა მარტო შემკრები, არამედ დიდი მკვლევარი-თეორეტიკოსიც. მიაჩნდა რა ხალხური შემოქმედება ხალხის პირშობდ, იგი ყოველ ლექსსა თუ სხვა ჟანრის ხალხურ ნაწარმოებს განიხილავდა სოციალურ გარემოსთან მჭიდრო კავშირში და აღგენდა მის რეალურ საყრდენებს. „ხალხის აზრი, ხალხის ცხოვრება, მისი წადილი და იდეალი გამოიხატება მის პოეზიაში. ზღაპრებში და სხვ.“, — აღნიშნავს პოეტი წერილში „გმირის იდეალი ფშაური პოეზიის გამოხატულებით“.

ვაჟა ხალხურ შემოქმედებას აფასებს როგორც დიდმნიშვნელოვან ისტორიულ წყაროს. მის ჩიქოვანს ნარკვევში „ვაჟა-ფშაველა და ხალხური პოეზია“ მოჰყავს ადგილი ვაჟას არქივში დაცული ხელნაწერიდან, სადაც პოეტი ასე აყალიბებს თავის შეხედულებას ხსენებულ საკითხზე: „ხალხი, ნათქვამია, კრებულად გენიოსია, დიდის ნიჭის და მოსაზრების მქონე. მართლაც, აზრი და შეხედულება ხალხისა რომელსამე საგანზე გაცილებით საყურადღებოა და უტყუარი, ვიდრე ცალკე პირისა, თუნდა იგიც გენიოსი იყოს... ხალხის შეხედულება უფრო ჭეშმარი-

ტი იქ, სადაც რომელიმე ავტორიტეტი არ ჩრდილავს ხალხის გონებას და ზვიდამ არ აწევება, როგორც მაგალითად, პრაქტიკული ცხოვრებითა და კაცთა ერთმანეთთან დამოკიდებულობა... ხალხის აზრი გამოიხატება მის თქმულე-ბაში: პოეზიაში, ზღაპრებში, ანდაზებში და სხვ., რომელთაც ერთად საზოგადო სახელი სახალხო ეპოსი ჰქვიანა“.

ვაჟა უცვლელი სახით იწერდა ზეპირსიტყვიერების ნიმუშებს, შემდეგ აკვირდებოდა და ღრმად სწავლობდა თვითიველ მათგანს. ეძიებდა ლექსში მოხსენიებულ პირებს, ადგენდა მათ ვინაობას, უდარებდა ერთმანეთს ამა თუ იმ საინტერესო გმირზე ხედადასხვა კუთხეში და სხვა-დასხვა დროს შექმნილ და გავრცელებულ ვარიანტებს. ასევე დიდი ინტერესითა და ყურადღებით ეკიდებოდა ავტორ-მთქმელების ვინაობას დადგენას. საკმარისია ითქვას, რომ ვაჟას წერილებიდან ვეცნობით შესანიშნავ ავტორ-მთქმელებს: მერცხალას, ჯაბანსა და კაცობას, განსაკუთრებით ვრცლად კი ფშაველ ავტორ-მთქმელს პარსკევა ფხვიკელაშვილ-გაბიძღოურს.

ვაჟა ყველაზე მეტად გატაცებული იყო ძველი ხალხური საგმირო პოეზიით, მისი ვაჟკაცური სულითა და ზნეობრივი სიმაღლით და განსაკუთრებული გულისხმიერებით ეკიდებოდა ასეთი ლექსების შეკრება-შესწავლას. მაგრამ არც სხვა შინაარსის ნიმუშებისადმი იყო გულგრილი. კერძოდ, მრავალ ღირსშესანიშნავ ცნობას გვაწვდის იგი თავის ნარკვევებსა და წერილებში საწესო პოეზიაზე, ზუსტად ავგიწერს საქორწილო და სამკვლავიარო წესებს და ბევრი მასთან დაკავშირებული ზეპირსიტყვიერი ნიმუში საკუთარი ხელით ჩაუწერია. ასევე ყურადღებით კრებდა და იკვლევდა ვაჟა სხვადასხვა რიტუალთან დაკავშირებულ სიტყვიერი შემოქმედების ნიმუშებს, შელოცვების, მკითხაობის, წყევლის, ვედრებისა და სხვა სახის საინტერესო ტექსტებს.

ვაჟა-ფშაველას ეკუთვნის მნიშვნელოვანი მონაწილეობები ხალხური სიტყვიერებისა და ლიტერატურის ურთიერთობის საკითხებზე.

ისევე, როგორც მსოფლიოს თითქმის ყველა დიდი შემოქმედის ნაწარმოებებში, ვაჟას პოეზიაშიც ლაღად მოედინება ხალხური შემოქმედების ფაფარაყრილი ტალღა.

ქართველი ერის უდიდესი მოამაგე — ილია ჭავჭავაძე წერდა: „ჯერ უნდა ხალხმა დაიმუშაოს თავისი სულიერი ბუნება, შეანძროს თავის უკვდავების ძარღვი, მოამზადოს მასალა თავის ცხოვრებითა და მერე თავისთავად, უთქვენმძამანებლად ძლიერი სული გენიოსა ძლიერად გამოსცემს პასუხს ხალხის განვითარებას“.

ვაჟა-ფშაველას გენია სწორედ ერის „უკვდავების“ ამ „ძარღვს“ ჩაუკიდა და „გამოსცა“ კიდევ ღირსეული „პასუხი ხალხის განვითარებას“. ხალხურ მოტივებზეა აგებული ვაჟა-ფშაველას

ისეთი დიდებული პოემები, როგორცაა „ბახტრიონი“, „სტუმარ-მასპინძელი“, „გოგოთუნი და აფშინა“, „ალუდა ქეთელაური“, „გაგონი“, „ეთერი“ და სხვ. ხალხური წინამძღვრები განსწავლავს პოეტის შემოქმედების მწვერვალს და მისი მკამელს“.

ბახტრიონის ციხის აღება ერთ-ერთი ბრწყინვალე ეპიზოდია ქართველი ხალხის გმირული ბრძოლის უცხოელ დამპყრობელთა წინააღმდეგ. ამ ისტორიულმა მოვლენამ ფართო გამოხატულება პოემა ხალხურ ზეპირსიტყვიერებაში. ბახტრიონის გმირებს ზობტას ასხამდნენ ერთობლივ ფშავნი, თუშნი თუ ხევისურნი. შესანიშნავი ლექსები ბახტრიონის რაინდზე — თუშ ზეზვა გაფრინდაულზე ფართოდ იყო გავრცელებული მთაში. ვაჟას ხელთ აღმოჩნდა მდიდარი ფოლკლორული მასალა (წერილობითი წყაროებიდან „კალმასობა“, რომელზედაც პოეტს მითითებული აქვს მხოლოდ ერთგანი, 1911 წელს). განსაკუთრებით აღმაფრთოვანებელი და შთამაგონებელი შეიქმნა ის ფაქტი, რომ სამშობლოს დასაცავად ამ სახელოვან ბრძოლაში ერთად აღმდგარა „მთაცა და ბარიც“.

ხალხური მასალა — პოემის უშუალო წყარო — პოეტს გადაუმუშავებია თავის „სულიერ ქურაში“, შეუღესია საკუთარი მხატვრული გამოხატონით და შეუქმნია ერთიანი, დასრულებული სიუჟეტური ქარგის მქონე მაღალმხატვრული და მაღალიდუერი გმირულ-პატრიოტული ნაწარმოებები.

პოემის მოქმედ პირთა პროტოტიპები უმთავრესად მთის პოეზიის სახელმწიფოებრივი გმირებია. რომელთაგანაც ნაწილს ხალხური ლექსი მიაწერს ბახტრიონის აღებაში მონაწილეობას, ხოლო ზოგიც მთის ისტორიის სხვადასხვა დროსა და ბრძოლის ეპიზოდების გმირია. აი, რას ამბობს ამის თაობაზე ავტორი: „გმირები პოემისა — ლუხუმი, ხოშარეული, სუმელჯი, კვირია, სანათა, გარდა ზეზვასი, ხალხურ ლექსებში ერთი არ არის ნახსენები, რომ იმათ მიეღოს რაიმე მონაწილეობა ბახტრიონის ბრძოლაში და არც კი არიან თანამედროვენი ამ ბრძოლისა, თუმცა კი გმირებად იხსენიებიან ხალხურ ლექსებში სრულიად სხვა ბრძოლაში, სხვა დროს — ასეთები არიან ლუხუმი, ხოშარეული, ხოლო სუმელჯი და სანათა ეკუთვნიან იმ შავსა და ბნელ დროს, როცა ვაშაველები და თუშები ერთი მეორესა ჰლაშქრავდნენ, არ იყია მათ შორის ძმობა და თანხმობა... ეს ორი გმირი — სუმელჯი და სანათა მე შეუტრე „ბახტრიონის“ გმირებში; სანათა როგორც ენით, სიტყვით გამამხნეველი დიაცი და სუმელჯი კი როგორც თავის ქვეყნისათვის მებრძოლი ვაჟკაცი. კვირია და ლელა არიან საკუთარი ფანტაზიის ნაყოფნი“.

ვაჟამ ვერ გაიმეტა ბახტრიონის ბრძოლის მშვენება — ზეზვა გაფრინდაული თათრების

ხელში ტყვეს ჩასვადებდა, აბჯარასაყარელად, როგორც ეს ხალხურ თქმულებებშია. ვაჟს ზეზვა ბახტრიონის კედლებთან შეუპოვარ შეტაკებაში ილუპება გმირულად.

ხალხური:

ზეზვაო, დაგიორჩილეს,
თუშო, თუნდ ვაჟყვე ნებითა;
ცივ გომბორს გადავატარეს —
თათრის ძუვლებელ ცხენითა...

ვაჟა:

ისა ყოფილა ვაჟაკიცი,
ღირსი წელთ ერთყას ხმალია.
ლომია, უფალსა ვფიცავთ,
სწრაფი ვით ელვა-ქარია,
პშენოდა, ძმობამ, ვაჟაკსა
დაზარნიშული ფარია.
მაგრამ დავეიჭრეს რჯულძაღლთა,
გაწირეს ცოცხალ-მკვდარია.
თუ გაპზრდის, — ფუმბა გაზარდოს
აი მისთანა ხარია!
ვერ ვნახეთ რა დავეკნესოს
ან შეცვლილიყოს სახითა.
თუშთ შაიჭირვეს ძალიან,
კრემლით ატირდნენ ცხარითა.
თავით დაურტყეს დროში
მისივე შუბის ტარითა.*

სანათას, კვირიას, ლელასა და სხვა გმირთა ემოციურ და დაუვიწყარ სახეებთან ერთად შესანიშნავადაა დამუშავებული პოემამი ხევისბერ ლუხუმის სახე, რომლითაც დიდმა პატრიოტმა მწერალმა შექმნა მტერზე გამარჯვებული გმირის საუცხოო იდეალი და მისი გადარჩენით ეპოქის ამოცანებს, დიად ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას მხურვალედ გამოეხმაურა. ლუხუმის მხატვრული სახე ხალხურ შემოქმედებაშიცაა მოცემული, მხოლოდ იქ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, იგი მოქმედებს სხვა დროსა და ვითარებაში. ლუხუმის თავგადასავალიცა და იდეაც ერთნაირია ხალხურ პოეზიაშიცა და პოემაშიც, მაგრამ გენიალურმა შემოქმედმა მისცა მას იმგვარი გაგრძელება, ისეთი შეჯამება და დასკვნა, რომ მით არა მარტო სამაგალითო წარსულისაკენ, არამედ (და კიდევ უფრო) ნანატრი მომავლისაკენ გაახედა მთელი ერი და ამ მომავლის ღრმა რწმენა ჩაუნერგა:

„ელირსებაო ლუხუმსა
ლაშარის გორზე შადგომა!“.

აი რატომ დაისადგურა საშუდამოდ პოემამ „ერის გულში“ სწორედ ისე, როგორც ამაზე ვაჟა ოცნებობდა. ხალხმა მაშინვე ხელთ აიტაცა იგი და ეს უკვე ხელოვნურ-ლიტერატურული შედეგრი ისევ ხალხური შემოქმედების წიაღ-

ში შევიდა, მასზე პირუტყუ გავლენა მოხდინა, აქცია „ბახტრიონის“ ხალხური ვარიანტი შექმნა.

ხალხურ წყაროებს ეყრდნობა, ვაჟა-ფშაველას პოემა „ეთერი“ — სოციალურ-რევოლუციურილი. „ეთერიანი“ მეტად ფართოდ გავრცელებული ერთ-ერთი საუკეთესო ხალხური ქმნილებათაგანია. ვაჟას ხელთ იყო „ეთერიანის“ ბევრი ვარიანტი, რომელთაც (უწინარეს ყოვლისა ფშაურ ვარიანტი) ეყარებოდა პოეტის პოემის წერილს. დიდი ნაწილი პოემისა ისეთივეა, როგორც ხალხური, ოღონდ ვაჟას მაღლიანი პოეტური ნიჭით გასხვივონებული, კვლავ მის მძლავრ „სულიერ ქურაში გადადუღებული“, იდეურად დახვეწილი და დაგვირგვინებული.

ხალხურ „ეთერიანთან“ შედარებით ვაჟამ გააღრმავა სოციალური უთანასწორობის მოტივი, ახალ სიმაღლეზე აიყვანა სიყვარულისა და ერთგულების წმინდათა-წმინდა გრძნობები, სასტიკი განაჩენი გამოუტანა ბოროტსა და ორგულს.

გურგენ მეფის სახით წარმოდგენილია პატივმოყვარე და თვითნება დიდგვაროვანი, რომელიც ვერასხვით ვერ შერიგებია თავისი მეგვიდრის „დანაშაულს“:

„ის მიკლავს გულსა, რომ შვილმა
ჩემმა დაამცრო გვარია.

ცა რად არ ჩამოიქცევა,
არ სქდება მთა და ბარია,
უფსკრულს არ ჩაიყოლია
ვარსკვლავნი, შზე და მთვარია.
მეფის ძე მონას ქალთანა
ნეტავ რა შესაყარია?“

ულმობელმა მამამ, რომელმაც იმსხვერპლა თავისი წოდებრივი სიამაყითა და ვერაგობით საკუთარი შვილიცა და ობლობაში გამოზრდილი, მაგრამ სულით სპეტაკი და გულით სათნო პირ-მშვენიერი ეთერიც, ბრძანა მათი შორიშორ დასაფლავება, ამასთან რძალი უბრალო ხის კუბოში მოათავსებინა, შვილი კი ძვირფასნი.

ვაჟას გოდერძი (იგივე ხალხური ანესლომი) არ თმობს განუკურნებელი უცნაური სენით შეპყრობილ მიჯნურს, როგორც ეს ხალხურ ვარიანტებშია, რაც კიდევ უფრო ემოციურია და ამამაღლებელს ხდის გოდერძისა და ეთერის ერთგულებასა და შეუბღალავ სიყვარულს.

პოემაში, რა თქმა უნდა, სხვაც ბევრია ხალხურისაგან დამოუკიდებელი შესანიშნავი ადგილი და ეპიზოდი. აღსანიშნავია, მაგალითად, ავტორის სიმკაცრე ავგულ შერესადმი (ხალხური მურმანი). იგი როდი ილუპება გოდერძისა და ეთერისთან ერთად, როდი პოულლობს საუკუნო განსასვენებელს მათ საფლავებს შორის. არა, შერე ცოცხალი რჩება, რათა უფრო ძლიერად იგრძნოს სინდისის ქენჯნის სიმწარე, განიცადოს დამცირებისა და სულიერი გვემის მთელი საშინელება.

* ვაჟა-ფშაველა, ლექსები, პოემები მოთხრობები, გვ. 47, თბილისი, 1959 წ.

ხალხური ეპოსი დაედო სარჩულად აკრეფვე ვაჟა-ფშაველას უძლიერეს ნაწარმოებს, მხატვრული აზრისა და სიტყვის შედეგს — „გველის მკამელს“.

ფშაური ჭრაქის მბეუტავ შუქზე დაიწერა ეს ღრმად ფილოსოფიური თხზულება, რომელსაც წილად ზედა საქვეყნო პოეზიის სხივებზე ჩირაღდნად დანთებულყო.

პოემის სიუჟეტური წყარო ძირითადად ქართული ფოლკლორია. აი რას წერს თავით ვაჟა: „გველის მკამელის არაკი, რაც მე გავიგონე და რაზედაც ავაშენე მთელი პოემა, შემდეგია: ხევსური მინდია ჩაუვარდება ტყვედ ქაჯებს. მათ შორის ცხოვრებამ იქამდის დააღონა მინდია, თავის მოკვლამდე მიიყვანა; თავის მოსაკლავად გველის ხორცი სჭამა, რომლითაც ქაჯები იკვებებოდნენ. გველის ჭამამ სრულიად სხვა ნაყოფი გამოიღო: მინდია ბრძენკაცად გადაიქცა. მისი სიბრძნე, ხალხური თქმულებით, სჩანს მცენარეების ცნობაში, თუ რომელი მცენარე რა სატკივრის წამალია, რადგან ყველა მცენარე თავად იძახის, რის წამალიც არის და მინდომაც ამ მცენარეთა ენა კარგად იცის, შედეგი ამ ცოდნისა არის მინდიას გაეჭიმება, მისი წამალი უებარია“.

ფშავ-ხევსურეთში უხვად იყო გავრცელებული ლექსები ხოგაის მინდიაზე და ვაჟაც ხომ

ძირფესვიანად იცნობდა ფშაურ-ხევსურულ ფოლკლორს. განათლებული პოეტის კარგად იცნობდა დასავლეთის გმირულ ეპოსსაც და ფლესუნგ-საგას“ თუ „ნიბელუნგების ქველდირფიქსი და ასეთ მრავალფეროვან წანამძღვარებზე, ძირითადად მაინც, როგორც უკვე ითქვა, ქართულ მთელურ პოეზიაზე დაყრდნობით, ვაჟამ შექმნა ეროვნულ ფონზე გაშლილი, თემატიკურად დასრულებული, მხატვრულად სრულყოფილი და რთული ფილოსოფიური აზრით გამსჭვალული ნაწარმოები, რომლის სიდიადესაც ვერ იტყვის სამშობლოს ბუმბერაზი მთების კალთა და მსოფლიო ასპარეზზე გამოდის.

მინდია, პოემის მთავარი გმირი, პოეტმა გამოიყვანა ხალხის ბელადად და სწორუპოვარ სარდლად, მთელ თავის სიბრძნესა და ძალას საზოგადოებას, ქვეყანას რომ ახმარს; რასაც იღუმლად ბუნების წილში ეზიარება, ყველაფერს კვლავ ბუნების განუყოფელ ნაწილს — ადამიანს უბრუნებს; ხოლო თავისი გრძნეული ძალის დაკარგვისას მარტო იმაზე წუხს, რომ ქვეყანას ძველებურად „ვერ არგებს“. ამით მინდია უმაღლეს, ზოგად-საკაცობრიო მნიშვნელობას იძენს.

ასეთია მოკლედ, ძალიან მოკლედ, ურთიერთკავშირი და დამოკიდებულება დიდ ვაჟასა და ხალხური შემოქმედების საგანძურს შორის.





პირველი ნომერი

ილია ჭავჭავაძე — კომუნისტების წინააღმდეგ
გეგმიური

დიდი ქართველი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის ილია ჭავჭავაძის მდიდარ ლიტერატურულ მემკვიდრეობაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ახალი დროის მსოფლიო ისტორიის აქტუალურ პრობლემებს. მძლავრმა გონებამ და ენციკლოპედიურმა ცოდნამ ილიას საშუალება მისცა ღრმად ჩასწვდომოდა საერთაშორისო ურთიერთობის რთულ ამბებს და ძირითადად სწორად შეეფასებინა ის მოტივები, რომლებიც ევროპის დიდ კაპიტალისტურ სახელმწიფოებს ამოძრავებდათ კოლონიური პოლიტიკის განხორციელებისას. ილიას დაინტერესება მსოფლიო ისტორიის მიმდინარე აქტუალური პრობლემებით, რა თქმა უნდა, შემთხვევითი არ ყოფილა. იგი იყო იმ დიდი საგანმანათლებლო-პატრიოტული მოღვაწეობის განუყოფელი ნაწილი, რომელიც მისი შემოქმედების მაგისტრალურ ხაზს ქმნიდა. მშობლიური ხალხის აღზრდა ანტისაომარი და ანტიკოლონიური სულსკვეთებით, მასში პატრიოტული გრანძობისა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი იდეების დანერგვა, დიდ და პატარა იმპერიალიზმთა კოლონიური ძალადობის მხილება და დაგმობა — აი რა კეთილშობილური მიზანი ამოძრავებდა ქართველ მწერალსა და საზოგადო მოღვაწეს, როცა თავისი დროის მსოფლიო პოლიტიკის ძირითად საკითხებს აშუქებდა.

ევროპის დიდი კაპიტალისტური სახელმწიფოების კოლონიური პოლიტიკის გაშუქებისას ილია ჭავჭავაძემ უპირველეს ყოვლისა მიზნად დაისახა ქართველი მკითხველისათვის ეჩვენებ-

ნა აზიის სახე წარსულში, მისი როლი ცივილიზაციის განვითარების ისტორიაში და თანამედროვე მდგომარეობა. ორი ისტორიული ეპოქის შედარებით იგი შეეცადა მკვეთრი ფერებით დაეხატა აზიის ჩამორჩენილობა აზიურ და მზის სინათლეზე გამოეტანა იმ ფაქტორთა მოქმედება, რომლებმაც, მისი აზრით, განაპირობეს ეს ჩამორჩენა.

„აზია... ერთ დროს მამამთავარი იყო ცივილიზაციისა. — წერდა იგი სტატიაში „აზია წინათ და ეხლა“, — რომელსაც დღესაც ევროპის მეცნიერი ცივილიზაციის აკვნად ჰხადიან...“ (ტ. IX, გვ. 113). მართლაც, სწორედ აზია წამოადგენდა საკაცობრიო კულტურისა და ცივილიზაციის აკვანს. იქ აღმოცენდნენ პირველი სახელმწიფო წარმონაქმნები და თავდაპირველი საზოგადოებრივი ფორმაციები, რომლებიც შემდეგ მსოფლიოს ყველა ნაწილის ასეთივე ფორმაციების მაგალითი და ნიმუში გახდნენ. აზიაში ჩაისახა პირველად ადამიანთა ცივილიზაცია ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით. აზიამ მისცა კაცობრიობას პირველი დიდი აღმოჩენები და გამოგონებები; იქიდან ეზიარა მსოფლიოს დანაარჩენი ნაწილი, მათ შორის ევროპაც. მეცნიერული აზრის პირველ ყლორტებს. მესობოტამიამ, ჩინეთისა და ინდოეთის დიდი მდინარეების ველეშმა, შუა აზიის თაზისებმა და სხვ. პირველად კაცობრიობის ისტორიაში ძუძუ აწოვეს დიდ საზოგადოებრივ გაერთიანებებს; იქ შეიქმნა განთქმული ხელოსნობა და მისი განსაცვიფრებელი პროდუქტები. ისტორიული განვითარების ამ ეტაპზე აზიის დიდი მატერიკი კოლონიზატორთა ექსპლუატაციის ობ-

ექტი არ ყოფილა დიკრე იქნებოდა. პირი-
ქით, იგი მიბაძვის, მაგალითის საგანი იყო. მის
სიმდიდრეს, მის სიძლიერეს, მისი ხელსონობის
ვირტუოზული შრომის ნაყოფს აღტაცებით და
შურით შეცქეროდნენ სხვა მატერიათა ხალხები.
სახელი აზია და აზიელობა მაშინ, ბუნებრივია,
აგრეთვე არ ყოფილა შეურაცხყოფისა და დამ-
ცირების სინონიმი.

მაგრამ ყოველივე ეს იყო წარსულში. შემდეგ
აზიას „ბედმა უმუხლოა“ და მსოფლიოს ეს
დიდი ნაწილი ისტორიული განვითარების გარ-
კვეთულ საფეხურზე ჩამორჩა; მან განიცადა კონ-
სერვაციის პროცესი, რომელიც შემდეგში სო-
ციალურ უძრაობაში გადაიზარდა. აი სწორედ
ამ საფეხურზე მიესივნენ მას იოლი ვანდილრე-
ბის მოყვარულნი, „ცივილიზებული“ სამყაროს
იმპერიალისტები.

ასე გადაიქცა აზია მოწინავედან ჩამორჩენი-
ლად და ილია გულისტივილით შენიშნავდა,
რომ ახლა მას „თუ ვინმე ახსენებს, — ან იმ-
ისთვის, რომ როგორ და რა გზით გამოეწო-
ვა მისი ხელუხლები სიმდიდრე, ან იმისთ-
ვის, რომ ხელთ იგდოს მისი რომელიმე მხარე
და ყურმოპირილ ყმად იყოს იმ მხარის მემკვი-
დრენი, ისევე — რასაკვირველია — გამოსაწოებ-
ლად და მოსაწველად“ (იქვე). ასე ხატოვანად,
ისტორიული ქეშპირების შესაბამისად გვიჩ-
ვენებს დიდი ილია აზიის უძლიერებას ახალ
ეპოქაში და მტრების ანგარულ მიზნებს მის მი-
მართ.

აზიის ძარცვა-დაკაბალების საქმეში ილია
გადამწყვეტ როლს აუთენებს ევროპას, „იმ
მატრიკს, რომელსაც იგი მეცნიერებით, ხელო-
ვნებით, ხელოსნობით შეჭურვილსა და ძლე-
ვამოსილს უწოდებს. რა თქმა უნდა, ცივილი-
ზებული და ძლიერი ევროპის სახით ი. ქავჭავა-
ძე გულისხმობდა არა ევროპის ხალხს საერ-
თოდ, არამედ ინგლისის, საფრანგეთის, მეფის
რუსეთისა და სხვა მძლავრი კოლონიზა-
ტორული სახელმწიფოების მმართველებს, ამ
სახელმწიფოთა აგრესიულ-კოლონიზატორულ
წრეებს.

ილია ქავჭავაძე კარგად ხედავდა, რომ აზი-
ის ჩამორჩენამ, მისმა „მოხუცებამ“ თავისი
დიდი დასევა მოსახლეობის სვე-ბედსა და გან-
წყობილებას. აზიელობა უკვე სამარცხვინო, სა-
ბიაბურო სახელად იქცა. ევროპელმა და ამე-
რიკელმა კოლონიზატორებმა აზიის ხალხებს
უსინდისოდ ცილი დასწამეს მცონარობაში,
ინდიფერენტობაში და სრულ სოციალურ ამა-
თიაში, წინსვლის სტრვილისა და შემოქმედე-
ბითი უნარის უქონლობაში. ერთი სიტყვით,
აზიის ჩამორჩენა, რაც ამ მატერიკის ისტორი-
ულმა განვითარებამ და სოციალურ-პოლიტი-
კურმა მიზნებმა განაპირობებს, კოლონიზატო-
რებმა აზიის ხალხთა უცვლელი ბუნებით, „ად-

მოსავლური ხასიათის“ თანდაყოლილი თვისებ-
ებით ახსნეს.

აზიის სავალალო მდგომარეობის განხრავი-
ბის საფუძველზე ი. ქავჭავაძეს გამოეყენა გარ-
კვეთელი დასკვნები, რომლებიც **„ქავჭავაძის“**
ლოსოფიის სერვის განვითარების **„ქავჭავაძის“**
ნათლად შემიხნევა ფრანგ განმანათლებელთა,
დიდ უტოპისტ სოციალისტთა და რუსი რევო-
ლუციონერი-დემოკრატების მეთოდოლოგიური-
მანიერების კვალი — იდეებისათვის განმსაზ-
ღვრელი როლის მინიჭება ისტორიული განვი-
თარების პროცესში. დიდი ქართველი მწერლის
აზიით, ისტორია და წარმატება იმის ხვედრი
კი არ არის, ვინც მხოლოდ საკუთარ ავტარგოა-
ნობასა და აწმყოს შეხარის, ძველ მამა-ბაბე-
ულს, ავია ის თუ კარგი, ჩასჩინებებს, არამედ
იმისა, ვინც კრიტიკულად ეკიდება აწმყოს, ვი-
საც დღევანდლობა მომავლის ხიდად მიანინა
და იბრძვის. შრომობს ამ მომავლის მოსაპო-
ვებლად. „ისტორია და წარმატება. — წერდა-
ილია, — მარჯვესი, გამარჯესი, მხნესი და მერ-
მისისათვის მებრძოლის კუთვნილი“ (იქვე, გვ-
114). ი. ქავჭავაძის შეხედულებით, ისტორია
და წარმატება იმჟამად ევროპის კუთვნილება
იყო. ის წარმოადგენდა ქვეყნიერების გამგე-
ბელს, მის დარჩა ბურთი და მოედანი, რადგა-
ნაც ფლობდა მეცნიერებას, ჭკუასა და მხნეო-
ბას და გამსჭვალული იყო უკეთესის მოპოვე-
ბის წყურვილით.

აზიის ჩამორჩენილობისა და აზია-ევროპის
დაპირისპირების კონსტანტაციის შემდეგ ილია
შეეცადა მოენახა ამ მოვლენების სოთანადო ახ-
სნა, მიეთითებინა აზიის ჩამორჩენის ფაქტო-
რებზე.

როგორც ცნობილია, აზიის დიდი მატერიკის
ჩამორჩენა, მისი „...სულიერი და ხორციელი
მუსლის მოჭრა“ ობიექტურ ფაქტორთა მთე-
ლმა კომპლექსმა განაპირობა. მათგან მთავარი
იყო წარმოების ფეოდალური წესის განვითარ-
ების თავისებურებანი აღმოსავლეთში, ულტ-
რარეაქციული, დესპოტური ხროვის მმართვე-
ლობა, განუწყვეტელი ფეოდალური შინაომები,
ნატურალურ-კარჩაკეტილი სამეურნეო ფორმე-
ბის დიდი ხედრობი წონა; მომთაპრე ურდო-
ების (მონღოლებისა და სხვ.) ხშირი თავდასხ-
მები, საწარმოო ძალთა და კულტურულ ღირე-
ბულებათა ბარბაროსული მოსობა მათგან გა-
მომდინარე შედეგებით, აღმოსავლური რელი-
გიების ღრმა კონსერვატიზმი და სხვ.

თავის სტატიაში ი. ქავჭავაძეს არ დაუხანე-
ლებია აზიის ჩამორჩენის არც ერთი ეს მოტი-
ვი, რადგან ისტორიული მეცნიერების განვითარ-
ების მაშინდელი დონე, აზიის სოციალური
დაბალი საფეხური და ისტორიული პროცესის
შეცნობის ილიასეული მეთოდი გამორიცხავდა
ამის შესაძლებლობას. მაგრამ მან ზოგად ფორ-
მებში მაინც აღნიშნა აზიის ჩამორჩენის მიზეზ-

თა სირთულე — მრავალფეროვნება და სხვა მიზეზთა შორის ცალკე გამოპყო აზიის ქვეყნების ჩამორჩენის ერთი მეტად მნიშვნელოვანი და ანგარიშგასაწევი მიზეზი — მათი იზოლაცია, გამოთიშვა გარესამყაროსაგან და საკუთარ „ნაქუქში ჩაყეტვა“. აწმყოთი კმაყოფილმა და თავდადმწიფებულმა აზიამ, წერდა ი. ჭავჭავაძე, „...თავი ცალკე შეიკეტა და გარედამ აღარ მიიკარა არც ამავაგებელი შუქი მზისა, არც გამსოცხლებელი სით. ამ ყოფაში ჩავარდა ჩინეთი, მისი მომყოლი იაპონია, რომელთაც არავინ აღარ მიიკარეს და ამისათვის მავარი ზღუდე შემოავლეს თავის არემარეს...“ (იქვე, გვ. 115).

აზიის ქვეყნების მნიშვნელოვანი ნაწილი (ჩინეთი, იაპონია, კორეა, ვიეტნამი...), რომელთაც აღია ჭავჭავაძის მართებული გამოთქმა რომ ვიხმაროთ, ვერც კი შეიძენს თავიანთი შეჩერება და ჩამორჩენა, ახალი ისტორიის საწყის საფეხურზე მართლაც ჩინური კედლით გამოეთიშა გარესამყაროს და თავის ვიწრო ჩარჩოებში ჩაიკეტა. ამ სახელმწიფოთა რეაქციონერი მმართველები გარესამყაროსაგან ეკონომიური, პოლიტიკური და კულტურული იზოლაციით ფიქრობდნენ შეენარჩუნებინათ არსებული სოციალური ურთიერთობა და თავი დაეცვათ ევროპულ კოლონიზატორთა მხარდი აგრესიისაგან. მაგრამ „თავის საარაყო ოთხ კედელში ჩაყეტვა“ და მუხობელ სახელმწიფოებთან ურთიერთობაზე ხელის აღება თავდაცვის მეტად ცუდი მეთოდი აღმოჩნდა. მან ვერ იხსნა აღმოსავლეთის ქვეყნები ევროპულ კოლონიზატორთა აგრესიისაგან. პირიქით, დიდი ზიანი მიყენა მათ და ათეული წლებით შეაფერხა აზიის განვითარება. მისი შედეგი იყო სხვა ქვეყნებისაგან მოწყვეტა, იქ მიმდინარე სოციალურ-ეკონომიური პროცესების უტოღინარობა, საკუთარი ჩამორჩენილობის გაძლიერება და ძველი შუასაუკუნეობრივი ყოფის ფორმების კონსერვირება. მარქსის გამოთქმა რომ ვიხმაროთ, გარესამყაროსაგან იზოლაციამ აზიის ქვეყნების სოციალური ორგანიზმები უძრავობის, გაყინულობისა და გაქვავებულობის მდგომარეობამდე მიიყვანა. ამან კი თავის მხრივ კოლონიზატორებს ხელი შეუწყო განეხორციელებინათ თავიანთი კოლონიზატორული ზრახვები.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში, როდესაც დიდი ილია დასახლებულ სტატიას წერდა, აზიამ მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა. კაპიტალისტური სახელმწიფოების კოლონიური პოლიტიკის მეოხებით აღმოსავლეთის ქვეყნების დიდი ნაწილი კოლონიურ და ნახევრად კოლონიურ მდგომარეობაში აღმოჩნდა. ამან ბოლო მოუღო მათ კარდახშულობას და მმართველი ფენების ნაწილს თვალი აუხილა. ი. ჭავჭავაძე კარგად ხედავდა ამ ახალ მოვლენებს.

აზიამ, — აღნიშნავდა იგი, — თავი დაანებდა ტყუილ თავმომწონეობას, დაინახეს თავიანთი ჩამორჩენა, გაერკვენ ევროპის წარმატების მიზეზებში და ცოტ-ცოტათი ცდილობენ, ზოგირამ გადაიღონ განვითარებული ევროპის წარმოების რეორგ. ამის ყველაზე თვალსაჩინო მაგალითია ილია ასახელებს იაპონიას, რომელიც „მეიძის“ 1867-1868 წლების რევოლუციის შემდეგ განვითარების კაპიტალისტურ გზას დაადგა, ბევრ რამეში ევროპის ეკონომიურ და პოლიტიკურ წესებს მიზამა და ევროპული კულტურის თავანისმცემელი გახდა. მაგრამ ილიას მხედველობიდან გამორჩა ორი ფრიად თვალსაჩინო გარემოება: ჯერ ერთი, იაპონიის, ჩინეთის ან კორეის კარდახშულობის ლევიდაცია კოლონიზატორ სახელმწიფოთა ძალდატანებითი ჩარევით განხორციელდა და არა ნებაყოფლობით, მეორეც, თვით იაპონია, რომელიც მანამდე არათანასწორუფლებიანი ხელშეკრულების ხლართებით იყო მობოკილი, კაპიტალისტური ინდუსტრიალიზაციის პროცესში თვითონ გამოვიდა კოლონიური მტაცებლობის არენაზე და აზიის, მეზობელ ხალხებს საშიში აგრესორ ძალად მოველინა.

ევროპის დიდ ონავართა იმპერიალისტურ ქიშპობასა და კოლონიურ პოლიტიკას აზიამ ი. ჭავჭავაძე კარგად არკვევს შორეული აღმოსავლეთის, კერძოდ, ჩინეთის პრობლემის განხილვის დროს. იგი არაერთხელ მიუთითებს უშუალო კავშირზე საერთაშორისო წინააღმდეგობათა ახლო აღმოსავლეთის ნასკვისა და მსოფლიო პოლიტიკის შორეული აღმოსავლეთის ფიცხ მასალას შორის. როგორც კი დროებით მიუჩნდებოდა ახლო აღმოსავლეთის საკითხის ნიდაგზე აღმოცენებული ქარიშხალი, ევროპის დიპლომატები, რომლებიც იმპერიალისტური წრეების დაკვეთით მოქმედებდნენ და ხანგრძლივ მშვიდობიანობას ვერ ეგუებოდნენ, თავსატეხ საქმეს სწორად შორეული აღმოსავლეთის პრობლემათა კვანძის ნიდაგზე გამონახავდნენ ხოლმე. „...ახლო აღმოსავლეთის საქმე შორ აღმოსავლეთში მიიმართა“, წერდა ი. ჭავჭავაძე სტატიასში „ახლო და შორი აღმოსავლეთის პოლიტიკის საკითხები“. საგულსხმოა, რომ ახლო აღმოსავლეთის პრობლემის ნიდაგზე ევროპის დიდ სახელმწიფოთა შორის წარმოებულ ბრძოლის ამა თუ იმ ეპიზოდის გაუმქების დროს ი. ჭავჭავაძე არაერთხელ მიუთითებდა შორეული აღმოსავლეთის ნასკვის სირთულეზეც და მის უშუალო კავშირზე აღმოსავლეთის საკითხთან.

ხალხმრავალი და ზღაპრულად მდიდარი ჩინეთი, გადაკიბული შორეული აღმოსავლეთისა და სამხრეთის ზღვებს შორის ვრცელ ტერიტორიაზე, ილიას მართებული შეხედულებით, ევროპელი და არაევროპელი მოძალადე კოლონიზატორების ისეთივე დაინტერესების

იპიეტუს წარმოადგენდა შორივლ აღმოსავლეთის ში, როგორც თურქეთი ახლო აღმოსავლეთში. ამ ორ ქვეყანას შორის ილია სხვა მხრივაც ხელდასაყრდენი ნიშანსა და მსგავსებას. ჩინეთიც ისეთსავე „სწულ კაცს“ წარმოადგენდა, როგორც სულთნის თურქეთი. სწორედ ამ დაძაბულობამ და ავადმყოფობამ შეაგოოაანა დაინტერესებული სახელმწიფოები, რომლებმაც მისი მემკვიდრეობის განაწილებაზე აღეს გეზი.

სტატია „ახლო და შორი აღმოსავლეთის პოლიტიკის საკითხები“, რომელიც ილიამ შორივლ აღმოსავლეთის პრობლემის გაშუქებას მიუძღვნა, 1898 წელს დაიწერა, ე. ი. იმ პერიოდში, როცა „თავისუფალი“ კონკურენტული კაპიტალიზმი უკვე გადაიზარდა იმპერიალიზმში — კაპიტალიზმის ენდლესი და უკანასკნელ ფაზაში. (როგორც უნდა ილია იმპერიალიზმის საწყის სტადიაზე დამთავრდა მსოფლიოს განაწილება დიდ და პატარა იმპერიალისტურ სახელმწიფოებს შორის და ღღის წესრიგში დადგა მისი ზედახალი განაწილების საკითხი. ვეებერთელა, მაგრამ ჩამორჩენილი, კაბალურ ხელშეკრულებათა ქსელში მოქცეული მიხეთი, ამ ახალ ვითარებასთან დაყავშირებით, დიდი იმპერიალისტური სახელმწიფოების განსაკუთრებული დაინტერესებისა და ცილობის საგანი გახდა. მეფის რუსეთი, ინგლისი, გერმანია, საფრანგეთი და სხვები ყუაე-ყორანეზივით მიესხნენ ამ ქვეყანას, რათა ხელთ ეგდოთ იგი და თავიანთი გავლენის სფეროებად დაეწაილებინათ. დიდ ევროპულ ონაერებს და ამერიკელ მოძალადეებს ჩინეთის ძარცვა-დანაწილების საქმეში გვერდით აწოლდგა ახალგაზრდა იმპერიალისტური სახელმწიფო — ჩინეთის მეზობელი იაპონია.) კიდევ მეტო, კოლონიური მტაცებლობის ფართო შარაგზაზე საყაზოდ იმყაზად გამოსულმა იაპონიამ ჩინეთის გავლენის სფეროებად განაწილების ინიციატორის როლი შეასრულა.

„...იაპონიამ იწყო მრეწველ ერად გადაქცევა, — წერდა ლენინი, — და სცადა ჩინეთის კედლის შერღვევა, აღმოაჩინა ისეთი გემრიელი სასრაიო, რომელსაც ერთხანად ჩასკიდეს კბილები ინგლისის, გერმანიის, საფრანგეთის, რუსეთის და იტალიის კაპიტალისტებმა“ (თხზ., ტ. 5, გვ. 102).

მართალია, ილია ჭავჭავაძე არ ვარკვეულა იმპერიალიზმის სოციალურ-ეკონომიურ არსში, მაგრამ ალლოთი მიხვდა და კარვად დაინახა, რომ გავლენის სფეროებად ჩინეთის დაყოფა არსებობდა მხოლოდ XIX საუკუნის მიწურულისათვის, კერძოდ იაპონია-ჩინეთის ზედუტელობათი ომის შემდეგ დაიწყო. „ჩინეთის საქმე... ყველაზე მეტად მიზეზიანი გახდა ქვეყნისათვის, — წერდა ი. ჭავჭავაძე. — რაკი შედარებით პატარა ქვეყანამ, იაპონიამ, დაამარცხა

საუშველელელი ჩინეთი. ევროპის დიდთა ხელმწიფოებმა დაბალი ღობე იქ დაინახა და ხარბი თვალი აიხილა...“ (იქვე, გვ. 176). როგორც ვხვდებით, დიდ ილიას, მარქსისტული ისტორიული მეცნიერების მსგავსად, ჩინეთის პერიოდის 1895 წლის ომი მიანხია ორიზმის პერიოდის წყალგამყოფად. ამ ომმა საფუძველი ჩაუყარა ჩინეთის ძარცვით დაინტერესებულ სახელმწიფოთა პოლიტიკის ახალ მიმართულებას. საკულისხმოა, რომ ილიამ კარვად დაინახა არა მარტო ის ყაჩაღური მოტარებები, რომლებიც ამოქმედდებდა იაპონიას ჩინეთთან ომში, არამედ ის „საპატიო მისიაც“, რომელიც მან შეასრულა თავისი დიდი მეცნიერების მიმართ ამ ომის შედეგად. ეს მისია კე გავლენის სფეროებად ჩინეთის დანაწილებაში მდგომარეობდა. ჩინეთ-იაპონიის ომი და სარფა, რომელიც იაპონელებმა მოიპოვეს მის შედეგად, ჩინეთის გავლენის სფეროებად დაყოფის დაწყებას მოასწავებდა. სხარბითა და შურით აღსავსე დღმა ევროპელმა ონაერებმა, როგორც მართებულად მიუთითებს ჩინეთი სასიქსდული მწერალი, იაპონელ მოძალადეთა გამოცდაში პრეციდენტი დაინახეს. სადერდელი აუშალოთ და ახალი ძალით მიესიგნენ ჩამორჩენილ და არათანასწორუფლებიან ხელშეკრულებათა არტხებით შებოქოლ ჩინეთს.

მეორე მხრივ, ილია ჭავჭავაძე ხაზგასმით აღნიშნავს „ჩინეთის საკითხის“ კიდევ ერთ მეტად საყურადღებო მხარეს — იმპერიალისტურ სახელმწიფოთა კონკურენტისა და ცილობას. ისინი ზედადნენ, რომ ჩინეთი, ისევე როგორც თურქეთი, ძლიერ დასუსტდა და ვარაუდობდნენ მის სრულ სიყვდილს. ამიტომ, ილიას თქმით, დიდი თუ პატარა ონაერები ცდილობდნენ როგორმე ფეხი მოეკიდათ მის მიწა-წყალზე. „...რომ როცა დრო მოვა, ახლო იყოს — დიდი ლტყა მითონ მოითალოს და სხვამ არ დასწროს“ (იქვე, გვ. 166). ასეთ სახელმწიფოებად მას მიანხდა გერმანია, მეფის რუსეთი, საფრანგეთი, ინგლისი და იაპონია, რომლებიც ისწრაფოდნენ ხელთ ეგდოთ ჩინეთის ზღვის სანაპირო, სამხედრო-სტრატეგიული და საზღვაო ბაზები. „ამავე დროს საკუთარი უღონობა და დიდ მტაცებელ სახელმწიფოთა მიძალბა საშუალებას ართმევდა ჩინეთს თავი დაეცვა. (გვი, ილიას თქმით, იძულებული იყო ყველაისთვის საყაზო ლტყმა მიეწოდებინა) ასეთ ვითარებაში ჩინეთი დიდი ხანია შეწყვეტდა არსებობას და, ვითარცა ლტყმა, ძაღლების ხროვის მსხვერპლი გახდებოდა. მოძალადეთა ურთიერთ შურსა და წინააღმდეგობას რომ არ ეხსნა. „...მაგრამ ოუ აბრკოლებს რამ. — წერს ილია. — ისევე ის, რომ ზედმისეულ სახელმწიფოებს ერთმანეთისათვის მშურთ ყოველივე, რასაც ძალამიხილი ჩინეთი ძალუხებურად აწვდის...“ (იქვე).

ილია ჭავჭავაძის მავალი თვალს მხედველო-
შილან არც ის გარემოება გამოპარვია, რომ
დიდი იმპერიალისტური სახელმწიფოები თავი-
ანთი ეგოისტური და მუხანათური მოსაზრებე-
ბით ბიძგს აძლევდნენ ერთმანეთს აქტიური
მოქმედებისაგან შორეულ აღმოსავლეთში, კერ-
ძოდ კი ჩინეთში. „...ვინ ხერხიანებს ღდეს ისე,
რომ ევროპა შორ-აღმოსავლეთისაკენ გაის-
ტუმრა, — წერს ილია, — იქნება იმ ფიქრით,
რომ ერთ-ერთს დიდ სახელმწიფოს იქ შორს
შევატობინო, და აქ, ახლო, მე და ჩემმა მომხ-
რებებმა მარტო გავივლით ბურთი პოლიტიკის
მოედანზედაო?“ (იქვე, გვ. 167). ასეთ ვერა-
გულ პოლიტიკას იმპერიალისტური სახელმწი-
ფოები მართლაც ხშირად მიმართავდნენ რო-
გორც საერთოდ, ისე კერძოდ შორეულ აღმოსა-
ვლეთში. მოწინააღმდეგეებს, მეტოქეებს ისინი
შეგნებულად უბიძგებდნენ აქტიური მოქმედე-
ბისაკენ მსოფლიოს ამა თუ იმ ნაწილში, რათა
წამბიძგებულს საშუალება ჰქონოდა თავისუფ-
ლად ემოქმედა მსოფლიოს სხვა, მისთვის სა-
ინტერესო კუთხეში და ხელი არ შეშლოდა
თავისი განხორბების განხორციელებას. ასე იქ-
ცეოდა, მაგალითად, იმპერიალისტური გერმანია.
მან შეგნებულად შეაგულიანა მეფის რუ-
სეთი აქტიური აგრესიული პოლიტიკის საწარ-
მოებლად ჩინეთ-მანჭურიაში, რათა ამით დაე-
ჯახებინა იგი ინგლისისა და იაპონიისათვის.
მაგრამ ეს მაინც არ იყო გერმანიის დიპლომა-
ტიის ერთადერთი მიზანი. გერმანიის მმართვე-
ლებმა კარგად იცოდნენ, რომ შორეულ აღმო-
სავლეთში „დასაქმებელი“ რუსეთი აქტიურად
ველარ იმოქმედებდა ახლო აღმოსავლეთსა და
ევროპაში და, მაშასადამე, ხელს ვერ შეუშლი-
და მათი იმპერიალისტური ზრახვების განხორ-
ციელებას. ამავე დიპლომატიურ ფანდს
ხშირად მიმართავდა იგივე გერმანია საფრანგე-
თის მიმართ, ინგლისი — საფრანგეთისა და
იაპონიის მიმართ, რუსეთი — ინგლისის მი-
მართ და ა. შ. დიდი იმპერიალისტური სახელ-
მწიფოების მმართველი წრეებისათვის ჩინეთი
ისეთივე პაიკი იყო დიპლომატიის დიდ საქად-
რაკო დაფხზე, როგორც თურქეთი ან აღმოსავ-
ლეთის სხვა რომელიმე ჩამორჩენილი ქვეყანა.
(საყურადღებოა, რომ იმპერიალისტური გერ-
მანია ილია ჭავჭავაძეს თავიდანვე მოაჩნდა
ერთ-ერთ დიდ ევროპულ ონაყარად, რომელიმე
აქტიური მოწინააღმდეგეა მიიღო ჩინეთის ერთი-
ანი სხეულის ამპუტაციაში. მან შარი მოსდო
ჩინეთს და ძალის გამოყენების მუქარით წა-
ართვა დიდი სამხედრო-სტრატეგიული მნიშვნე-
ლოების ნავსადგური კიოო-ჩაო, ინგლისი, რო-
გორც მართებულად მიუთითებდა დიდი ილია,
ცუდ გუნებაზე დააყენა ამ ამბავმა. გერმანიის
მიერ ჩინეთის სანაპიროზე ფეხის მოკიდებამ
იგი ძლიერ შეაშფოთა იმიტომ, რომ ამით სე-
რიოზული საფრთხე შეექმნა მის სავაჭრო-ეკო-

ნომიურ ინტერესებს, მისი თითქმის მონოპო-
ლურ მდგომარეობას ჩინეთში. გერმანიამ ამ
დროისათვის უკვე იყო ინგლისის ძლიერი
მეტოქე და კონკურენტი. ამის გამო ინგლისი,
ილიას გამოთქმა რომ ეიხმართ, მდგომარეობა,
რათა როგორმე ხელი შეეშალა გერმანიისათვის
და არ მიეცა მისთვის ჩინეთში ფეხის მოკიდე-
ბის შესაძლებლობა, „...მაგრამ ყველა მეცა-
დინებობამ უქმდა ჩუაყა და ზედოდა ჩინეთში
შესავალი კარი გაიღო გერმანიამ“ (იქვე, გვ.
170.)

(გერმანიის იმპერიალიზმის მაგალითს მიბაძა
მეორე მოძალადე სახელმწიფომ — მეფის რუ-
სეთმა. მან თვალი მიაპყრო ჩინეთის მეორე გა-
უყენებ ნავსადგურს ლიოაოლუნის ნახევარკუნ-
ძულზე — პორტ-არტურს, რომელიც „იპარის
წესით“ მალე თავის საკუთრებად აქცია.

ინგლისი, როგორც სამართლიანად მიუთითებ-
და ი. ჭავჭავაძე, რუსეთსაც გადაეღობა ამ გზა-
ზე, მაგრამ ამჯერადაც არაფერი გამოუვიდა. რა
იყო ამის მიზეზი, რატომ დაიხია უკან ინგლი-
სმა, რატომ მისცა მან საშუალება თავის საწინა-
მეტოქეებს გერმანიისა და რუსეთის ფეხი მო-
ვიკიდათ ჩინეთში, რატომ ვერ იმოქმედა ეფექ-
ტურად ჩინეთზე? პასუხი, რომელიც დიდმა
ილიამ ამ კითხვას გასცა, სავსებით სწორია და
ისტორიული სინამდვილის შესაბამისი. ჩი-
ნეთის საკითხში, მისი ბაზების მითვისების
საქმეში მეფის რუსეთსა და გერმანიის შორის
დროებითი ბლოკი შეიქმნა. „...გერმანია და რუ-
სეთი ერთად იღუწვიან და ერთმანეთსა ჰშევი-
ან, — წერს ილია. — ვერც გერმანია შესდგა-
მდა ფეხს კიოო-ჩაოში, ვერც რუსეთი პორტ-
არტურში, რომ ყოველივე ეს ადრევე მოლაპა-
რაკებული არ ჰქონოდათ ერთმანეთში და გა-
თავებულ“ (იქვე, გვ. 171). ორი დიდი ონაე-
რის ყაჩაღობა გარჩევამ ჩინეთის სასიცოც-
ხლო ინტერესების ხარჯზე, მათმა დროებითმა
ბლოკმა აიძულა მესამე მოძალადე — ინგლისი
დროებით უკან დაეხია და ეცნო ძალთა ახალი
თანაფარდობა ჩინეთში, შერიგებობა მეტოქეთა
ხელში კიოო-ჩაოსა და პორტ-არტურის ნავ-
სადგურების გადასვლის ფაქტს. მან ფულითაც კი
ვერ მოისყიდა ჩინეთი, რადგან იმავე გერმანიამ
და რუსეთმა ერთობლივი დემარშით ჩაშალეს
ინგლის-ჩინეთის „მეგობრული გარიგების“ შე-
საძლებლობა. თუმცა ცოტა უფრო გვიან ინგ-
ლისმა მაინც შეისრულა საწადელი და რუსე-
თისა და გერმანიის ბაზებს შორის სოლიდით ჩა-
დგა, ხელთ ივლო რა ჩინეთის ნავსადგური ვეო-
პაი-ვეი.)

ასევე ღრმად და საფუძვლიანად არკვევს
ილია ჭავჭავაძე მსოფლიო პოლიტიკის სხვა
თავსატეს საკითხებსაც და ბოლომდე ამხილებს
დიდი იმპერიალისტური სახელმწიფოების დი-
პლომატიის ვერავაობასა, ეგოიზმსა და ანტიხალ-
ხურ ხასიათს. საკუთარი ეგოისტური ინტერე-

სები უჯარახებდა ამ სახელმწიფოებს ხშირად მოკავშირეების წინააღმდეგაც კი ემოქმედათ. ასე, მაგალითად, მეფის რუსეთი საფრანგეთის მოკავშირე იყო და ამავე დროს ღრმა ანტაგონიზმი თიშავდა გერმანიისაგან, მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია მისთვის ბლოკი შეეკრა საფრანგეთისა და თავის დაუძინებელ მტერთან და საფრანგეთის ზურგს უკან ემოქმედა შორეულ მოსალოდნელებში.

ევროპის დიდი ონავრები არ დაკმაყოფილდნენ იმ მსუქანი ნაჭრებით, რომლებიც მათ ჩინეთს ჩამოაჭრეს. ჩინეთი ყველამ დაბალ ღირებულ მიიჩნია და ყველამ ხარბი თვალი მიპყრო მას და გავრცელებული ენერგიით მიესია ამ ქვეყანას ახალი მსუქანი ლუქმის წასაღეჭად.

ესე უბედური ჩინეთი, — წერდა ილია, — თუმცა ტანით და ხორციტ ერთი რაღაც უზარმაზარი ვეშაპია, მაგრამ ევისაც-კი არ ეზარება, ყველა ზედ მიჰსევია, ყურში ხელსა ჰკიდებს და ბავშვსავით ციბრუტით ატრიალებს. აქაც რომ დიდთა სახელმწიფოთა შორის შტრა, მტრობა და სიხარბე არ იყოს, არც ერთს აწ ზედმისეთელ სახელმწიფოს ცალკე არ გაუჭირდებოდა ეს უზარმაზარი, მაგრამ უღონო ქვეყანა ფეხქვეშ ამოღო და ამ ყოფით ზედ შესეჯდომოდა სახედანდა. დიდ სახელმწიფოთა ერთმანეთის ჯიბრი და ცილობა ინახავს დღეს ჩინეთს და იხსნის ამ უბედურობისაგან, როგორც დღეს-აქამომდე ინახავდა და იხსნიდა ოსმალეთსა“ (იქვე, გვ. 177).

ილია ჭავჭავაძის ეს შეხედულება, კერძოდ კი მისი მეორე ნაწილი, რომელიც ჩინეთისა და თურქეთის ზედის მსგავსებას შეეხება, მოვლენათა შემდგომმა მსვლელობამ არსებითად გამართლა. იმპერიალისტურმა წინააღმდეგობამ მართლაც დაიცვა ეს ქვეყანა სრული დაყოფისაგან. მან შეინარჩუნა „საკუთარი ტყავი“, შეინარჩუნა ფორმალურად საკუთარი მმართველობა, ე. წ. პოლიტიკური დამოუკიდებლობა სათანადო ინსტიტუტებით და ა. შ.

მაგრამ ჩინეთი და თურქეთი, როგორც თვით ილიასაც კარგად მოეხსენებოდა, თუმცა ერთ ბედ ქვეშ იყვნენ, ზოგიერთი არსებითი ნიშნით მაინც განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან. სხვადასხვა იყო მათი ისტორიული წარსული, საერთაშორისო პოზიციები და ცხოვრების ხასიათი, ჩინეთი, როგორც დიდი კოლონიზატორების დანიტერესებისა და ქიშპობის ობიექტი, ბევრად აღემატებოდა თურქეთს. თურქეთისათვის ბრძოლაში სამხედრო-სტრატეგიული მოტივები მეტად დიდ როლს ასრულებდა, ჩინეთისათვის ბრძოლას კი უმთავრესად სავაჭრო-ეკონომიური სარჩული ჰქონდა. იგი ბრძოლისა და შეჯახების ვაცილებით უფრო დიდი და საინტერესო ობიექტი იყო, ვიდრე სხვა რომელიმე ქვეყანა მსოფლიოში. მსოფლიოს

არც ერთ კუთხეს არ ჰქონდა ისეთი დიდი მნიშვნელობა საქონლის გასაღებისათვის, უფრო გვიან კი კაპიტალის დაბანდებისთვისაც. როგორც ჩინეთს. მას ამ მხრივ ტოლს არ ვაჩნდა. ი. ჭავჭავაძის მშვენიერად ესმის ქვეყნების კვანძის“ სერიოზულობა და მნიშვნელობა. რასაც იგი შემდეგი სიტყვებით გამოხატავდა: „აქ, ჩინეთში, უფრო დიდ განსაცდელიანი სარბიელია ევროპის დიდთა სახელმწიფოთა ინტერესებისა, ვიდრე... სხვაგან სადმე ევროპის გარეთ. ვაჭრობისათვის და საქონლის გასაღებისათვის ჩინეთი დიდს სახარბიელო ბაზარს წარმოადგენს ევროპისათვის, რომელმაც აღარ იცის — სად გაასაღოს თავისი აღურბელი სავაჭრო საქონელი... ამიტომაც ჩინეთი მეტისმეტად სანატრელია ხელში ჩასავადებად, ამიტომაც აქ, ჩინეთში, უფრო მწვავედ მიდის საქმე ერთმანეთში მორიგებისა და მოთავსებისა...“ (იქვე).

როდესაც ქართველ მკითხველს მოუთხრობდა ევროპის დიდი კაპიტალისტური სახელმწიფოების ქიშპობაზე ბაზრებისა და სტრატეგიული პუნქტების დაუფლებისათვის ბრძოლაში და ამხილებდა მათს დამპყრობით-კოლონიურ პოლიტიკას, ილიას, უპირველეს ყოვლისა, აზრის მატერიკი ჰქონდა მხედველობაში, მაგრამ მას არ დავიწყნია ევროპელ კოლონიზატორთა „ცივილიზატორული მისია“ აფრიკაშიც. ეს მატერიკი, როგორც ცნობილია, კოლონიური დაპყრობებისა და იმპერიალისტური ქიშპობის ობიექტად იქცა XIX საუკუნის 80-იან წლებში. საერთაშორისო ამბების მიმოხილვისას დამიძღუნელი იმ სტატეგებში, რომლებიც ოსმალეთთან იწლებში გამოაქვეყნა, ილიამ მართებულად აღნიშნა ევროპის დიდი სახელმწიფოების აგრესიული პოლიტიკის ეს ახალი მიმართულება და ივარაუდა „შეემატერეგზე“ წინააღმდეგობათა ისეთივე რთული კვანძების აღმოცენება, რომლებიც უკვე არსებობდნენ აზიაში.

„აფრიკა თითქმის სრულიად გაინაწილდა. — წერდა ილია 1898 წელს, — ინგლისმა დაიჭირა აქ დიდი ადგილი და ჩრდილოეთიდან სამხრეთამდე ჰლამის ხელთ იგდოს ეს ქვეყანა. საფრანგეთი იჭერს აღმოსავლეთიდან თითქმის დასავლეთამდე, გერმანიამაც წილი დაიდო. იტალიამაც, თუმცა ამ უკანასკნელის სიხარბეს კბილი მოსურა აბაშეთის ქვეყანამ და აღუაზე ომში კუდიტ ქვა ასროლინა...“ „გერმანიამ და ინგლისმა ამ ბოლო ხანებში თავიანთი ხარბი თვალს აფრიკას მიჰმართეს, დაიჭირეს ადგილები და დაიწყეს აქეთ-იქით გაწევა...“ (იქვე, გვ. 175, 58).

ილიამ ჯეროვნად შეაფასა ინგლის-საფრანგეთის ე. წ. ფაშოდის კონფლიქტი 1898 წელს აფრიკის დაყოფის თაობაზე. ამ კონფლიქტმა, ილიას აზრით, ნათელიყო, რომ ინგლის-საფრანგეთისათვის აფრიკა ვიწრო ადგილად იქცა და

მასში ერთად ვერ ერთვოდნენ. აფრიკაც შესაძლოა გახდეს მიზეზად შუღლისა და ჩხუბისა, რადგანაც ნიდაგი ამისათვის უკვე აშლილია და მომადებელი... წერდა ილია ფაშოდის კონფლიქტის შთაბეჭდილებით და დასძენდა: „რაც უკანასკნელ ხანებამდე დიდთა საეკლემფიფოთათვის იმსაღეთი იყო ევროპაში, ეხლა აფრიკა... ქსელი ევროპის დიდ სახელმწიფოთა ინტერესებისა აქ. აფრიკაში, გაიბა დღეს და არავინ იცის, დაპირისპირება და შეჯახება ამ ინტერესებისა რას მოავლენს მერმის... აფრიკის საქმეც დღეს... განსაცდელიაჩი საქმეა“ (იქვე, გვ. 176, 175).

წერილში „ევროპის ღიდი და პატარა ონაერობი“ ილია ქაქავაძემ გააშუქა ევროპის დიდი და პატარა ონაერობის — ინგლისისა და პორტუგალიის ქიშპობა იმავე აფრიკაში. მან მოურიღებლად ფარდა ახალა ამ ქიშპობის ანგარულ მოტივებს და ინგლისსაც. ისევე როგორც პორტუგალიას, ონაერი, ე. ი. მტაცებელი და მოძალადე უწოდა. ინგლისიც და პორტუგალიაც, ხაზგასმით აღნიშნავდა ი. ქაქავაძემ, აფრიკის დაუპატივებელი სტუმრები არიან და სხვისი სუფრისათვის იბრძვიან, სხვისი გაძარცვა სურთ, აფრიკის მკვიდრი მოსახლეობის ნებასურვილს აბუჩად ივდებენ და უხეშად ერევიან მათ შინაურ საქმეებშიო. „იმ ქვეყანას, რომელსაც ესენი ერთმანეთს ედავებიან, — წერდა ილია, — თავისი მკვიდრნი, თავისი შვილები ჰყავს, და ან ინგლისს რა ხელი აქვს, ან პორტუგალიას. იქაურებს თავისი ქვეყანა თავისთვის უნდათ... არც ერთისაგან, არც მეორისაგან ძალად ცხონებას არ ინდობებენ. მაგრამ რას იზმენ საწყლები? ორთა-შუა მომწყვედეულან და უილაჯობით... ერთისა და მეორისაგან... იჩაგრებიან... (იქვე, გვ. 60):

ამხილებდა რა ინგლისისა და პორტუგალიის ძალადობას აფრიკაში, მათი საქციელის უსამართლობას, ილია ქაქავაძე აცხადებდა, რომ არც ერთი მათგანის „მისისა“ არავიერთი მორალური საყრდენი არ გააჩნიათ და დასკვნად: „...ქვეყანაზე რომ სამართალი იყოს, ინგლისსაც პირში ჩალას გამოავლენდა და პორტუგალიასაც. საიღამაც მოსულხართ, იქვე წადითო. თქვენ იქ ხელი არა გაქეთ, იქაური პატრონები — იქაურივე მკვიდრნი არიან და თქვენ რაზე შესჩენიხართ ჭიასავით. მაგრამ სად არის ეს სამართალი?“ (იქვე.)

სტატიაში „მეცხრამეტე საუკუნე“, რომელიც „ივერიის“ 1899 წლის 31 დეკემბრის ნომერში დაიბეჭდა, ილიამ იშვიათი სიღრმითა და ერთდელით შეაჯამა XIX საუკუნის მსოფლიო-ისტორიული მიღწევები და მოხაზა ახალი — XX საუკუნის მათვარი ბრძოლო ამოცანები. სხვა საკითხებთან ერთად ამ სტატიაში მან აღძრა კოლონიური ძალადობის მოსპობის საკითხიც. XIX საუკუნის ერთ-ერთი სერიოზული მიღწე-

ვა ის არისო, აღნიშნავდა დიდი ქართველი მწერალი, რომ შექმნა საზოგადოებრივი აზრი სუსტთა და დამონებულთა სასარგებლოდ. ახლა საზოგადოებრივი აზრი გმობს ძალადობრივ კოველგვარ აქტს, საჯაროდ შეხუტული ქვეყნის ონაერების მიერ სუსტი ქვეყნების დაჩაგრვას, მსჯავრს სდებს ასეთ აქტებს და მოძალადეებს სამარცხვინო ბოძე აკრავს. ამის კონკრეტულ მაგალითად იგი ასახელებდა ინგლის-ბურების ომს და იმ საზოგადოებრივ გამოხმაურებებს, რომელიც მან ჰპოვა მიუღღსმისაზე.

ერთობ კაცობრიობის სიყვთემ აიწია, — წერდა ილია. — წეწვა-გლუჯამ, ერთმანეთზე მისევამ, ერთა ერთმანეთზე მტულად მისვლამ. — პირში ლგამი ამიიღო საზოგადო მსჯავრის შიშითა. ეხლანდელმა ომმა ინგლისისამ და ტრანსვალისამ, სხვას აღარ ვიტყვიო, ცხადი მაგალითი გვიჩვენა, რომ კაცობრიობა ჰთაკილობს ძლიერისაგან უძლურზე ზედმისივას, თავდასხმას, და ამისთანა უსამართლო მოქმედებას თავისს სამართლიანს მჯავრს სდებს წყრომისას და რისხვისას“ (თხ. ტ. V. გვ. 8).

მართლაც, ინგლის-ბურების ომი, რომელზეც მიუთითებდა ი. ქაქავაძე, უძლურზე ძლიერის მისევის ყველაზე მკაფიო კონკრეტული მაგალითი იყო. იგი 1899 წელს წამოიწყო ინგლისის იმპერიალიზმმა იმ მიზნით, რათა დაეპყრო სამხრეთ აფრიკაში მდებარე ბურების ორი პატარა დამოუკიდებელი რესპუბლიკა (ტრანსვაალი და ორანჯი) და ამ გზით დაუფლებოდა ხელსაყრელ სტრატეგიულ პუნქტებს, აგრეთვე ბუნებრივ სიმიდირებებს (მათ შორის ოქროსა და ალმასის საბადოებს). მაშასადამე, ინგლისის მხრივ იგი წარმოადგენდა იმპერიალიზმის საწყისი პერიოდის ომს, რომელიც მიზნად ისახავდა უკვე განაწილებული მსოფლიოს ხელახალ გადაყოფას. ილია სასევბით მართალი იყო, როდესაც მიუთითებდა ამ ომის დიდ საერთაშორისო რეზონანსზე. თავისუფლებისა და პროგრესული აზრის ყველა წარმომადგენელმა მსოფლიოში, მათ შორის საქართველოშიც, მკაცრად დაგმო ინგლისელი კოლონიზატორები, რომლებიც ყაჩაღურად თავს ღაცებდნენ თავისუფლებისმოყვარე ბურებს, ამასთან უდიდესი აღტაცება გამოიქვეა იმ გმირობისა და თავდადების გამო, რომელიც საკუთარი მიწა-წყლის დაცვისათვის ბრძოლაში გამოიჩინეს ბურებმა. ილია ერთი იმათგანი იყო, ვინც გამოესარჩლა სამართლიანი საქმისათვის მებრძოლ ბურებს და სამარცხვნო ბოძე გააკრა ბრიტანეთის იმპერიალიზმში კოლონიური ძალადობის მორიგი აქტისა და ომის წარმოების უხეში მეთოდებისათვის, რომლებიც ინგლისის სარდლობამ გამოიყენა ამ ომში.)

ამრიგად, ილია ქაქავაძემ დიდი გულსტიკივლით აღნიშნა აზრის ხალხთა დროებითი ჩამო-

რჩენა აწმყოში და ევროპის იმპერიალისტური ქვეყნების პარპაში მის მიწა-წყალზე. მანვე მიუთითა აზიის გამოღვიძების პირველ სიმპტომებზე და ივარაუდა მისი ნათელი მომავლის მოახლოება. პრობლემათა აზიის კვანძიდან ილიამ განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო ჩინეთის საკითხს და იგი მსოფლიო პოლიტიკის დიდმნიშვნელოვან „ფიციხ მასალად“ მიიჩნია. მზის სინათლეზე გამოიტანა რა ჩინეთის ნიადაგზე იმპერიალისტურ სახელმწიფოთა ქიშპობის ანგარული მოტივები, მან სწორად მიუთითა ამ ქიშპობის განვითარების ტენდენციასა და შესაძლო შედეგებზე. იგი ენერგიულად გამოეჭომა იმპერიალისტური პარპაშისა და გავლენის სფეროებად განაწილების ობიექტად ქცეულ ჩინეთს, გულისტყვივლით აღიქვა მისი ჩამორჩენა და ისტორიის სამსჯავროს წინაშე გამოიტანა უცხოელი მოძალადეები ჩინელი ხალხის წინაშე ჩადენილი ბოროტმოქმედებისათვის. ამავე დროს დიდმა ილიამ აღნიშნა აფრიკის

ფაქტიური განაწილებაც ევროპის დიდი ონავრების მიერ, სწორად მიუთითა ამ განაწილებას თაობაზე აღმოცენებულ შეჯახებებზე და აღიარა რა აფრიკის მკვიდრნი ამ მატერიალურ-სულიანადერთ ბატონ-პატრონად, ევროპეულ-აზიურ ნიზატორები სავსებით სამართლიანად მოძალადეებად და დამპყრობლებად გამოაცხადა.

აზიასა და აფრიკაში ევროპის დიდი კაპიტალისტური სახელმწიფოების მძაფრი ქიშპობის რეალური მოტივების გამომზეურებით, კოლონიური ძალადობის აქტების მხილებით და ამ ძალადობის ობიექტად ქცეული ხალხებისადმი აშკარა სიმპათიის გამოხატვით ილია ჭავჭავაძემ მეტად საჭირო საქმე გააკეთა: მან ხელი შეუწყო ქართველი მკითხველი საზოგადოების გათვითცნობიერებას, აღძრა მასში ინტერესი მსოფლიო პოლიტიკის აქტუალური ამბებისადმი და გააღვივა მისი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მისწრაფებები.



ნოქა ბაკაშიძე

ფილიპე მახარაძის ლიტერატურულ-კრიტიკული მემკვიდრეობა

კ. ი. ლენინის ერთ-ერთი უახლოესი თანამებრძოლი, კომუნისტური პარტიის ერთგული შვილი ფილიპე მახარაძე პარტიულ და სახელმწიფოებრივ მოღვაწეობასთან ერთად დიდ ლიტერატურულ-პუბლიცისტურ მუშაობას ეწეოდა.

პირველი ლიტერატურულ-კრიტიკული სტატიები ფ. მახარაძემ გამოაქვეყნა გასული საუკუნის ოთხმოცდაათიანი წლების დამლევს და მის შემდეგ სიკვდილამდე ორმოცზე მეტი ნაშრომი დაბეჭდა, ხოლო მთელი რიგი სტატიებისა ჯერ კიდევ მზის სინათლეს მოელიან.

სტატიაში „წერილი ჩვენი ცხოვრების შესახებ“ (1891 წ.) მახარაძე მოკლედ განიხილავს ქართული მწერლობის ისტორიას უძველესი დროიდან XIX საუკუნის დამდეგამდე, ხოლო შემდეგ ყურადღებას ამახვილებს სამოციანი წლების ლიტერატურაზე და წერს:

„ყველამ ვიცით, რომ ჩვენმა მწერლობამ იწყო სულდგმულობა 60-იან წლებში. „ცისკარი“ (1857-1874), „საქართველოს მოამბე“ (1863), „დროება“ (1866-1884), „მნათობი“ (1869-1872), „სასოფლო გაზეთი“ (1868-1880) და „კრებული“ (1870-1873) იყვნენ ნამდვილი შვილი სამოციანი წლების და თავის შედარებით ფართო პროგრამით და დანიშნულებით მრავალსასარგებლო და საჭირო კითხვებს აღძრავდნენ და აირჩევდნენ თავისი დროის კვალად...“

შესანიშნავე მხატვრობითი ნაწარმოებები ჩვენი მწერლობისა უსათუოდ ეკუთვნის სამოციანი წლების თაობასვე. „სურამის ციხე“ ჭონქაძისა, „კაცია ადამიანი?“ და „გლახის ნაამბობი“ ილ. ჭავჭავაძისა, რომლებიც ჩვენი მწერლობის შესანიშნავი განძს შეადგენენ, „სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი“ არდაზანისა, „დიდი მოურა-

ვი“ ან. ფურცელაძისა და სხვ. მრავალი ნაწარმოები ამ თაობიდან არიან შექმნილი“.

დასასრულ ავტორი გულისტყვილით დასძენს, რომ XIX საუკუნის 80-90-იანი წლების მწერლობა ჩამორჩა ცხოვრებასო და მკაცრად აკრიტიკებს ამ პერიოდის ინტელიგენციის გულგრილობას მხატვრული ლიტერატურისადმი, რომელიც მას დაეხმარებოდა ქართველი ერის წინაშე მდგომი ამოცანების გადაწყვეტაში.

დიდად საყურადღებოა აგრეთვე სტატია „კრიტიკული განხილვა“, რომელიც გაზეთ „კვალის“ ფურცლებზე გამოქვეყნდა 1896 წელს. იგი ეხება პროფ. მ. ჯანაშვილის წიგნს „შოთა რუსთაველი“. ფ. მახარაძე ვრცლად განიხილავს „ვეფხისტყაოსანს“ და რუსთველოლოგიისადმი მ. ჯანაშვილის დამოკიდებულებას. კერძოდ, იგი მართებულად ამახვილებს ყურადღებას მეცნიერული კრიტიკის მეთოდოლოგიაზე, განსაკუთრებით კი რუსთველის პოემის ტექსტის კრიტიკული შესწავლის აუცილებლობის შესახებ. საგულისხმოა, რომ ფ. მახარაძემ მკაცრად გაილაშქრა იმათ წინააღმდეგ, ვინც „ვეფხისტყაოსნის“ უცხოურ წარმოშობას უჭერდა მხარს.

1897 წელს ცალკე წიგნად გამოვიდა ფ. მახარაძის ნაშრომი „ხალხური პოეზია და მელიტონ კელენჯერიძე“. მასში ავტორი აკრიტიკებს კელენჯერიძის წიგნს „სახალხო პოეზია“ და მარქსისტული მოძღვრების შექმნე განიხილავს ისეთ კარდინალურ საკითხებს, როგორცაა „ხალხური პოეზიის წარმოშობა და განვითარება“, „ხალხური პოეზია და თანამედროვე სიტყვაკაზმული მწერლობა“, „ქართული ხალხური ეპოსი“ და ა. შ. დასასრულ ავტორი საყვებით მართებულად დაასკვნის „... მწერლობას აქვს თა-

ვის საყუთარი ისტორია, მაგრამ რადგანაც მწე-
არლობის წარმოშობა და განვითარება გამოწვე-
ულ იქნა საზოგადოების საწარმოო ძალთა გან-
ვითარებით, ამიტომ საზოგადოებრივი განვითა-
რების გარეთ მისი ისტორიის გაგება ყოვლად
შუუძლებელია“.

1901 წლის ივნისში ჟურნალ „კვალში“ დაი-
ბეჭდა ფ. მახარაძის რეცენზია პროფ. ალ. ხა-
ხანაშვილის წიგნზე „ქართული სიტყვიერების
ისტორიის ნარკვევები, ლიტერატურა მე-13-18
საუკუნეებში“ (გამოც. მესამე, მოსკოვი, 1901
წ.). რეცენზიის სათაურია „ძველი ქართული
მწერლობის გამო“.

1903 წელს დაწერა და 1904 წელს ქ. ქუთაის-
ში ფ. მახარაძემ წიგნად გამოსცა საინტერესო
ნაშრომი „დანიელ ჭონჭაძე და მისი დრო“.

როგორც ცნობილია, ბურჟუაზიული კრიტი-
კა დანიელ ჭონჭაძეს და მის მშვენიერ მოთხრო-
ბას „სურამის ციხე“ გვერდს უვლიდა. გაილაშ-
ქრა რა ამ უსამართლობის წინააღმდეგ, ფ. მახა-
რაძემ ერთ-ერთმა პირველმა განსაზღვრა დ.
ჭონჭაძის შემოქმედების სოციალური მნიშვნე-
ლობა და მისი ადგილი ქართულ მწერლობაში.
მან სპეციალად შეისწავლა მწერლის ბო-
გრავია და ვრცლად წარმოადგინა იგი წიგნის
პირველ თავში „დანიელ ჭონჭაძის ცხოვრება,
1830-1860 წ. წ.“ წიგნის მეორე თავში „დანი-
ელ ჭონჭაძის დრო“ ფ. მახარაძემ დაახასიათა
ბატონყმური წყობილება რუსეთთან საქართვე-
ლოს შეერთებიდან საგლეხო რეფორმის გატარ-
ებაშივე, ხოლო მესამე თავში „სურამის ციხე“
მინიხილა თვით დ. ჭონჭაძის მოთხრობა.

1911 წლის მაისში ასტრახანის გუბერნიისში
გადასახლებულმა ფ. მახარაძემ დაწერა და გა-
ზეთ „ასტრახანსკი ლისტოკის“ ფურცლებზე
მოათავსა სტატია „ლიტერატურის როლი გლე-
ხთა განთავისუფლებაში“. ამ სტატიაში იგი და-
მაჯერებლად აშუქებს რუსეთის სახელოვანი
მწერლების რადიშჩევის, გერცენის, ტურგენე-
ვის, გოგოლის, ბელინსკის, ჩერნიშევსკისა და
სხვა მწერალთა ნაწარმოებებსა და შეხედულ-
ებებს ბატონყმობაზე და მათ მნიშვნელობას ამ
სოციალური სისტემის წინააღმდეგ ბრძო-
ლაში.

მრავალმხრივ საყურადღებოა ფ. მახარაძის
სტატია „ბესარიონ ბელინსკი, როგორც ლიტე-
რატურული და საზოგადოებრივი მოღვაწე“,
რომელიც 1911 წ. დაიბეჭდა „ასტრახანსკი ლი-
სტოკში“.

1916 წლის მარტში ფ. მახარაძემ გაზეთ „თა-
ნამედროვე აზრში“ მოათავსა წერილი „საბრა-
ლონი“, რომელიც მიმართული იყო ქართველი
სიმბოლისტების ჯგუფის „ციხფერყანელების“
წინააღმდეგ. ამ ჯგუფის გამოჩენას ავტორი აზ-
რით ხსნის, რომ 1905 წლის რევოლუციის დამარ-
ცხების შემდეგ, რეაქციის პერიოდში, წერტილ-

ბურჟუაზიულ ინტელიგენციას დაეთვლა ბოკე-
ბური და მისტიკური განწყობილებანი.

კიდევ უფრო ნაყოფიერად მუშაობდა ფ. მა-
ხარაძე, როგორც ლიტერატურული კრიტიკო-
სი, საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემ-
დეგ. 1926 წლის თებერვალში „საბჭოთა კულტურის“
მწერალთა პირველ ყრილობაზე იგი გამოვიდა
მოხსენებით „მიმდინარე მომენტი და ქართუ-
ლი მწერლობის ამოცანები“. მანვე საბოლოო
სიტყვაში შეაჯამა ამ ყრილობის მუშაობა.

1928 წლის მარტში საქართველოს მწერალთა
II ყრილობის წინაშე ფ. მახარაძე წარსდგა სა-
ინტერესო მოხსენებით „ქართველი მწერლები
და კულტურული რევოლუცია“.

1930 წლის იანვარში ფ. მახარაძემ თბილისის
რკინიგზის სახელოსნოების მუშა-მოსამსახურე-
თა და მწერალთა კავშირის კრებებზე ვრცელი
მოხსენება წაიკითხა ე. ნინოშვილის ცხოვრებასა
და შემოქმედებაზე. ამავე წელს ეს მოხსენება
ცალკე წიგნად გამოქვეყნდა სათაურით „ეგნა-
ტე ნინოშვილის დრო, ცხოვრება და შემოქმე-
დება“.

ფრიად ნაყოფიერი მუშაობა გასწია ფ. მახა-
რაძემ დიდი რუსი მწერლის ა. ს. პუშკინის გა-
რდაცვალების ასი წლისთავის, რუსთველის
„ვეფხისტყაოსნის“ დაწერის 750 წლისთავის,
ილია ჭავჭავაძის დაბადების 100 წლისთავისა
და სხვა იუბილეთა დღეებში. 1937 წლის 17
თებერვალს თბილისის ოპერისა და ბალეტის
თეატრში მან წაიკითხა საინტერესო მოხსენება
დიდი რუსი პოეტის ა. ს. პუშკინის ცხოვრები-
სა და მოღვაწეობის შესახებ. მისივე რედაქტო-
რებით და შესავალი წერილით გამოიცა საიუ-
ბილეო კრებული „პუშკინი საქართველოში“ და
ა. ს. პუშკინის რჩეული ნაწერების პირველი
ტომი. ამავე წელს ჟურნალ „მნათობში“ (№ 1-2)
გამოქვეყნდა ფ. მახარაძის სტატია „დიდი ხალ-
ხის დიდი მწერალი“. უფრო ადრე, 1928 წელს,
ფ. მახარაძის წინასიტყვაობით გამოიცა წიგნი
„გორკის საქმე“.

ფ. მახარაძეს ეკუთვნის საინტერესო შეხედუ-
ლებები ა. ყაზბეგის, ვ. ბარნოვის, გ. წერეთ-
ლის, შ. არაგვისპირელისა და სხვა ქართველი
მწერლების ლიტერატურული მემკვიდრეობისა
და მოღვაწეობის შესახებ. სამწუხაროდ, ფ. მა-
ხარაძე ზოგჯერ აქარბედა და არასწორად აშუ-
ქებდა ცალკეულ მწერალთა, სახელობრ, დი-
დი ქართველი მწერლის ილია ჭავჭავაძის შემო-
ქმედებას და მის ღვაწლს ქართველი ერის წი-
ნაში.

მთავარი ფ. მახარაძის ლიტერატურულ-კრი-
ტიკულ მოღვაწეობაში ის იყო, რომ იგი ოსტა-
ტურად იყენებდა მარქსისტულ მეთოდოლოგიას
და ყველა მოღვწენას განიხილავდა პროლეტარი-
ატის ინტერესების თვალსაზრისით. ჯერ კიდევ
რუსეთის პირველი რევოლუციის გარიყრაჟზე
ალ. წულუკიძესთან ერთად იგი ენერგიულად იბ-

რძოდა „საერთო ნიადაგისა და მოქმედების“
ბურჟუაზიული თეორიის ქართველი ავტორების
წინააღმდეგ და ხელს უწყობდა მარქსისტული
ლიტერატურული კრიტიკის განვითარებას. აე-
რძოდა, მან თავისი მახვილი კალამი მიმართა კ.
აბაშიძის, ა. ჯორჯაძის, ი. გომართელისა და
სხვ. არასწორ შეხედულებათა წინააღმდეგ.
1896 წელს, მაგალითად, გაზეთ „კვალის“ ფურ-
ცლებზე გამოქვეყნებულ სტატიაში „მეცნიერ-
ბა გაკოტრდა თუ მეტაფიზიკა?“ ფ. მახარაძემ
მწვავედ გააკრიტიკა კ. აბაშიძის, ხოლო წერი-
ლებში „საუბარი სხვადასხვა საგნებზე“ (1901
წ.) და „პლაგიატობა ჩვენს მწერლობაში“ (1902
წ.) — ფედერალისტ არჩილ ჯორჯაძის იდეალის-
ტური შეხედულებები.

მოღვაწეობის პირველი წლებიდან იბრძოდა
ფ. მახარაძე სტილისტიკური მოუწესრიგებლო-

ბისა და ქართული ენის გაყალბების, ყოველგვარ-
ი მოვიინსტრუი კუთხური გამოკლებების
წინააღმდეგ. 1898 წელს გაზეთ „ქვეყანის“ გამო-
ქვეყნებული წერილით „ქართლის ცხოვრების
გაღმოცემა ქართული ენის შემოღების შესახებ“
მან გადაჭრით გაილაშქრა ნ. მარის საპოლემიკო
წერილების წინააღმდეგ ქართული ენის წარმო-
შობის საკითხებზე. სხვათაშორის, ამ პოლემი-
კაში ფ. მახარაძეს მხარი დაუჭირა ჩვენმა სასი-
ქადულო პოეტმა აკაკი წერეთელმა. აქვე უნდა
აღინიშნოს, რომ ფ. მახარაძე წლების მანძილზე
ხელმძღვანელობდა საქართველოს განათლების
კომისარიატთან შექმნილ „სამეცნიერო სატერ-
მინოლოგიო კომიტეტს“, ხოლო შემდეგ იყო
სატერმინოლოგიო საბჭოს თავმჯდომარე.



იუჩი სიხაჲლიძე

რამენიმე საბუთი სელიმ ხიმშიაშვილზე

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალურ ისტორიულ არქივში დაცულია რამდენიმე საინტერესო საბუთი სელიმ ხიმშიაშვილზე. ამჟამად ექვეყნებთ ოთხს, რომლებიც 1815 წლითაა დათარიღებული. აქედან ერთი (ქვემოთ პირველი) მეორე ფონდის 197-ე საქმიდანაა ამოღებული, ხოლო სამი დანარჩენი — იმავე ფონდის 218-ე საქმიდან. ყველა საბუთი დედანია და დაწერილია მხედრული ხელით. პირველი მოყვითალო ქაღალდზეა დაწერილი, ხოლო სხვები — მოლურჯო ქაღალდზე.

ეს საბუთები წერილებია, რომელთაგან სამი გურიის უკანასკნელი მთავრის მამია მეხუთის (1809-1826 წ. წ.) კალამს ეკუთვნის, ხოლო ერთი — სელიმის შვილებს ახმედსა და აბდის. ეს უკანასკნელი ამ დროს გურიაში იყვნენ შეხიზნულნი.

ხიმშიაშვილებსა და ვარდანიძე-გურიელებს მტკიცე მოყვრობა აკავშირებდათ. მამია გურიელის და, კესარია, ცოლად ჰყავდა სელიმის ვაჟს — აბდის.

გურია და მისი მმართველი სახლი დიდ გულსყურს იჩენდა იმ დიდი ბრძოლისადმი, რომელსაც სელიმ ხიმშიაშვილის აჯარა და მთელი სამხრეთ-დასავლეთ საქართველო აწარმოებდა ოსმალბობის (ოსმალური სოციალურ-პოლიტიკური სისტემა) წინააღმდეგ. ეს ყურადღება საკმაოდ გამოსჭვივის ქვემოთ მოტანილ საბუთებში.

გურიაში ფრიად იყვნენ შეწყვეტილი 1815 წლის გაზაფხულზე სელიმ ხიმშიაშვილის წინააღმდეგ ოსმალთა ჯარების მიძალებით. ამ მდგომარეობაზე მიაქცევდა კავკასიის მთავარმმართველის ყურადღებას მამია გურიელი იმავე წლის 7 მარტით დათარიღებულ წერილში. „სელიმ ფაშაც თავისი ჯარითა და მამაცობათ

ემზადება და იმედიცა აქვს თავისი მხნეობისა და მაგარი ადგილებისაო“, — წერდა მამია მთავარმმართველს და სავსებით სწორად. მაგრამ ხიხანის ციხეშიც აღმოჩნდა იულა-გამცემელი და... ხიხანი შიგნიდან გატყდა: სელიმ ხიმშიაშვილსა და მის ერთგულ თანამებრძოლებს ყარაბეგსა და სხვებს თავი მოჰკვეთეს. ამას იტყობინება გურიის მთავარი იმავე წლის 14 ივლისს გაგზავნილ მოხსენებით ბარათში. აქვე იგი მთავარმმართველის ყურადღებას მიაპყრობდა იმ განზრახვებზე, რომლებსაც ამ დროს ოსმალნი ითვალისწინებდნენ (გურიაზე შეტევა, დაღისტინიდან აღექსნადრე ბატონი-შვილის მოყვანა და იმერეთში გამეფება და ა. შ.) და მოითხოვდა დახმარებას.

ოსმალები როდი დასჯერდნენ ხიმშიაშვილის დასჯას, ისინი დაერჩენენ სელიმის შვილებს, რომელთაგან ახმედმა და აბდომ გურიაში გაქცევით უშველეს თავს. მამია გურიელმა შემოხიზნულ მოყვრებს კავკასიის მთავარმმართველთან ხლება და დახმარების გამოთხოვა ურჩია. მაგრამ მათ პირად წვევას ამჯერად ერთგული ხაზინადარის მუსტაფა აღას (ქვეკლიძე) გაგზავნა არჩიეს და მას გაატანეს აჯავედრება. ამ დოკუმენტში, (შედგენილია 1815 წლის 13 ივლისს) ხიმშიაშვილები მთავარმმართველს აუწყებენ იმას, რომ ისინი იმ „უბედურების შეხედომის“ შემდეგ, რომელსაც ადრესატი „კარგად სცნობდა“, მშები თავიანთ „ახლო მეზობელსა და მოყვარე გურიელს“ მიუვიდნენ და „გურიაში გახლავართ თქვენის იმედითო“. მშები ხიმშიაშვილები რწმუნას გამოთქვამდნენ, რომ მათ, ისე, როგორც „ყოველ გაჭირვებულს რუსეთის ხელმწიფე მოწყალებას უზამს და უშიშროებით ამყოფებს“. მათი „პირველი ვედრება“ ისაა, რომ მთავარმმართველმა მისცეს ხიმშიაშვილებს მას-

თან „ხლების“, „ან ყიზილბაშ(შ)იდ ანუ აქვე გურიელთან... წასვლა-წამოსვლის“ ნებართვა.

სელიმის შვილებს აჭარაში თუმცა საქმოდ ჰყავდათ ერთგულნი, რომელნიც როგორც ამ ბარათიდან ვეცობილობთ, აღუთქვამდნენ „შე-წვენას“, მაგრამ ისინი კარგად ხედავდნენ, რომ მარტო ეს არ კმარადა მათი მიზნების განხორციელებისათვის და ოსმალთა ხელისუფლებას-

თან ოპოზიციაში ყოფნის პერიოდში რუსეთზე დიდად იყვნენ დამოკიდებულნი. დიდად იმე-დად თქვენი მაღალღმადმობულების „ახლი“ გვაქვსო, ტყუილად როდი წერდნენ ჩვენს წიგნებს.

ასეთივე შინაარსისაა მამია გურიელის წერილი მთავარმმართველისადმი, 14 ივლისით რომ არის შედგენილი.

დოკუმენტები¹

1815 წ. 7 მარტი. მამია V გურიელის წერილი კავკასიის მთავარმმართველისადმი თქუენო მაღალღმადმობულებავ!
მოწყალო ხელმწიფევ!

უკეთუმცა ინებოთ ამბავი გარემოს მეზობელთა ჩემთა, რომელ მეფე იმერეთისა სოლომონ ათ თორმეტს გარდაცვალებულა ტრაპიზონს და დანაშთომნი ყმანი მისნი თავადნი თუ კეთილშობილნი ჯერეთუა მუნ იმყოფებიან. სამნი მთვანი თავადნი წასრულან სტამბოლს ხვანთქართან, იქიდამ მოელიან გარდაწყვეტას და მომლოდინე არიან.

გარდა ამისა, სულეიმან ფაშა ხაზინადაროლი ბათუმიდან გზავნის ჯარებს ახალციხის სელიმ ფაშაზედ. აზრუმიდამაც აზრუმის ფაშა კიდევ გზავნის ჯარს კვლავ სელიმ ფაშაზედ-სელიმ ფაშაც თავისის ჯარითა და მამაცობით ემზადება და იმედიცა აქვს თავისი მხნეობისა და მავარის ადგილებისა. უკანასკნელი გადაწყვეტა რაც მოხდება დაუყოვნებლივ მოგახსენებ მე თქუენს მაღალღმადმობულებას...

...თქუენი მაღალღმადმობულების მოწყალის ხელმწიფის უმორჩილესი მოსამსახურე მთავარი მამია გურიელი.

მარტის 7 წელსა 1815-სა
ნაგომრით.

1815 წ. 14 VII. წერილი მამია გურიელისა კავკასიის მთავარმმართველისადმი თქუენო მაღალღმადმობულებავ!
მოწყალო ხელმწიფევ!

თქუენ მიერ ჩემდამი სიყვარულითა და პატივისცემით აღესრულ თქუენის ხილვით ბედნიერი აწ სამთავროს შინა ჩემსა მშვიდობით მყოფი ვანუგეშებ თავსა ჩემსა, რომელ შემგედეს მე ჟამი კვლავაცა ველირსო ხილვასა თქუენითა, რომელიცა ნიადაგ სურს სულსა ჩემსა! გარდა ამისა ახალნი ამბავნი: ოსმალთა სარასკილა ბაბა ფაშა ახალციხეს მყოფი და ეგრეთვე ბათუმს მყოფი ხაზინადაროლი, რადგანაც მოსჭრეს თავი სელიმ ფაშას, და ყარაბეგს და სხვათა ზოგებს მისცეს შიში და გასტეხეს რომელ არა ყავდეს წინააღმდეგ. და მოგვადგეს ჩუენი. ამის შემდგომად გაგზავნეს ელჩი ხონთქართან. შემდგომდაც იქიდამ რა ბრძანება მოუვიდესთ და ჯარსა კიდევაც ამზადებენ. მათი ამაო განზრახვა ეს არის, ვითამც მოიყვანონ იმათ დაღის-ტინდამ აღექსანდრე საქართველოს მეფის-ძე და ჰყონ იგი იმერეთის მეგვიდრეთ, რომელ იმის დასალაპარაკლად მალხაზ ენდრონიკასშვილი ასლულ ახალციხის საზღვარზედ არის იგი და აღექსანდრეს ელაპარაკება. და განზრახვა აქვს პირველათ გურიას, მერმეთ იმერეთის ჯარით მოსვლის. რადგანაც ჩუენი კერძო ქვეყნები არისო, ჩუენს ქვეყანაშიდ შევალთო. რუსნი თუმცა პირველად გვიჩხუბებს, აშლის მიზეზნი ისინი იქნებიანო და მერმეთ ჩუენც ვესვრითო და პირველად ჩვენ არ ვესვრითო; ხალხსაც აშინებენ, ვითამც მოზღლიდეს ახალაბალი ამბები რუსნი შერიგების პირობით უტოებდეს ოსმალს ხსენებულს ქვეყანას, რომელი მე არაოდეს მრწმენეს, ვიდრე სიკვდილამდე. მე მათის სიკრუის განზრახვის გამო შეძლებისამებრ ქვეყანისა ჩემისა მეცა საიდუმლოდ ვცდილობ მომზადებას, უთავდარიგოდ არ დავშთე და ვსასოებ, რომ თუმც მოხდება ჟამი იმათი შფოთისა და ჩხუბისა, შეგვეწევა ჩვენ ძალი უძლეველ მხედრობათა რუსეთისათა, გარდა ამისა განუამეორებ ჩემს ვედრებასა და თხოვნას, რომელ მას წინათ მოვართვის მე არსა თქუენს მაღალღმადმობულებას საჯავახოსთვის... კ(ვალა) და, რადგანაც საჭიროება ითხოვს უშიშროებისა გამო, ხალხისა გახალისებისათვის უმდაბლესად ვითხოვ მიზნობით მე ორი ზარბაზნი თავისის თოფჩერით დას მერმეთ წარუდგინოთ ჩემი ესე ვითარი მოწყალება მისის იმპერატორობითის ყ(ოვლა)დ მოწყალის ხელმწიფის წინაშე დასამტკიცებლად მოწყალებისათვის ჩემისა, მოწყალო ხელმწიფევ ჩემო.


1 საბუთებში გვხვდება ზოგიერთი ძველებური ასო, რომლებიც სტამბას არ გააჩნია. ამიტომ ამ ასოებს შესაბამისი თანამედროვე ასოებით ვცვლით.

თქუენის მაღალღამატებულების მოწყალის ხელმწიფის მორჩილი მოსამსახურე მთავარა
მამია გურიელი.

ივლისის 14 დღეს

წელსა ჩყიე (1815)

ოზურგეთით



1815 წ. 13 ივლისი. ახმედ და აბდი ხიმშიაშვილების წერილი კავკასიის მთავარმმართველისადმი
თქუენო მაღალღამატებულებავ!
მოწყალეო ხელმწიფევ!

ჩუენის უბედურების შეხდომის ჟამს თქუენი მაღალღამატებულება კარგად სცნობდა თუ
როგორ მოხდა. ჩუენ ამისათვის გრძლად წერილის მორთმევით აღარ შეგაწუხებთ, და რადგა-
ნაც ჩუენი ახლოს მეზობელი და მოყვარე გურიელი ბრძანდებოდა, ამას ვიახელით და აქ
გახლავართ თქვენის იმედით. გურიელმა რჩევით იძულებულგეყო თქვენის ხლებისათვის, რო-
მელ ჩუენცა იქიდამც და აქედამც ნიადაგ გვსურს თქვენი ხლება და რადგანაც გურიელი თქვე-
ნი ერთგული და ხელდებული არის, უფრო თქვენის გაიხლით და ვსასოებ, რომელ ყოველ
გაპირებულს რუსეთის ხელმწიფე მოწყალებას უზამს და უშიშროებით ამყოფებს, აღდიდვან-
ვე ასე გვსმენია, რომელსაც გურიელი გვარწმებს, მაგრამ ჩუენი პირველი ვედრება ის არის,
რომ ვიახლო მანდ თქვენს მაღალღამატებულებას, რომელსაც გთხოვთ ან ყიზილბაშად ანუ
აქვე გურიელთან, ნება მოგვეცეს წასვლა-წამოსვლის, რომ ჩუენის ქვეყნის კაცი ისევ ბევრი
ერთგული გვყავს და კიდევ გვპირდებიან დროზედ შეწვენას და ვეჩვენოთ იმათ ახლო საზ-
ღვრებზედ და კიდევ თქუენს მაღალღამატებულებას ვიახლოთ და დიდად იმედად თქუენი მა-
ღალღამატებულების პატივცემული სახლი გვექონდეს და რადგანაც, რომ თქვენი შერიგებულნი
არიან ყიზილბაშნი და ეგრეთვე გურიელი თქვენს საფარველს ქვეშ არის და თქვენი ერთგული
არის, როდესაც გთხოვს და მოგახსენებთ ამასთან წასვლა-წამოსვლის ნება მოგვეცეს. ამისთა-
ნავე ჩუენის საქმის ყოველსავე სალაპარაკოდ და მოსახსენებლად თქვენს მაღალღამატებუ-
ლებასთან ვვიახლებია მამაჩუენის პატივცემული ხაზინადარი მუსტაფა ალა, რომელსაც ჩვენ(ს)
ვედრებასა და თხოვნას პირის-პირ ეს მოგახსენებთ. ვითხოვთ თქვენთან, ამას მოხსენება და
ლაპარაკი გააბედინოთ და ჩუენს თხოვნასაც პატივი სცეთ!

თქვენი აღმატებულების მორჩილი მოსამსახურე

ივლისის ივ (13) დღესა წელსა ჩყიე (1815)

ოზურგეთით.

1815 წ. 14 ივლისი. წერილი მამია გურიელისა კავკასიის მთავარმმართველისადმი
თქუენო აღმატებულებავ!

მოწყალეო ხელმწიფევ!

როდესაც დაბრუნებული თქუენის მაღალღამატებულებიდან ჩემს სამთავროშიდ ვიახელ
მაშინვე ბრძანებისამებრ თქუენისა გამოუხზადე და ურჩიე მე სელიმ ფაშის შვილებს ახმედ
ბეგს და აბდი ბეგს თქუენთა წამოსვლა და თქუენის მაღალღამატებულების ხლება, რომელ
თვითცა სურთ თქუენი ხლება და მთხოვეს მე პირველად კაცისა და არზის გამოგზავნა და თა-
ყის მამის დიდად პატივცემული ხაზინადარი, ამათი ერთგული და გადმოყოლილი ხაზინადარი
მუსტაფა ალა ვიახლოთ. ამათი ვედრება რაც არის ვგონებ იმის პირით მოგახსენებენ და შემ-
დგომად, რაც თქვენი ბრძანება მოუთ და ინებებთ მეც ისე ურჩიე, თუმც იმათ თავისი ქვე-
ყნის კაცნი აჭარლები ხშირად უგზავნიან კაცს და პირდებიან ბუნტობას ვიქთ და ისევ შენ
მოგიყვანთო, სხვა კაცის დაჯდომა ჩუენს ქვეყანაშიდ არ იქმნებაო, მაგრამ მე არ(ვ)ურჩიე, რომ
ჯერ დრომდის წვიდენ და ენდონ. თავისი ვედრება თქუენც მოგახსენეთ და ჩუენცა და თქუ-
ენის ბრძანების მოლოდინე ვახლავართ, მოწყალეო ხელმწიფევ ჩემო!

თქვენი მაღალღამატებულების მოწყალის ხელმწიფის მორჩილი მოსამსახურე მთავარი
მამია გურიელი.

ივლისის 14 დღეს წელსა ჩყიე (1815)

ოზურგეთით.





ნაჯათ ჩიჯავაძე

მ ე ჭ ე ხ ე რ ე

(აზარაში ცეცხლსასროლი იარაღის წარმოების საკითხისათვის)

საბრძოლო იარაღის დამზადებას საქართველოში უძველესი ტრადიცია აქვს. სხვას რომ თავი დავანებოთ, მარტო აჭარის სახელმწიფო მუზეუმში დაცულია შემთხვევით თუ არქეოლოგიური დაზვერვა-გათხრების შედეგად ნაპოვნი ბრინჯაოსა და რკინის ეულები, შუბის წყერები, სატყერები და სხვა საბრძოლო იარაღი, რომლებიც ცხადყოფენ არა მარტო ადგილობრივად იარაღის დამზადების ფაქტს, არამედ თავისი დროისათვის ხელოსნობის მაღალ კულტურასაც.

მოგვიანო ხანაშიც ქართველი მეფეები ჯეროვან ყურადღებას უთმობდნენ როგორც ილია, ისე ცეცხლსასროლი იარაღის ადგილობრივ წარმოებას. საქართველოს სიანაფიცილოში დამოწმებულია ხალხური წესით თოფის წამლისა და ტყვიის დამზადების არაერთი მდიდარი მასალა. თოფის წამალს ამზადებენ როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოში — ქართლში, ხევსურეთში, რაჭაში, სვანეთში (აღრობაქიძე, „თოფის წამლის დამზადება პირაქეთ ხევსურეთში, ანალები, ტ. I, 1947 წ., გვ. 215-237).

სათანადო ლიტერატურით და ეთნოგრაფიული მონაცემებით დასტურდება, რომ XVIII-XIX საუკუნეებში იარაღის წარმოების ერთ-ერთ მძლავრ კერას დასავლეთ საქართველოში წარმოადგენდა აჭარა, კერძოდ კი მაჭახლის ხეობა.

მაჭახლის ხეობა იწყება იქ, სადაც მდინარე მაჭახელა ჭოროხის მარჯვენა შენაკადად ერთვის. ამ ადგილს მაჭახლისპირი ეწოდება.

ფეოდალურ ხანაში შავ ზღვასა და შავშეთკლარჯეთს შორის უმოკლესი გზა მაჭახლის ხეობაზე გადიოდა. ეს იყო როგორც სავაჭრო, ისე სტრატეგიული მნიშვნელობის გზა, რომელიც

დიდ როლს ასრულებდა სამხრეთ საქართველოს ეკონომიკურ, კულტურულ, პოლიტიკურ ცხოვრებაში და აკავშირებდა მათ დასავლეთ საქართველოსთან და შავი ზღვის ქვეყნებთან. გზის დიდ მნიშვნელობას მოწმობენ ხეობაში შემორჩენილი თალიანი ხიდეები და სტრატეგიულ ადგილებზე აღმართული უამრავი ციხე-სიმაგრე, რომელთა სიღიადზეც დღეს მათი ნაშთებია. მეტყველებენ, ხიდეები კი მეტწილად დაცულია და ზოგიერთ მათგანს დღესაც იყენებს ადგილობრივი მოსახლეობა.

ამ მნიშვნელოვანი გზის გასწვრივ, ხეობის მაღლა, სერებსა და ფერდობებზე მდებარე სოფლები საკმაოდ მკიდროდ ყოფილა დასახლებული, რასაც ნათლად მოწმობს ნასოფლარების, ქვევრების, მარნებისა და ძველი წყალგაყვანილობის განსაცვიფრებელი სიუხვე.

მაჭახელი პირობითად ზემო და ქვემო მაჭახელად იყოფოდა და ჩვიდმეტი სოფლისაგან შედგებოდა. ოსმალეთის იმპერიის სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, მაჭახლის ხეობა XIX საუკუნის სამოცდაათიან წლებში 1,313 კომლს აერთიანებდა, მოსახლეობა რიცხვი კი 4.485 სულს უდრიდა.¹ ზავით „დროების“ ცნობით კი იმ დროისათვის კომლთა რაოდენობა 2.500 ყოფილა („დროება“, 1878, № 138).

ჭოროხის აუზი ძველითაგანვე ითვლებოდა საქართველოს ერთ-ერთ მნიშვნელოვან სამეურნეო და კულტურულ კერად, კერძოდ, ძველი მეტალურგიის ცენტრად. ანტიკური პერიოდის მწერალთა ცნობებით, შავი ზღვის სანაპიროზე მცხოვრები ქართველური ტომი — ხალიბება რკინის დამუშავებას მისდევდნენ, ზოგიერთი ცნობა კი მიუთითებს იმაზე, რომ ფოლადის პირველი გამოღწობაც მათ მიეკუთვნებოდათ.

¹ ИКОИРГО, т. III, № 3, 1873, стр. 103. Заметка о Батуме.

ნ. მარს სპინდის, ბრინჯაოს, რკინას და ვერცხლს კავასიის ეთნიკური კულტურის პროდუქტად მიიჩნევდა. ამავე დროს იგი რკინის სახელწოდებას უკავშირებდა ტერმინ „კაინიტებს“ — ხალხის (კანების) აღმნიშვნელ სახელს.¹ აქვე უნდა ითქვას, რომ ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტისა და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის ერთობლივმა არქეოლოგიურმა ექსპედიციამ 1961 წელს სოფელ ცეცხლურში (ქობულეთის რაიონი) აღმოაჩინა უძველესი დროის რკინის მადნის სადნობი ქურები (ერთ-ერთი ასეთი ქურა ამჟამად დატულია აჭარის სახელმწიფო მუზეუმში).

ერთი სიტყვით, აშკარაა, რომ რკინის დამუშავების პირველი ჩანასახები დასავლეთ საქართველოს ეთნიკურ სამყაროში შეიქმნა. რომელმაც მალე გარკვეულ კულტურულ დონეს მიიღწია. ყოველივე ეს საესკიბით კანონზომიერი იყო, რადგან დასავლეთ საქართველოში უზეად მოიპოვებოდა რკინის მადნის საბადოები, რომლებიც ლითონზე იმდროინდელ მოთხოვნილებას უთუოდ აკმაყოფილებდნენ. ამავე დროს დასავლეთ საქართველო მდიდარი იყო ტყით, რაც აუცილებელ საწვავ მასალას იძლეოდა სპიდინის, რკინის გამოსადნობად თუ თიხას გამოსაწვავად.

რაკი არსებობდა მეტალურგიის მძლავრი ადგილობრივი კერები, ამ გარემოებამ ხელი შეუწყო იარაღის წარმოების ფართოდ განვითარებას. განსაკუთრებით მაღალ დონეზე იდგა ეს საქმე მაჭახლის ხეობაში, რაც მნიშვნელოვანწილად განაპირობა აჭარის სპეციფიკურმა ისტორიულმა პირობებმა. განუწყვეტელმა ბრძოლებმა, მოულოდნელი თავდასხმის საშიშროებამ და ძალადობამ აჭარელი აიძულა მუდამ თან ეტარებინა თოფი და ხანჯალი. „აქ ყველა მამაკაცი შეიარაღებულია კაციანი თოდით და ხანჯლით, — აღნიშნავდა ერთი ინგლისელი კონსული, — ზოგჯერ ამათთან ერთად ერთ ან ორ კაციისავე დამაჩაჩს ატარებენ.“² ამასვე აღნიშნავდნენ აჭარაში ნაპოვნი მოგზაურები, მკვლევარები თუ სხვა საქმიან დაინტერესებული პირები. დ. ჰაქრაძე განცხადებული დარჩა, როდესაც აქ მოგზაურობდროს სოფ. საღორეთში მამაკაცებთან ერთად თორმეტი წლის შეიარაღებული ბავშვიც ნახა.³ აჭარის მოტრფილად ზ. კიკინაძე აღნიშნავდა, რომ ხუთ-ექვსი წლის ნასწავლი რუსი სალდათი ისე ოსტატურად ვერ მოიხმარს თოფს, რო-

გორც ესენი („დროება“, 1878 წ. № 238).

მაჭახლის ხეობის გარდა, აჭარაში ცეცხლსროლი იარაღის დამზადების არაერთი ცენტრი არსებობდა, მაგრამ მათგან ყველაზე მუდმივი მაინც მაჭახლის ხეობა იყო. მუდმივად ბაქრაძე შემდეგნაირად აღნიშნავდა: „აჭარლები საუკეთესო მსროლელები არიან და თავად ამზადებენ იარაღს. თოფის დასამზადებელი სახელოსნოები არის ცხმორეში (ცხმორისში —

ნ. ნ.), ახოში, საღორეთსა და მაჭახელში. მაჭახელას სახელით ცნობილი თოფი მთელ გურიანშია განთქმული“ (იქვე). სხვა ცნობების მიხედვით, „მაჭახელას“ იცნობდნენ არა მარტო გურიანში, არამედ მთელ დასავლეთ საქართველოშიც. ზ. კიკინაძე, რომელმაც ჩვენი მხარის შესახებ არაერთი საყურადღებო ისტორიულ-ეთნოგრაფიული ცნობა დავიკოვია, აღნიშნავდა, რომ მაჭახელი ოსტატების ხელობას იცნობდნენ, როგორც დასავლეთ საქართველოს თავადები (გურიელები, დადიანები, შერვაშიძეები და სხვანი), ისე ქართველი მეფეებიც. XVIII-XIX საუკუნეებში კი მაჭახლური იარაღის სახელი თურქეთის პროვინციებსა და თვით სტამბოლსაც მიწვდებოდა („მესხეთ-ჯავახეთის გათათრება“, 1906 წ. გვ. 12).

ეთნოგრაფიული მასალით ირკვევა, რომ იარაღის წარმოებას მაჭახლის ხეობაში მასობრივი ხასიათი ჰქონდა. აქ თითქმის ყველა სოფელში იყო იარაღის დასამზადებელი სახელოსნოები, რომელთაგან განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ ზემო ჩხუტუნეთის, ქვეთარეთის, გორგაძეთის, ხერთვისისა და ფერატის სახელოსნოები.

XIX საუკუნეში ცეცხლსასროლი იარაღის წარმოებამ აჭარის თითქმის ყველა ხეობაში მოიკიდა ფეხი. თუმცა ტრადიციულ და ცნობილ ცენტრად მაინც მაჭახლის ხეობა რჩებოდა, რასაც იარაღის მაღალი ხარისხი აპირობებოდა. ჯიფორდ პალგრავს მხედველობიდან არ გამოჩენია ეს გარემოება და სამართლიანად აღნიშნავდა, რომ აქ მზადდებოდა ფრადი კარგი ხარისხის და ეროვნულ გემოვნებაზე ვერცხლით შესანიშნავად შემკული თოფები, დამაჩაჩები და ხანჯლები (დასახ. ნაშრომი, გვ. 55).

ახასიათებდა რა ოსმალეთისდროინდელი აჭარის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას, რუსი მკვლევარი ლისოვსკი წერდა: „...მხოლოდ ერთ წარმოებაში მიადღწია მოსახლეობამ მნიშვნელოვან სრულყოფას, სახელდობრ თურქეთის ბატონობის დროს მაჭახლის ხეობა განთქმული

¹ Н. Я. Марр Талыш 1922, стр. 7—8, *Исторические узлы международных отношений Кавказа*, Птр., 1922 г., стр. 37.

² Джем. Пальгрев, Отчет о провинциях Анатолии за 1867—68, 1869 и 1871 годы. ИКОИРГО, т. VII, 1882 г., № 1, стр. 44.

³ Д. Вакрадзе, Краткий очерк Грузии, Чуруксу и Аджарии. ИКОИРГО, т. II, 1874 г., № 5, стр. 206.

იყო ცეცხლსასროლი იარაღის წარმოებით. აქიდან თოფები და დამბაჩები გაჰქონდათ მთელ ქვეყანაში და გურიაში, ახალციხესა და ყარსის ოლქშიც კი შეიღწია „მაკახელის“ სახელით“. შემდეგ იგი ხაზგასმით აღნიშნავს ამ იარაღის მაღალ ხარისხს!

ამრიგად, სრულიად უდავოა, რომ მაკახელური იარაღი ფართოდ იწარმოებოდა და საუკეთესო ხარისხისაღ იყო, რაც ადგილობრივ ხელოსანთა მაღალ ოსტატობას მოწმობს.

იარაღის წარმოების სტრუქტურა ჩამოყალიბებულ და გარკვეულ ორგანიზაციულ ხასიათს ატარებდა. სახლთან ახლოს, სხვა სამეურნეო ნაგებობის მსგავსად, ცალკე იყო მოწყობილი სახელოსნო. თვითული სახელოსნო რამდენიმე ხელოსანს და შვიკრას აერთიანებდა, რომლებსაც სათავეში ედგათ „უსტა ბაში“ ანუ მთავარი ოსტატი. საერთო ხელმძღვანელობასთან ერთად უსტაბაში რთულ და პასუხსაგებ სამუშაოსაც ასრულებდა. სახელოსნოში ძირითადად ერთი გვარის ხელოსნები მუშაობდნენ, ხშირად ერთი ან რამდენიმე ოჯახიდან.

ის ოჯახები, რომლებიც იარაღს ამზადებდნენ, თავდაპირველად სხვა სამეურნეო საქმიანობას (მიწათმოქმედებას, მეცხოველეობას და ა. შ.) ნაკლებად ეტანებოდნენ. მხოლოდ დედაკაცები თუ ამუშავებდნენ სახლის ახლო ნაკვეთებს ბოსტნეულისა და ჭირნახულის მოსაყვანად. რაც შეეხება სიმინდს, პურს და საერთოდ სხვა სურსათს, როგორც ეს ეთნოგრაფიული მონაცემებით ირკვევა, ხელოსნის ოჯახი კი არ ამზადებდა, ყიდულობდა. შემდგომში ხელოსნობის დაცემასთან ერთად, რადესაც ფულთან შემოსავლის ამ ძირითად წყაროს საფუძველი გამოეცალა, ადგილობრივი ხელოსნები მიწათმოქმედებას დაუბრუნდნენ.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, იარაღის დამზადების ძირითად ცენტრებად მაკახლის ხეობაში ითვლებოდა ზემო ჩხუტუნეთი, გორგაძეთი, ქავთარეთი, ზედვაკე და ხერთვისი. ხეობაში ცნობილ და საზოგადოდ აღიარებულ ოსტატებად ნაგერვაძეები ითვლებოდნენ. ზემო ჩხუტუნეთში ცეცხლსასროლი იარაღის გამოგონებამდე ამ გვარის წარმომადგენლები სახელმოხვეჭილი მეღითონეები იყვნენ. სცოდნით მაღალი ხარისხის ფოლადის გამოღობა.

ნაგერვაძეებს ხელობით არ ჩამოუვარდებოდნენ გორგაძეთელი გვიანიძეები და ქავთარაძეები, რომლებსაც გვარი სოფლის მთელ უბნებს ქმნიდა და მათივე სახელს ატარებდა. ხელოსან ნაგერვაძეთა ერთ-ერთი უცანასკნელი წარმომადგენილი იყო უსტა ახმედი. მისი შვილიც ეშრეფ-უსტა მამის გზას გაჰყვა და მალე სახელმოხვეჭილი ოსტატი დადგა (გარდაიცვალა 30 წლისა, 1952 წელს).

ახალი ეთნოგრაფიული მონაცემების თანახ-

მდ, სალულე რკინას მაკახელური კვარცხანდიანი, მარტულულიანი და ზოგჯერ ბათუმიდანაა შექმნილი. ზოგიერთი ცნობის მიხედვით კი სპერო ნედლეული ადგილზევე ჰქონდათ და ადგილობრივადაც ამუშავებდნენ. აღსანიშნავია ისიც, რომ აქ ერთ-ერთ ადგილს დღეს „ნამადნევის“ უწოდებენ, ხოლო ჭედქედში ერთ უბანს მადნითავე ეწოდება.

თოფის დამზადებაში ყველაზე შრომატევად და რთულ საქმეს ლულის გამოყვანა წარმოადგენდა.

სალულე რკინას ქურაში სათანადო დონეზე გაახურებდნენ, რის შემდეგ გრდემლზე გააბრტყელებდნენ და თანდათანობით ჰქედვით ჯერ მილის, ხოლო შემდეგ რვაწახნავოვანი სხეულის ფორმას აძლევდნენ ისე, რომ სალულე რკინის გულში მცირე ხვრელი რჩებოდა. ამავე დროს ჰქედვითვე ამზადებდნენ რკინის ორი-სამი მილიმეტრი სისქის ბაფთს. მას ახურებდნენ და სპირალურად ახვევდნენ ასევე ძლიერად გახურებულ სალულე რკინას, რის შემდეგ დარჩენილ „ხარბუხს“ შეადუღებდნენ. ამ პროცესს „ლულის მოხაზვა“ ეწოდებოდა. ლულის „მოხაზვის“ დროს, გახურების შედეგად ბაფთი რომ არ გამოდნარიყო, სიმხურვალის შემცირების მიზნით აყრიდნენ ლულის სილისა და კვარცხის ნაჭუჭის შეზავებულ ფენებს. ლულაზე ბაფთის შედუღება, როგორც წესი, დამით წარმოებდა, რადგან შესაძლებელი პირი და „ხარბუხი“, რომელიც ჰქედვის დროს რჩებოდა, დამით უკეთ ჩანდა. მოხაზვის მერე შეუდგებოდნენ ლულის „ამოხვევას“ სათანადო საქრთულით (მათხაბით) სპეციალურ დაზავზე. ლულის ამოხვევა ანუ გაბურღვა და შაშხანის დტანება დიდ ოსტატობას და ცოდნა გამოცდილებას მოითხოვდა.

დაზავზე მჭიდროდ დამაგრებული სალულე რკინის გაბურღვას პირიდან იწყებდნენ. მათხაბი ლულის სათანადო კალიბრისა იყო, წვერზე ნაწრთობი ფოლადის ხვეწი ჰქონდა და დუღებულ და ჩარხის მბრუნავ თერას მოძრავად უკავშირდებოდა. ამოხვევა ბურღის ბრუნვით წარმოებდა. ამ პროცესში ორი ოსტატი მონაწილეობდა — ერთი ჩარხს ამოძრავებდა, მეორე კი ბურღს მიმართულებას აძლევდა და ლულას ხვეწდა. ამოხვევდნენ თუ არა, ლულას სათანადო მათხაბით შაშხანებს ამოუჭრიდნენ და გულმოდგინედ ამოწმებდნენ. მერე ლულას ათავსებდნენ შაზნარევი წყლით სავსე ცილინდრისებურ ტურქელში, ე. წ. „ყუბურში“. ყუბურში მოთავსებულ ლულაზე ათ-თორმეტ საათს ადუღებდნენ, რის შემდეგ ლულის ზედაპირზე გამოისახებოდა სპირალური ორნამენტი, რომელიც სალულე რკინის სათანადო ჰქედვის შედეგი იყო. თოფის კონდახს და ლულის ჩასასმელ ღარს ამზადებდნენ ლეკის ან ნიგვზის

ხისაგან, უფრო ხშირად კი ლეკის ხისაგან, რადგან, როგორც გადმოგვცემენ, მოგლუეების შემდეგ მას კარგი „ჯავარი“ რჩებოდა.

აჭარაში ბოლო ხანებამდე (XIX საუკუნის დასასრული) მზადდებოდა შემდეგი სახელწოდების თოფები: „თოფხანა“, „ნალფარა“ და „სარმა“. „ქართველთა მეფობის დროს“ კი აქ წარმოებულ იარაღს ქართული სახელი რქმევია, ეს იყო „თაფურნე“ და „დაკენკილი“ (დაკენკილი — ნ. ჩ.).

თოფხანა და სარმა, როგორც საბრძოლო იარაღი, ზემოაღწერილი წესით მზადდებოდა, ე. ი. ბაფთის დახვევით, ნალფარა კი ფრინველზე სანადირო თოფი ყოფილა, მხოლოდ საფანტს ისროდა და ამიტომ შედარებით იოლად ასამზადებელი იყო. „თოფხანისა“ და „სარმის“ ლულის გამოყვანას ორი-სამი დღე სჭირდებოდა, თოფის მთლიანად დამზადებას კი ხუთი-ექვსი დღე.

მაჭახლელი მოხელები გამოირჩეოდნენ აგრეთვე იარაღის შემკულობის ოსტატობითაც. ხის ღარში ჩასმულ ლულას ისინი ვერცხლის სალტეებით ამაგრებდნენ და ასავადებდნენ. ხშირად ლულას ოქროთითაც ავარაყებდნენ, კონდახს კი ვერცხლითა და ძვლით ამშვენებდნენ. აჭარის სახელმწიფო მუზეუმში დაცულია მაჭახლური ტიპის კაჟიანი თოფის არაერთი საუტახო ეგზემპლარი, რომლებიც ნათ-

ლად ადასტურებენ ადგილობრივ მოხელებთან დიდ ოსტატობას და საერთოდ იარაღის წარმოების მაღალ დონეს.

ოსმალთა ბატონობის ბოლო პერიოდში მაჭახლური იარაღის დამზადება საუკუნოდ შეწყვეტილი უნდა იყოს. ოსმალი ბატონობის ბოლო პერიოდში მაჭახლური იარაღის დამზადება საუკუნოდ შეწყვეტილი უნდა იყოს. რადგან რუსეთთან პოლიტიკური დამოკიდებულების გამწვავების შედეგად დამოშალი სამხედრო კონფლიქტის შიშით ოსმალეთის მთავრობამ აჭარაში სრულიად აკრძალა მისი დამზადება. მაგრამ, მიუხედავად ამისა, მაჭახლელ ოსტატებს სავესებით მაინც არაუღიათ ხელი იარაღის წარმოებაზე. ხალხის გადმოცემით, სასტიკი დევნის პირობებშიც კი ოსტატები ტყეში მალულად ამზადებდნენ იარაღს. ხალხს დღესაც ახსოვს, რომ ბექირ უსტა ქავთარაძეს სახელოსნო ჰქონია ზედევაის ტყეში, რომელიც ქავთარეთიდან ხუთი-ექვსი საათის სავალზე ყოფილა. იქ, პატარა გამოქვაბულში, გაუმართავს მას სახელოსნო, რომელსაც ხალხი „ბექირ აღის მადარას“ უწოდებს. ხელოსნობისა და, კერძოდ, იარაღის წარმოების დაქვეითება, ხოლო შემდგომ სავესებით გაქრობა განაპირობა ამ მხარეში კაპიტალისტურ ურთიერთობის განვითარებამ, რუსეთიდან დევრობიდან იაფი სამრეწველო პროდუქციის უხვად შემოზიდვამ.



ლევან გელაძის ლექსები

ამ ხუთიოდე წლის წინათ საქართველოს მწერალთა კავშირის სასახლის კარები მოწიწებით შემოაღო ფართოთვალეზიანმა ჭაბუკმა და მორიდებულად ჩაერია ახალგაზრდა მწერლების საუბარში. ასეთ შემთხვევებში ჩვენ გამოცდილებიდან ვიცოდით, რომ მოსული ახალბედა შემოქმედი იქნებოდა. არც შეგვიცდარევართ. ჭაბუკმა გვითხრა, რომ სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტია და ლექსებსა წერს. აჰარელი ვარ, ლევან გელაძეო. დღესაც არ ვიცი, ჰქონდა თუ არა მას მანამდე დაბეჭდილი ლექსები. შთაბეჭდილება კი ასეთი რჩებოდა. შემდეგ მან დაამთავრა ინსტიტუტი და ექიმობას შეუდგა შშობილურ მხარეში. ეს კეთილშობილური და დინჯი პროფესია მან შეარჩყო პოეტის დაუდგრომელ და რომანტიკულ ბედთან. ეს ფაქტი თავისთავად თითქოს უმნიშვნელოა, მაგრამ სინამდვილეში იგი ფრიად ყურადსაღებია. კარგი პოეტი პირველ რიგში კარგი მოქალაქე უნდა იყოს და დაუღალავად შრომობდეს არა მარტო კალმით. სწორედ ასეთი მოქალაქეობრივი გრძნობების ანარეკლია ბევრი ლექსი ლ. გელაძის ახალხან გამოსული კრებულისა „მზე მამულში“.

ამ წიგნში ასოცებ მეტი ლექსი. ბალადა და ერთი ლირიკული პოემაა. მინდა ჩემი შთაბეჭდილება პირუთენელად და გულდღიად გავუზიარო როგორც ავტორს. ისე მკითხველებს.

ლ. გელაძის წიგნის შინაარსთანაც და სათაურთანაც მშვენივრად არის შეხამებული სუბჟურის გაფორმება (მხატვარი ლ. სეიდოშვილი). უზარმაზარი მზე დაპყურებს გემის კონტურთან ზღვის ნაპირს და მთის ფერდობზე შეფენილ სოფელს. ეს აჰარაა. საქართველოს ერთ-ერთი ულამაზესი კუთხე! დიდი და ჩახჩახა მზე შემოსულა ამ მამულში. სწორედ ესაა ლ. გელაძის ლექსების უმთავრესი ლაიტმოტივიც. ბევრ მის ლექსში იგრძნობა ამ ცხოველყოფილი მზის სითბო. მაგრამ ჯერ გვინდა ზოგიერთი საყვედური ვუთხრათ ავტორს, რათა შეაბლონ-

რად წერილის ბოლოს არ აღენიშნოთ წიგნის ნაკლოვანებანი.

როგორც ჩანს, მას მთელი პასუხისმგებლობით არ შეუტრჩევია კრებულში შესატანი ლექსები. ამის გამო წიგნში ვგვხვდება იდეურ-მხატვრულად სუსტი ნაწარმოებები, როგორცაა „ლილი“, „ყვავილობის ყამს“, „დღემილი ზღვასთან“, „ჩემი დღევანდლობა“, „რა ლამაზდროს“, „ბერიკაეები“, „ვერ გატყვი“, „ჩვენი მზრის რომ იყო“, „როგორი კაცი ხარ“, „მთა“ და მთელი რიგი უსათაურონი.

თვალში გვეცემათ აგრეთვე დაუხვეწავი, არაპოეტური სტრიქონებიც: „როცა აისმა დასწვა დამე შინ“, „და კაცი დუმდე, არ გაქვს შენ ნება“, „გარეთ თბილა, სულში ხომ არის რწმენის მრთელობა. მწვერვალისაყენ მომიხიბობს ჩემი დღევანდლობა“, „ჩემი ცხოვრების მანათო შანდალო“, „ვეუსმენ, განვიციდი მხოლოდ ჭკვიანურს“, „და დღემილი გატყდა უცებ, როგორც თეფში“, „მყობადში მყავხარ სარწმუნო ერთი“, „და თბილისს დავხედავთ, ვით არსნი ციურნი“.

საერთოდ მთელ წიგნში და, კერძოდ, ლ. გელაძის საუკეთესო ლექსებში ნათლად ჩანს ავტორის შემოქმედებითი ინტერესების მრავალფეროვნება. მას ბევრი რამ აღელვებს, აღელვებს როგორც თანამედროვე ახალგაზრდა კაცს, თავისი ეპოქის შეილს, სამშობლოს სიყვარული და ინტერსაციონალური სოლიდარობის გრძნობა, მშვიდობისათვის ბრძოლა და ოჯახური იდილია, უზადო მეგობრობა და ამაღალღებელი სიყვარული... აი, რასაც უმღერის პოეტი, და უმღერის გულწრფელად.

სამშობლოსადმი მიძღვნილ ლექსებში ლ. გელაძე არ არის ჩაკეტილი ვიწრო, კუთხურ ჩარჩოებში. მისთვის ერთია საქართველო, ერთნაირი სიყვარულითა და გატაცებით უმღერის მცხეთასა და მაჭახელას, სურამსა და მარადიდს, ტაშისკარსა და კახაბერს, ახალციხესა და ხხალთას, არადეთსა და ხიხანს, ალაზანსა და

კოროხს... საქართველოს გმირული წარსული, ბედნიერი აწმყო და კაშკაშა მომავალია პოეტის შთავგონების წყარო...

...მონიყვანდნენ:

საირმენი,

საჩიხენი,

მონანავე ჯეჯილი და მამის კერა,

მოვიდოდი, გადავრევედი ვაზთაც ხევენით,

დაეკოცინიდი პირიმზეს და ფერაფერას.

მომიყვანდა:

მტკერის,

კოროხის

შმაგი დენა,

მოვიდოდი სალამურის ერთი მოთქმით,

მომიყვანდა

ღვიძლი ენა, დედა ენა,

მომიყვანდა მშობლიური მიწის

ორთქლი“.

ამბობს ახალგაზრდა პოეტი ერთ ლექსში და მკითხველსაც სჯერა, რომ სადღაც შარავნაზე ნაპოვნი ცხენის ნალი კი არა, სწორედ ეს მობრუნებს სამშობლოში.

ხალხთა მეგობრობის გრძნობა უკეთილშობილესი გრძნობაა და ეს მეგობრობა უბრალო მეზობლური ურთიერთობით იწყება. კრებულის ერთ-ერთი კარგი ლექსია „სესხად წავიდე“, რომელშიც ავტორი მიმართავს კარის მეზობელს:

„უნდა შეგვეძლოს გატანა, ზიდვა,
მშვიდად დავცალოთ სიცოცხლის თასი.

და კაცი თუკი ფრთხილად არ ივლი,
მაშინ მძიმეა მეზობლის ვალი,
წაღებული მაქვს შენგან მარილი,
ნუ შემომხედავ მევალის თვალით“.

სწორედ ასე კეთილმეზობლურად უნდა ცხოვრობდნენ მთელი მსოფლიოს ხალხები. ლ. გელაძეს თავის ლექსებში კარგად აქვს შეერთებული მეგობრობისა და მშვიდობის თემები („ცხრა მთას იქით“, „მანოლის“, „ჰეი, იტალია“, „საუბარი შაშხანასთან“, „სამშვიდობო“, „მეგობრული“ და სხვ.). იდეურ-მხატვრული ჩანაფიქრით განსაკუთრებულ მოწონებას იმსახურებს ლექსი „ცხრა მთას იქით“... ჩვენში ხომ წესია — ცუდი ამბის გაგონებაზე

ამ სიტყვებს წამოვიძახებთ ხოლმე. ასე მოვიდოდა საუკუნეების მანძილზე, ახლა კი:

ცხრა მთას იქით გაჩნდა სატრფოლი და მტკერის დღეს რა კაცი გამოსვრის ჩემსკენ...
ახლა მარჯვენს დამარცხებულს არ მოჰყვეთენ,
ახლა გული სხვა ლტოლვის და სწრაფვის ტყვეა.

ცხრა მთას იქით მივაცილებთ ძმებს და მოყვრებს,

სამტროდ ვინდა მობრუნდება ასეთ დარში, ცხრა მთას იქით გადასძახოს მოყმეს მოყმე, ჩამოდი და ჩემთან დარჩი.

ლ. გელაძის ლექსიკა ღარიბი არ არის, წერს გამართული ქართული ენით, ლექსების მხატვრული ქსოვილი სადა და ბუნებრივია, არ უყვარს ბუნდოვანი და განგებ დაგრეხილი სტრიქონები. რითმების დიდი ნაწილი კეთილხმოვანია, არც თუ ისე იშვიათია მოხდენილი, ფრთიანი თქმებიც. მაგალითად, „ისე მოსწყურდათ შრომა ამ ხელებს, ვით ომში წასულს — სატრფოს ამბორი“; „შენ მორცხვად მთხოვე ხელის გათბობა, როცა იწვოდნენ ჩვენი გულეები“, „ამამბობს ამა სოფლის ტრფიალმა, მაჭარი ვარ, დადუღება მაცალეთ“, „როგორ იცოცხლებს უზღვოდ თოლია, ან რა იქნება ზღვა უთოლიოდ“ და სხვ.

გარდა ლექსებისა, კრებულში მოთავსებულია ხუთი ბალადა და ერთი ლირიკული პოემა. ჩვენი აზრით, არც ერთი მათგანი რაიმე განსაკუთრებულ ყურადღებას არ იმსახურებს და ბევრს არაფერს მატებენ ლ. გელაძის შემოქმედებით პორტრეტს.

ასეთია მოკლედ ჩვენი, როგორც კრიტიკოსისა და როგორც მკითხველის შთაბეჭდილებანი ახალგაზრდა პოეტის ლექსების წიგნზე. ალბათ, თვით ავტორიც და მკითხველებიც დაგვირწმუნება, რომ შექებაც და კრიტიკაც მეგობრულია და სამართლიანი. თუმცა ლ. გელაძე ერთ თავის ლექსში ამბობს:

„ვინც მეგობრად სასვე გულით ჩემთან მოვადა არ ეძებს ჩემს სახეზე ჩრდილებს,

ლაქებს,
ვინაც რამე ვეკაცური ჩემში ჰპოვა,
ვენაცვალე მეგობარს და მოქლაქეს“.

ალექსო სანადირაძე.



ტექსტოლოგიური ლიტერატურის ახალი შენაჩენი


ქართული კრიტიკული ლიტერატურა მდიდარია დიდი ქართველი პოეტისა და საზოგადო მოღვაწის აკაკი წერეთლის შემოქმედებისადმი მიძღვნილი მონოგრაფიული ნაშრომებით, მაგრამ მის ნაწარმოებთა ტექსტოლოგიური გამოკვლევები დღემდე თითქმის არ გაგვიჩნდა და, საერთოდ, ჩვენი მწერლობის ფილოლოგიურ-ტექსტოლოგიური კვლევა ჯერ კიდევ ვერ დგას მოწოდების დონეზე და ვერ აკმაყოფილებს განუწყვეტლივ მზარდ მოთხოვნებს. სწორედ ამიტომ მკითხველი საზოგადოებრიობა დიდი ინტერესით შეხვდა დოც. პროფ. კეკელიძის ნაშრომს „აკაკი წერეთლის ისტორიული პოემების „თორნიკე ერისთავი“, „ნათელა“ ტექსტოლოგიური გამოკვლევა“.

პრ. კეკელიძის ეს წიგნი, რომელიც მრავალი წლის ენერგიული შრომის ნაყოფია, უპირველეს ყოვლისა ყურადღებას იქცევს იმით, რომ იგი აკაკი წერეთლის ნაწარმოებთა ტექსტოლოგიური გამოკვლევის პირველი ფრიალ სერიოზული ცდაა და ნაწილობრივ აესებს ხარვეზს, რაც ამ მხრივ გაგვიჩნდა. ნაწილობრივ იმიტომ, რომ მკვლევარს ჯერჯერობით ტექსტოლოგიურად შეუსწავლია აკაკის მხოლოდ ორი ნაწარმოები „თორნიკე ერისთავი“ და „ნათელა“. ეს არჩევანი განაპირობა აღნიშნულ ნაწარმოებთა, განსაკუთრებით კი „თორნიკე ერისთავის“ ავტოგრაფებისა და ხელნაწერის ნუსხების აღმოჩენამ. აქვე უნდა ითქვას, რომ პრ. კეკელიძე დიდი ხანია მეცნიერულად სწავლობს აკაკის შემოქმედებას. ჯერ კიდევ 1946 წელს მან თბილისის უნივერსიტეტის „შრომებში“ გამოაქვეყნა „თორნიკე ერისთავის“ ავტოგრაფი, ხოლო 1953 წელს გამოსცა ვრცელი გამოკვლევა დიდი ქართველი პოეტის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ ჯერ კიდევ არა გვაქვს ახალი ქართული ლიტერატურის ნაწარმოებთა ტექსტოლოგიური კვლევა-ძიების მდი-

დარი ტრადიცია, პროფ. კეკელიძემ შეიძლება თამამად ითქვას, წარმატებით დაძლია ყველა სიძნელე და მკითხველის წინაშე წარსდგა როგორც მკვლევარი-ფილოლოგი, ნიჭიერი ტექსტოლოგი და გამოცდილი კრიტიკოსი. იგი მტკიცედ ემყარება დებულებას, რომ ავტოგრაფები, ხელნაწერი ნუსხები და გამოცემები უნდა შევისწავლოთ მწერლის იდეურ-მხატვრული მიზანდასახულობის შუქზე, ნაწარმოების შექმნის კონკრეტულ-ისტორიული პირობების გათვალისწინებით, ენობრივ-სტილისტიკურ თავისებურებათა გარკვევით. ამით აიხსნება, რომ მკვლევარი თავის ნაშრომს იწყებს აკაკის იდეურ-მხატვრული მიზანდასახულობის ჩვენებით. როცა ეხება მის დამოკიდებულებას ისტორიისადმი, პრ. კეკელიძე სამართლიანად წერს, რომ დიდი რუსი რევოლუციონერი დემოკრატების მსგავსად, აკაკი წერეთელიც ღრმა პატრიოტული სიამაყის გრძნობით ხატავდა ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვანი ისტორიის შესანიშნავ ეპიზოდებს და დაუცხრომლად ზრუნავდა ნაწარმოებთა იდეურ-მხატვრული სულყოფისათვის. პოეტი ხშირად ცვლიდა სტროფებს, ცალკე სალექსო სტრიქონებს, ფრაზებსა და სიტყვებს, აკეთილშობიანებდა და აფაქიზებდა რითმას, აძლიერებდა ინტონაციას, აღწევდა ნაწარმოების კომპოზიციურ სიმტკიცეს, აზუსტებდა ისტორიულ პირობა და თანამდებობათა სახელწოდებებს.

პროფ. კეკელიძის ნაშრომის ძირითადი ნაწილი მთორე თავიდან (270-ე გვერდიდან) იწყება (პოემა „თორნიკე ერისთავის“ ტექსტის შესწავლისათვის, პოემის დეფინიციური ტექსტი), ე. ი. 269 გვერდი უჭირავს გამოკვლევას. ხოლო 511 — ტექსტებს, ავტოგრაფებს, ინდექსებს, სიტყვათა სიმფონიას, საძიებლებსა და ავტოგრაფების ფოტოპირებს. ერთი სიტყვით, ეს 780-გვერდიანი ნაშრომი სრულ წარმოდგე-



ნას გაძლევს აკაი წერეთლის პოემებზე „თორნიე ერისთავი“ და „ნათელა“.

თავის ნაშრომში მკვლევარი სამართლიანად უთმობს დიდ ადვილს აკაიის პოემების ტექსტის ენათმეცნიერულ შესწავლას. ცალკეული ენობრივი სხვაობის გასათვალისწინებლად არჩევს „თორნიე ერისთავის“ ტექსტის ხელნაწერებსა და გამოცემებში შენიშნულ ფონეტიკურ-გრამატიკულ და ლექსიკურ თავისებურებებს. ფონეტიკიდან ყურადღება გამახვილებულია შემდეგ საკითხებზე: ბგერის დაკარგვა, მკლერი თანხმოვნის დაყრუება, სუბსტიტუცია, მეტათეზისი, ასიმილაცია და ბგერის ჩართვა. ხოლო მორფოლოგიიდან — ვითარებითი ბრუნვის დაბოლოებაზე, ზოგიერთი თანდებულის ხმაარებასა და ზმნისპირის ნიშნების გამოყენების თავისებურებაზე. სინტაქსური საკითხებიდან გაანალიზებულია მსაზღვრელ-საზღვრულის ურთიერთობა, სახელსა და ზმნას შორის შეთანხმების ნორმები და ა. შ.

ავტორის დიდი მუშაობა გაუწევია ცალკეული სიტყვა-გამოთქმების გასწორებისა და მართებული ფორმების დადგენისათვის.

განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს სარეცენზიო წიგნის მეცნიერული აპარატურა — ინდექსები, სიმფონია, საძიებლები, ავტოგრაფის ფოტოპირები, ხელნაწერი ნუსხის ფოტოპირები და ა. შ. რომელთაც ფასდაუდებელი მნიშვნელობა აქვთ როგორც ფართო მკითხველი საზოგადოებისათვის, ისე, განსაკუთრებით, ტექსტოლოგებისათვის.

ორიოდ სიტყვა „თორნიე ერისთავის“ ავტოგრაფის სიმფონიის შესახებ, რომელიც რეცენზიო წიგნშია წარმოდგენილი.

საერთოდ სიმფონიებით ქართული სპეციალური ლიტერატურა არ არის მდიდარი, მაგრამ არც იმის თქმა შეიძლება, თითქოს ამ მხრივ არაფერი ვაკეთებულა. თავის დროზე დიდი ეროვნული საქმე გააკეთა აკად. ა. შანიძემ, როცა ხანმეტი ლექციონარისა და „ვეფხისტყაოსნის“ სიმფონიები შეადგინა და გამოსცა. აქვე უნდა დაეასახლოთ აგრეთვე პროფ. ივ. იმნაიშვილის ქართული ოთხთავის სიმფონია-ლექსიკონი.

პრ. აკეელიძემ „თორნიე ერისთავის“ სიმფონიაში წარმოდგინა ყველა სიტყვა, რომლებიც კი პოემაში გვხვდება, ამასთან აღნუსხა მათი ხმაარების ყველა შემთხვევა სხვადასხვა ფორმით, რითაც გამოაღლინა „თორნიე ერისთავის“ ლექსიკის მთელი მრავალფეროვნება.

კარგად არის შედგენილი საძიებელიც. მასში წარმოდგენილია საკუთარი და გეოგრაფიულ-ენიკური სახელები.

პრ. აკეელიძის ფუნდამენტურ ნაშრომში როგორც თვით ავტორიც აღნიშნავს, ცხადია, არის ზოგიერთი სადავო აზრი, ზოგიერთი ხარვეზი, მაგრამ ისინი ვერ ჩრდილავენ წიგნის ღირსებებს. სასურველია ასეთი ნაშრომები შეიქმნას ჩვენი მშობლიური ლიტერატურის სხვა ძეგლების გარშემოც.

**პ. ხმალაძე,
რ. შამელაშვილი.**



ხელმოწერილია დასაბეჭდად 31/VII, 61 წ. საბეჭდი 6 (პირობითი 8), საგამომ-
ცემლო 7 თაბახი. შეკვეთის № 5215, ემ 00604, ქალაქის ზომა 70X108,
ტირაჟი 2000.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს
• მთავარპოლიგრაფსამმართველოს ბათუმის სტამბა-ლითოგრაფია
(ბათუმი, ლუქსემბურგის, 22).

Батумская типо-литография Главполиграфиздата
Министерства культуры Грузинской ССР
Батуми, ул. Люксембурга, 22.

0 40 333.

0



ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

„ლიტერატურული ადჯარა“

ОРГАН АДЖАРСКОГО ОТДЕЛЕНИЯ
СОЮЗА ПИСАТЕЛЕЙ ГРУЗИИ